HELLO! GEORGIA

#015 • ოქტომბერი 2017 • 4.00₾

AUTUMN Trends

RED MEETS PINK
CASUAL SPORTSWEAR
FOLK FALL

ბერა ივანიშვილი და ევა მინაძეა
სიახლე პირად ცხოვრებაში

ნიკოლა შონი და პირა ჩაპლინი
მაიამიში გვეპატიჟებიან

თეონა დვალი

ქართულ-იტალიური ქორწილის დეტალები

WINE Special

+80

იდეა ღვინის მოყვარულებს

ანდრეა ბოჩელი

იტალიური ოჯახის ტოსკანური ნავსაყუდელი

ედისო ბოლოთაძე

იუნესკოს პირველი ქართველი არტისტი

ISSUN 2449-2590
9 772449 259004

faberlic
faberlic.com

ტექნოლოგია

4D TARGET

შექმნილია ჟანგბადის დრონების ფუძეზე, უზრუნველყოფს მიზანმიმართულ ზემოქმედებას კანის უჯრედებზე 4 მიმართულებით

კანი სუნთქავს
და ივსება
სიცოცხლითა და
და ნათელი ფერით

6+ რეკლამა
შპს "ფაბერლიკი-საქართველო", საქართველო, ქ. თბილისი, გ. გეგეჭკორის ქ.18

FABERLIC-ის ლაბორატორიის ინოვაცია

OXIOLOGY™
OXYGEN COSMETICS 2

თქვენი კანის ღრმა სუნთქვა

აღმოაჩინე მშვენიერება

#DOSeeTheWonderful

PANDORA

pandora.net

აღმოაჩინე PANDORA-ს შემოდგომის ახალი კოლექცია
TIME-ის ფილიალებსა და PANDORA-ს კონცეპტუალურ მაღაზიაში.

TIME

რუსთაველის 46
პეკინის 18
ს/ც ჯი-თი-სი
ს/ც თბილისი მოლი

ს/ც ისთ ფოინთი
აღმაშენებლის 98
+995 322 000 280

რედაქტორის წერილი

თბილი და საკმაოდ მზიანი სექტემბრის შემდეგ, HELLO!-ს გუნდი ჟურნალის რიგით მეთხუთმეტე, ოქტომბრის ნომერს წარმოგიდგენთ. ტრადიციულად, მსოფლიო შოუბიზნესის ცხელ-ცხელი ახალი ამბებით, ქართველი ვარსკვლავების ინტერვიუებითა და მოდისა და თავის მოვლის უამრავი სეზონური სიახლით.

ჩვენი საშემოდგომო ნომრის მთავარი გმირი ყველასთვის საყვარელი ქართველი პიანისტი – **ელისო ბოლქვაძე** გახლავთ. მუსიკოს ქალბატონს ჩვენი გადამღები ჯგუფი ბათუმში ესტუმრა, შედეგად კი, ულამაზესი ფოტოსესია და საკმაოდ ვრცელი, გულახდილი ინტერვიუ მივიღეთ. თუმცა, სჯობს ეს ყველაფერი თავადვე წაიკითხოთ.

კიდევ ერთი წარმატებული ქალბატონი, რომელსაც ოქტომბრის ნომერში ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე შეხვდებით, ასევე ხელოვნების სფეროს წარმომადგენელია, თანაც – საერთაშორისო დონეზე. ქართველი მხატვარი **რუსუდან ფეტვიაშვილი**, რომლის ნახატები აქამდე HERMÉS-ის შარფებს ამშვენებდა, ამჯერად VILLEROY & BOCH-თან თანამშრომლობს. ამ ყველაფერზე კი ჩვენს მკითხველს რუსუდანი თავად უამბობს.

ზაფხული ჰოლივუდური წვეულებებისა და გლამურული ღონისძიებების კუთხით, ყოველთვის პასიური სეზონია, თუმცა ეს ტენდენცია შემოდგომის დადგომისთანავე იცვლება. ცოტა ხნის წინ, მაღალი რანგის კინოვარსკვლავებმა **EMMY-ს დაჯილდოებაზე** მოიყარეს თავი. ცხადია, ღონისძიების ვრცელ მიმოხილვასა და ექსკლუზიურ ფოტომასალას ჩვენს ჟურნალში გაეცნობით.

ქართველ და ჰოლივუდელ ვარსკვლავებთან ერთად, **HELLO!** მოდისა და სილამაზის შესახებაც უამრავ საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით.

ჩვენი LIFESTYLE-ის ბლოკი ქალბატონებს გარდერობსა და თავის მოვლასთან დაკავშირებული ყველა საინტერესო და აუცილებელი რჩევით გაანებივრებს. გაიგებთ, რომელი ტენდენციებია ოქტობრისთვის აქტუალური და შეიტყობთ, სად შეიძინოთ მოდური სამოსი თბილისში. გაეცნობით წონაში კლებისა და სასურველი ფორმის შეძენის ეფექტურ ხერხს – ვარჯიშსა და ჯანსაღი კვების კომბინაციას. შეიტყობთ, როგორ მოუაროთ კანს საზღვაო სეზონის შემდეგ და როგორი მანიკიური თუ მაკიაჟია ამ სეზონზე აქტუალური.

ცხადია, შემოდგომა ღვინისა და რთველის გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომ, ოქტომბერში, ამ ჯადოსნურ სითხეს მოდა, თავის მოვლა, მოგზაურობა და გასტრონომიაც მჭიდროდ უკავშირდება.

ვფიქრობ, ჩვენი ჟურნალი თქვენთვის ამ კუთხითაც საკმაოდ საინტერესო და ამომწურავი გზამკვლევის როლს შეასრულებს.

მაშ ასე, მოიმარჯვეთ ხელში ჭიქა საფერავი და შეუდექით **HELLO!**-ს ოქტომბრის ნომრის ფურცვლას, მე კი ნოემბრამდე დაგემშვიდობებით.

ნინო იოსელიანი
მთავარი რედაქტორი

რედაქტორის არჩევანი

PHYTODENSIA

შესძინეთ თქვენს თმას ახალი სიცოცხლე !
ინოვაცია

მოცულობის მიმნიჭებელი, სილამაზის რიტუალი
თხელი უსიცოცხლო თმისთის.
თქვენი თმის ახალი
სიცოცხლის მინიჭებისა და ბზინვარებისათვის ფიტომ შექმნა
ახალი გამა ფიტოდენსია, რომელიც თავისი უნუკალური,
აქტიური მცენარეული ინგრედიენტების წყალობით უწევს
პრევენციას ჭაღარა თმის გაჩენას, აქვს გლობალური
ასაკსაწინააღმდეგო მოქმედება.
ვერონიასა და ყურძნის ექსტრაქტი აჯანსაღებს თმის
ბოლქვებს და უზრუნველყოფს ახალი სიცოცხლისუნარიანი
თმის ზრდას. ჰიალურონის მჟავა და აკაციას კოლაგენი
მატებს თმას მოცულობას, ბზინვარებას, სიჯანსაღესა და
სირბილეს.

PHYTO
BOTANICAL POWER

PHYTO PARIS

XXL

დასვენების ოთხი სეზონი

Four Seasons of Rest

Relax Pool

სარელაქსაციო აუზი

Tobbogan

ტოპოგანი

Kids Pool

საბავშვო აუზი

გვსურს შემოგთავაზოთ ლაღვები ჯანთის სასმოთხეში

Enjoy your autumn in our Paradise

The Weather is Created in Gino

ამინდი იქმნება ჯინოში

GINO PARADISE

თბილისი, ბეშენოვას 9/ლიპტოვის 8

9 Beshenova/8 Liptov, Tbilisi

www.ginoparadise.ge

ტელ: (+995 32) 2 15 85 85

HELLO! GEORGIA

სარჩევი

#015 • ოქტომბერი • 2017

ვარსკვლავური ისტორიები

12 **ნიკოლა შონი** და **კირა ჩაპლინი** – ცნობილი ადამიანების წარმატებული შთამომავლები

22 **ელისო ბოლქვაძე** მუსიკისა და პირადი ცხოვრების შესახებ

28 **ანდრეა ბოჩელი** თავის ტოსკანურ სოფლის ტიპის სახლში გვეპატიჟება

50 **თეონა დვალი** – ქართულ-იტალიური ქორწილის ექსკლუზიური დეტალები

62 **EMMYS 2017** – „წითელი ხალიჩა“, გლამური, გამარჯვებულები

მუდმივი რუბრიკები

38 **NSIDE STORY** – ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან

46 **PANORAMA** – მაიკ პენსი საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია

48 **30 დღე** – მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა

114 **HALF HOUR** – მარიდეა გელაშვილი და გურიჩა ქვრივიშვილი

დასაწ. 71 გვ.-დან

lifestyle

მოდა • სილამაზე • რჩევები
მოგზაურობა • კულინარია

•ღრუბელი•
ორთქლის
ქარხანა
#ღრუბელიგემრიელია
#ღრუბელიუვნებელია
#ღრუბელივაკე
ი. აბაშიძის 38
#ღრუბელისაბურთალო
მ. კოსტავას 76
#ღრუბელივერა
მ. კოსტავას 23
#ღრუბელითბილისიმოლი
#ღრუბელიგორი
სმარტი
#ღრუბელიფრესკოვაშაგე
#ღრუბელიბათუმი
ghrubeli
ghrubeliofficial

საუბარი განსხვავებულ წინაპრებზე

ნიკოლა შონი და პირა ჩაპლინი

მაიამიში მდებარე მომაჯადოებელ სახლში გვეპატიჟებიან და გვიყვებიან, როგორ გადაიზარდა მეგობრობა სასიყვარულო ურთიერთობაში

ნიკოლა შონის ცხოვრების წყურვილმა უჩვეულო ადგილებში მისი არაერთი გასაოგნებელი თავგადასავალი განაპირობა – იგი ხან ცხელი უდაბნოდან თოვლიან ჰიმალაიებში, ხან კი მძვინვარე ატლანტის ოკეანედან სამხრეთ აფრიკის ჩახუთულ ჯუნგლებში აღმოჩნდებოდა. ამჯერად კი ის აქ არის: მშვიდ, სადა და სიცოცხლით სავსე კოლონიალური ტიპის სახლში, რომელიც მაიამის ერთ-ერთ ყველაზე ექსკლუზიურ ანკლავში – ბეი პოინტში მდებარეობს.

ნიკოლა არ განეკუთვნება ადამიანების იმ კატეგორიას, რომლებიც ნახევარ გზაზე ჩერდებიან, ამიტომ რესტავრატორმა და უძრავი ქონების ინვესტორმა თავისი მშობლიური იტალიიდან ჩამოიტანა ყველაფერი, რაც სახლის ასაშენებლად დასჭირდებოდა. „ყველაფერი ეს კონტეინერებით ჩამოვიდა და თავი აქ მოიყარა“, – ამბობს ის, გვერდს კი მისი ცხოვრე-

„ჩემთვის ბებია დედაც იყო და მამაც. ჩემი ღირებულებები და სამუშაო ეთიკა მისგან მომდინარეობს“ – ნიკოლა

ბის ახალი ქალბატონი უმშვენებს – კირა ჩაპლინი, პროდიუსერი, დიზაინერი, ყოფილი მოდელი და კინოლეგენდის – ჩარლის შვილიშვილი.

„კირას ამ სახლში წინასაახალწლოდ გამართულ სადილზე დავუახლოვდი. იგი აქ თავის მეგობრებთან ერთად მოვიდა და აი, ჩვენ ერთად ვართ“, – ამბობს ნიკოლა თავისი აქტიური ცხოვრების მორიგ მოულოდნელ სიურპრიზზე.

თავად ნიკოლასაც ცნობილი ბებია ჰყავს – ის გავლენიანი იტალიელი დიზაინერი მილა შონი გახლავთ, რომელმაც 1960-იან წლებში თავისი გამორჩეული ხელწერა მკაცრი ხაზების, გეომეტრიული ფორმის მოხატულობებისა და შეკერილი შალის პალტოების სახით დატოვა. ინოვაციური სტილი ტრადიციულ სარჩულზე უარის თქმასა და შალის ორი ▶

„ჩერასის“ ქვედაბოლოში გამოწყობილი კირა და ნიკოლა კოლონიალური სტილის მაიამის სახლის პირზე. „ეს სახლი ალბათ ჩემი ფავორიტია“ – ამბობს ნიკოლა



ტერასაზე განტვირთვისა და სადილობის დროს (მარცხნივ); მდიდრული ბაღები მშვიდი ხედებით ტკბობის საშუალებას იძლევა (ზევით და მარჯვნივ); არხი ყურესა და ოკეანეში ჩაედინება, იქ მოხვედრა კი ნიკოლას საკუთარი ძრავიანი გემით შეუძლია (ზევით, მარცხნივ).

ფენის ერთმანეთზე მიკერვას გულისხმობდა. მოგვიანებით, ეს სტილი ცნობილი გახდა სახელით DOUBLE FACING. აღსანიშნავია, რომ მილა შონის COUTURE ტანსაცმლის მოყვარულთა შორის ჯეკი კენედიც იყო.

თავისი ბებიისგან, რომელთანაც იგი გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა კიდეც, ნიკოლას ბევრი რამ გამოყვა, განსაკუთრებით კი სტილის მისეული შეგრძნება. ნიკოლას ბაბუა – დედის მამა, წარმატებული მშენებელი იყო. ბებია-ბაბუის გავლენა ნიკოლას მომაჯადოებელ მყუდრო მაიამურ სახლში იგრძნობა, სადაც ფუფუნება და კომფორტი ერთმანეთს ერწყმის.

მოგვიყევით მილაზე - თქვენს დიზაინერ ბებიაზე...

ნ.ბ. მე მისი პირველი შვილიშვილი ვარ. მამაჩემს – ჯორჯიოს, კიდევ სამი შვილი ჰყავდა. ჩემი მშობლები ერთმანეთს გაშორდნენ, ასე რომ მე ბებიამ

„ვგიჟდები სახლებზე, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა“ - ნიკოლა

გამზარდა. მასთან ერთად მილანში 16-დან 27 წლამდე ვცხოვრობდი. ის ჩემთვის დედაც იყო და მამაც.

როგორც ჩანს, ძლიერი ნებისყოფის ქალი ბრძანდებოდა...

ნ.ბ. ნამდვილი მატრიარქი იყო და არაჩვეულებრივი გემოვნებით გამოირჩეოდა. პატიოსანი, მკაცრი და პრინციპების ქალი გახლდათ. ჩემი ღირებულებები, სხვების პატივისცემა და სამუშაო ეთიკა მისგან მომდინარეობს. დაუღალავი მშრომელი იყო. მასთან ერთად მთელი მსოფლიო მოვიარე – ვესწრებოდი სხვადასხვა ღონისძიებას, მოდის შოუებსა და დაჯილდოების ცერემონიებს. როგორც წესი, წელიწადში ორ თვეს იაპონიაში ვატარებდით.

სტილის მისეული შეგრძნება თუ გამოგყვათ?

ნ.ბ. ესთეტიკური თვალსაზრისით, ძალიან მომთხოვნი ვარ. ესთეტიკა ბებიაჩემთან ყოფნის დროს შევისწავლე. თუმცა ბევრი რამ ვისწავლე დედაჩემისგანაც, რომელიც გავლენიანი მილანური ოჯახიდან გახლდათ. ჩემი მეორე ბაბუა-ბებიისგანაც, რომლებიც ▶ ხელოვნების ნიმუშებს აგროვებდნენ და

„ჩემი მშობლები გაყრილები იყვნენ. არ მინდა საკუთარ მომავალ ოჯახს იგივე ვუსურვო“ – ნიკოლა

მისაღები და სასადილო ოთახების სწორხაზოვნება (ზევით და მარჯვნივ) ნიკოლას ბებიის – მოდის დიზაინერ მილა შონის გავლენაა, რომელმაც 1960-იან წლებში სახელი ფუფუნებისადმი განსხვავებული მიდგომით გაითქვა. თანამედროვე დეკორი გრძელდება ფლორიდას სახლის სადა, ჰაეროვან სამზარეულოშიც (ქვევით).

მას შემდეგ, რაც წყვილი ერთმანეთს ახალ წელს შეხვდა, ნიკოლასა და კირას ურთიერთობა ახალ სასიყვარულო ფაზაში გადავიდა. „კარგი ადამიანია, ჭკვიანი, განათლებული და ლამაზი“, – ამბობს ნიკოლა

მამაჩემისგან, რომელიც ვინტაჟური მანქანების კოლექციონერი გახლდათ (და ამავდროულად, ჩემპიონი მრბოლელი იყო). ჩემ გარშემო ყოველთვის ფუფუნება სუფევდა – იქნებოდა ეს მოდის სამყარო თუ პიედმონტი, სადაც ღვინის ქარხნები გვაქვს. ვიცნობდი იმდროინდელ მთავარ არქიტექტორებს – მონჯიარდინოსა და პერეგოს, რომლებიც ბებიაჩემის მეგობრები იყვნენ. ეს იყო ელეგანტურობასა და დახვეწილობაში ჩაფლული სამყარო.

თქვენ რომელი გზა აირჩიეთ?

ნ.შ. ვსწავლობდი სამართალს, თუმცა შემდეგ მუშაობა გადავწყვიტე. ჯერ ბებიაჩემთან ვმუშაობდი, მერე კი მამაჩემთან, რომელიც ჩრდილოეთ იტალიაში „მაზერატისა“ და „ფერარის“ წარმომადგენლობებს ფლობდა. ასე რომ, თავი ოჯახის ყველა ბიზნესში გამოვცადე. ამის შემდეგ გადავწყვიტე ბედი უძრავი ქონების სფეროში მეცადა, კერძოდ – ვაჭრობისა და შეფასების მიმართულებით აშშ-ში, მონტე კარლოსა და იტალიაში. დედაჩემის მამა ცნობილი მშენებელი იყო, მაგრამ დედაჩემი, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობდა, ვერ მართავდა ოჯახის მთელ უძრავ ქონებას, ამიტომაც გადავწყვიტე ხელი ამ საქმისთვის მომეკიდა. ▶

„ვერთობი, როდესაც თამაში მიწევს, თუმცა ამ დროს არ შეგიძლია აკეთო ის, რაც გსურს. უფროსობა მიყვარს“ – კირა

საძინებლების სადა ელეგანტურობა (ზევით და ქვევით) ამერიკის მზიან შტატში მდებარე კარიბის სტილით შთაგონებული სახლის მშვიდ და კომფორტულ ტონს ხაზს უსვამს. მოგზაურობის მოყვარული ნიკოლა, თავის დროს რამდენიმე სახლს შორის ანაწილებს: აქ – მაიამიში, კენიაში (აფრიკა), ხმელთაშუა ზღვის კურორტებზე, მონტე-კარლოსა და სანტროპეში და მშობლიური იტალიის ქალაქ მილანში.

მშენებლობით ძალიან გატაცებული ბრძანდებით?

ნ.შ. ვგიჟდები აგურებსა და ცემენტზე, სახლებზე, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა, სახლებზე, რომლებიც პრეზერვაციას საჭიროებენ – ისევე, როგორც ეს სახლი. ეს ჩემ მიერ მაიამიში აშენებული მეექვსე სახლია და ალბათ ფავორიტად მივიჩნევ. აქ მშვიდობისა და დაცულობის შეგრძნება სუფევს.

BAY POINT-ი მაიამის კერძო დასახლებაა, სადაც ჩვენ თავად ვფლობთ ქუჩებს, ტბას და ყურესკენ ან ზღვისკენ მიმავალ არხებს. ჩვენ საკუთარი პოლიცია გვყავს, რომელიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. აქ მოხვედრა მხოლოდ მაცხოვრებელს ან სტუმარს შეუძლია. ტბა ყურესთან ორი არხით არის დაკავშირებული. სამშენებლო სივრცე უზარმაზარია, ასე რომ სრული კონფიდენციალურობაა.

ამ სახლს იტალიურ სახლს უწოდებდით?

ნ.შ. მომწონს ე.წ. CREOLE არქიტექტურა კარიბის ტიპური კოლონიალური სახ-

ლებით, სახურავებით. მოხიბლული ვარ ლამაზი, თეთრი შენობებით. მინდოდა ყველაფერი ეს მაიამიში გადმომეტანა და ამეშენებინა კლასიკური სახლი, რომელიც მუდამ იარსებებდა. ეს სახლი იტალიელმა პროფესიონალებმა ააშენეს. მასალა იტალიაში შევიძინეთ და კონტეინერებით აქ გამოვაგზავნინეთ. არქიტექტორი იტალიელია; ინტერიერის დიზაინერი – ფაბრიციო კოჩიც იტალიელი გახლავთ. მასვე ეკუთვნის მილანში ჩემი სახლისა და იახტის დიზაინი. ექსტერიერის დიზაინერი ნეაპოლიდან ჩამოვიყვანეთ. სახლის ირგვლივ მცენარეების, ბუჩქნარებისა და ყვავილების 170 სახეობას ნახავთ.

მაიამიში ცნობილი რესტორნის მეპატრონეც ბრძანდებით...

ნ.შ. მიყვარს რესტორნების სამყარო და ვგიჟდები ღვინოზე, ვენახებსა და გემრიელ საჭმელზე. QUATTRO GASTRONOMIA ITALIANA 11 წლის წინ უბრალოდ, გასართობად გავხსენი. ძალიან წარმატებული გამოდგა. კიდევ ერთი რესტორანი გვაქვს MEXICO CITY-ში, რომელიც 5 წლის წინ გაიხსნა, ხოლო ახლო მომავალში კიდევ ერთის გახსნას კანკუნში ვაპირებთ.

ყველაზე დიდი ფუფუნება თქვენთვის რა არის?

ნ.შ. რამდენიმე დღე ამ ყველაფრისგან მოშორებით. მაგალითად, როცა ჩემს მეგობრებთან ერთად ატლანტის ოკეანეში გავდივართ და უკიდეგანო სივრცით ვტკბებით. მიყვარს უკაცრიელი გარემო, მიტოვებული ყურეებისა და მსგავსი ადგილების სტუმრობა. ზღვა კი თავისი ყველა ფორმით მაკვირვებს.

ამდენი გატაცება გაქვთ... იმედოვნებთ, რომ მომავალში ამას ოჯახს გაუზიარებთ?

ნ.შ. ჩემი მშობლები გაყრილები იყვნენ და არ მინდა საკუთარმა მომავალმა ოჯახმა იგივე განიცადოს, ამიტომაც ნამდვილად ვარ დაინტერესებული მხოლოდ სერიოზული და გრძელვადიანი ურთიერთობით. ვეძებ ქალს, რომელსაც ყველა ის თვისება აქვს, რომელიც მე მხიბლავს.

რა თვისებებია ეს?

ნ.შ. კარგი დედა უნდა იყოს. უყვარდეს ოჯახური ცხოვრება და კარგად გამოიყურებოდეს. ჩემს სურვილებს უთქმელად უნდა ხვდებოდეს.

კირას როგორ შეხვდით?

ნ.შ. კირას წელს, ამ სახლში, წინასაახალწლოდ გამართულ სადილზე დავუახლოვდი. აქ მეგობრებთან ერთად მოვიდა. ისე კი, დიდი ხნის, დაახლოებით ათი წლის წინ გავიცანი და აი, დღეს ჩვენ ერთად ვართ. კარგი ადამიანია, ჭკვიანი, განათლებული და ლამაზი. ვნახოთ...

კირა, თქვენ ჩარლი ჩაპლინის შვილიშვილი ბრძანდებით...

ნ.შ. ჩარლის არ ვიცნობდი, რადგან, რომ დავიბადე, უკვე გარდაცვლილი იყო. თუმცა მასში ყოველთვის „ჩემს მფარველ ანგელოზს“ ვხედავ. მისი საქმიანობა მთლიანად მაქვს შესწავლილი და უბრალოდ, ვაღმერთებ. მომწონს ის ფაქტი, რომ იგი მსოფლიო მოქალაქე და ჰუმანისტი იყო. დიდი გულის პატრონი, და დიდი ბავშვი გახლდათ, რომელიც მხოლოდ გართობაზე ფიქრობდა. მამაჩემი ძალიან ჰგავდა მას. ჩარლი თავისი საქმის უზომოდ ერთგული იყო. ყოველ წელს, ნიუ-იორკში მდებარე ლინკოლნ-ცენტრში CHAPLIN AWARDS ვმართავთ. პირველად დაჯილდოების ეს ცერემონია 44 წლის წინ გაიმართა, როდესაც ბაბუაჩემმა „ოსკარი“ მოიპოვა. ჩართული ვარ ცერემონიის ორგანიზებასა და მის საზეიმო წარმართვაში.

თქვენს ბოლო საქველმოქმედო პროექტზე გვიამბეთ.

კირამ სცადა ბედი მსახიობობაში, თუმცა კამერის მიღმა მუსიკალური ვიდეოებისა და დოკუმენტური ფილმების პროდიუსირება ურჩევნია. „ქალისთვის მუშაობა მნიშვნელოვანია - ისევე, როგორც ამ სამუშაოსთვის მისით აღფრთოვანება“ - ამბობს ის

მისაღებ ოთახში ალბერტა ფერეტის კაბაში გამონყობილ კირასთან მოკალათებული ნიკოლა ბებიამისის საქმიანობაზე წიგნს კითხულობს.

„ჯერ ბებიაჩემთან ვმუშაობდი, მერე კი მამაჩემთან, რომელიც ჩრდილოეთ იტალიაში „მაზერატისა“ და „ფერარის“ წარმომადგენლობებს ფლობდა“- ნიკოლა

ნ.შ. ეს არის RALLYE AÏCHA DES GAZELLES DU MAROC-ის 27-ე გამოცემა. ამ ღონისძიების სახელწოდებაა „მხოლოდ ქალები მაროკოს უდაბნოს რბოლაში“, და მე მისი ელჩი ვარ. პროექტი ორი კვირა გრძელდება და მისი მიზანია დაეხმაროს COEUR DE GAZELLES-ს, რომელიც თავის მხრივ ეხმარება მაროკოელ ქალებსა და ბავშვებს – მედიკამენტების, სამედიცინო მომსახურებისა და სასკოლო განათლების მიღებაში. რბოლაში პარტნიორობას ჩემი მეგობარი, კოკო შანელის შვილიშვილი მიწევს. კარვებში გვძინავს და მაროკოულ საჭმელს მივირთმევთ. არანაირი GPS – მხოლოდ რუკა, და არანაირი ტელეფონები.

მსახიობიც ბრძანდებით?

ნ.შ. ვერთობი, როდესაც თამაში მიწევს, თუმცა მსახიობი არ ვარ. უფრო ორგანიზატორი გახლავართ – მიყვარს უფროსობა. როდესაც როლს ასახიერებ, ძალაუნებურად ყველას ითვალისწინებ – არ შეგიძლია აკეთო ის, რაც გსურს. მუშაობა კადრს მიღმა მირჩევნია. დაპროდიუსერებული მაქვს მუსიკალური ვიდეოები და დოკუმენტური ფილმები – ლოს-ანჯელესში საკუთარი პროდაქშენკომპანია მაქვს. მირჩევნია ახალი შესაძლებლობების ძიება, ვიდრე მხოლოდ ბიზნესვუმენობა. ვფიქრობ, ქალისთვის მუშაობა მნიშვნელოვანია – ისევე, როგორც ამ სამუშაოსთვის მისით აღფრთოვანება.

ტექსტი: NANA BOTTAZZI
ფოტო: BEPPE BUTTINONI
სახლის ფოტოები: GIORGIO BARON POSED
მაკიაჟი: YANIRMA DAVID
თმა: TODD PHILIPS

შეიძინეთ დახვეწილი დიზაინის მქონე, სრულად აღჭურვილი აპარტამენტები შავი ზღვის სანაპიროზე – მრავალფეროვანი სერვისით და ინფრასტრუქტურით გამორჩეულ უნიკალურ კომპლექს "დრიმლენდ ოაზისში"

www.dreamland.ge | info@dreamland.ge | +995 322 10 20 40

„როდესაც ბათუმის ფესტივალი დავიწყე, არ მიფიქრია, რომ ეს ღონისძიება ამხელა დროსა და ენერგიას წაიღებდა. გარკვეული პერიოდი ვფიქრობდი, რომ გავჩერდებოდი კიდეც, თუმცა მივხვდი – ეს ფესტივალი ჩემთვის ძალიან ძვირფასია და ვერასოდეს მივატოვებ“.

იუნესკოს პირველი ქართველი არტისტი

ელისო ბოლქვაძე

მუსიკისა და პირადი ცხოვრების შესახებ

„15 მარტს ანჯელინა ჯოლისთან ერთად ჟენევაში, VIEIRA DE MELLO-ს საერთაშორისო ფონდისთვის გამართულ სემინარში მივიღეთ მონაწილეობა“

ბოეტისა და ლიტერატორების ოჯახში დაბადებული ქალბატონი ელისო ბოლქვაძე, რომელიც დღეს მსოფლიოში აღიარებული პიანისტი და საზოგადო მოღვაწეა, უკვე ათწლეულებია საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, თუმცა წელიწადში ერთხელ საკუთარ ფესვებს უბრუნდება და რამდენიმე კვირას ბათუმში ატარებს. ელისო ბოლქვაძემ ამჯერად ბათუმის რიგით მე-5 მუსიკალური ფესტივალი ჩაატარა და უკვე მომავალი სეზონის დასაწყებად ემზადება. HELLO! ბათუმს სპეციალურად ქართველი არტისტის მოსანახულებლად ეწვია.

თბილისელ მსმენელს ძალიან მოენატრეთ. რატომ აღარ უკრავთ დედაქალაქში?

ე.ბ. უბრალოდ, დრო აღარ მაქვს. იმდენად გადმორთული ვარ ბათუმის ფესტივალზე, რომ მთელი ჩემი ენერგია ამ ქალაქზეა მომართული. ფაქტობრივად, უკვე დაგეგმილი მაქვს 2018 წლის პროგრამა. მახარებს წლევანდელი ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა – 11 წლის გოგონა, რომელიც ახალქალაქიდან სპეციალურად კონკურსისთვის ჩამოვიდა. ის გამორჩეული ტალანტია და მისთვის ახლა იწყება პროცესი, რომელიც განავითარებს და სამომავლოდ მიმართულებას მისცემს.

რატომ შეარჩიეთ საფესტივალო ლოკაციად ბათუმი?

ე.ბ. ბათუმში გავიზარდე. დედაჩემი ბათუმიდანაა და მთელი ბავშვობა აქ მაქვს გატარებული. მიმაჩნია, რომ ეს ნამდვილი საფესტივალო ქალაქია, სადაც მზე, ზღვა და ისეთი ინფრასტრუქტურაა, რომელიც ნებისმიერი ტიპის ღონისძიების ჩატარების საშუალებას იძლევა. ამ მხრივ, ბათუმი ნამდვილად გამორჩეული ქალაქია.

როგორც ვიცი, ბათუმის ფესტივალს ძალიან დიდ დროს უთმობთ.

„წელს მე-5 ფესტივალი ჩავატარეთ და ვფიქრობ წლებთან ერთად დიდი გამოცდილება დამიგროვდა“.

მ.ბ. როდესაც ბათუმის ფესტივალი დავიწყე, არ მიფიქრია, რომ ამდენ დროსა და ენერგიას წაიღებდა. გარკვეული პერიოდი ვფიქრობდი, რომ აღარ გავაგრძელებდი, თუმცა მივხვდი – ფესტივალი ჩემთვის ძალიან ძვირფასი გახდა და ვერასოდეს მივატოვებ. წელს საიუბილეო, მე-5 ფესტივალი ჩატარდა და ვფიქრობ, წლებთან ერთად დიდი გამოცდილება დამიგროვდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ამჯერად ფესტივალი იუნესკოს მხარდაჭერით წარიმართა და მისი განუყოფელი ნაწილი გახდა, რაც დამატებითი ვალდებულებების აღებას გულისხმობს. ასე რომ, ბევრი სამომავლო გეგმა მაქვს, რომელიც ჩემს ჯგუფთან ერთად უნდა განვახორციელო.

თქვენი სამომავლო გეგმები როგორია? სად უნდა გიპოვოთ მსმენელმა?

მ.ბ. 20 სექტემბერს, ბაქოში, ალიევის ფონდის მიწვევით, ოქტომბერში ერევანში, კოპენჰაგენსა და ვენაში; ნოემბერში კი – იაპონიასა და ქუვეითში; შემდეგ საფრანგეთში, იტალიაში, ასევე უკრაინაში, სლოვენიაში, ემირატებში,

„იუნესკოში კონკრეტული მიმართულება მაქვს – ეს ბავშვების მუსიკალური განათლების პროცესში მონაწილეობაა“

„1997-1998 წლებში, როდესაც საქართველოში კულტურული ცხოვრების არანაირი პირობა არ არსებობდა, ბატონი მიშელ სონი საქართველოში მოვიწვიე და რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა მოვასმენინე“.

„ბათუმის ფესტივალის მიმართულებაა, გახდეს საქართველოს კულტურული ცხოვრების სავიზიტო ბარათი“

შეერთებულ შტატებში და ჩინეთში. გარდა ამისა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე ჩემს კომპაქტ-დისკს უკავშირდება. კრებულს იტალიაში ჩავწერ, იანვარში. სამზადისის პროცესი დიდ დროს მოითხოვს, ასე რომ, ჩაწერას ახალი წლის პერიოდში დავიწყებ. საბოლოოდ, კრებული დღის სინათლეს 2018 წლის სექტემბერში იხილავს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტიტულის მფლობელი გახდით. რას ნიშნავს იუნესკოს არტისტის წოდება?

ე.ბ. იუნესკოს მშვიდობის არტისტის წოდება ქართველ მუსიკოსს პირველად მიენიჭა. ეს სტატუსი განსაზღვრავს არტისტის ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის კეთილ ნებას ჰუმანიტარული მიმართულებით და ასევე ღირებულებებით, რომლებსაც იუნესკო იცავს. თითქმის 20 წელია საზღვარგარეთ ვცხოვრობ. როდესაც წლების წინ ავსტრიაში მიმიწვიეს, წილად მხვდა გავცნობოდი მეტად საინტერესო მუსიკოსსა და კომპოზიტორს – მიშელ სონის, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა. მიშელ სონიმ შექმნა ფონდი SOS TALENTS FOUNDATION, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მათ შორის – ქართველი ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენისა და ხელშეწყობის მიმართულებით.

1997-1998 წლებში, როდესაც საქართველოში კულტურული ცხოვრების არანაირი პირობა არ არსებობდა, ბატონი მიშელი საქართველოში მოვიწვიე და რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა მოვასმენინე. სწორედ მაშინ დაიწყო მისი ჩართულობა ნიჭიერი თაობის ხელშეწყობისა და ფორმირების პროცესში. მე არ დავიშურე ენერგია, რომ პროექტი განვითარებულიყო და წარმატება მოეტანა ქართველი ბავშვებისათვის. იუნესკოში ჩემი კონკრეტული მიმართულებაა ახალგაზრდების მუსიკალური განათლების პროცესში მონაწილეობა.

საუბარი არა მხოლოდ პროფესიონალ მუსიკოსებზე, არამედ, ზოგადად, საქართველოში კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციისა და მოტივაციის გაღვივებაშია. ბათუმის ფესტივალის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სწორედ ეს გახლავთ.

განხილვის თემა თქვენი და ანჯელინა ჯოლის ფოტოები გახდა. სად და როგორ გაიცანით ჰოლივუდელი ვარსკვლავი?

ე.ბ. 15 მარტს ანჯელინა ჯოლისთან ერთად ჟენევაში, VIEIRA DE MELLO-ს საერთაშორისო ფონდისთვის გამართულ სემინარში მივიღეთ მონაწილეობა. ▶

„თითქმის 20 წელია საზღვარგარეთ ვცხოვრობ. წლების წინ, როდესაც ავსტრიაში მოვხვდი, წილად ძალიან საინტერესო და ატიპური მუსიკოსის გაცნობის საშუალება მომეცა“.

„იუნესკოს არტისტის სტატუსი ავტომატურად ნიშნავს ულევ შესაძლებლობას, თუმცა ამ წოდების მატარებელი ნებისმიერი არტისტის შემოქმედება საზოგადოების ჰუმანური განვითარების პროცესში უნდა იყოს ჩართული “.

„წელს ფესტივალი იუნესკოში მოხვდა, რაც დამატებითი ვალდებულებების აღებას გულისხმობს“

ეს არაჩვეულებრივი პიროვნება შეხვედრას გაეროს ემისრის სტატუსით დაესწრო და არაჩვეულებრივად საინტერესო ლექცია წაიკითხა. მე, როგორც იუნესკოს არტისტი, სემინარზე რამდენიმე სოლო ნომრით მიმიწვიეს. ძალიან მნიშვნელოვანია ცნობილი პიროვნებების ჩართულობა საზოგადოებრივ, ჰუმანურ ქმედებებში, რომელსაც ანჯელინა ჯოლი აბსოლუტურად ამართლებს.

რამდენად რჩება წარმატებულ ქალს დრო პირადი ცხოვრებისთვის?

ე.ბ. რა თქმა უნდა, რთულია დროის პირადი ცხოვრებისთვის გამოყოფა და მიმაჩნია, რომ ამ თემაზე ლაპარაკიც დროის ფუჭი ხარჯვაა. ჩემი პერსონა მომავალ თაობას მუსიკოსად უნდა დაამახსოვრდეს და არა სკანდალურ ქალბატონად. ეს ჩემთვის ძალიან მიუღებელი და იაფფასიანი პიარია. ასეთი ეგოცენტრული დამოკიდებულება ცხოვრებისადმი და საკუთარი პერსონისადმი არასოდეს ყოფილა ჩემი თვითმიზანი. პირადი ცხოვრება სახალხოდ გასარჩევ თემად არ უნდა იქცეს. როდესაც შეეკვარებული ხარ, ეს თავისთავად აისახება შემოქმედებაზე და ქალის გარეგნობაზე, მისი თვალების გამომეტყველებაზე... სიყვარულის გარეშე არც ხელოვნება არსებობს და არც ქველმოქმედება. მე ყოველთვის ვცდილობ ფილოსოფიური კუთხით მივუდგე ცხოვრებას – წარმატებასა და წარუმატებლობას ადამიანის არსის შემადგენელ ნაწილად მივიჩნევ.

ქალაქი, რომელიც ყოველთვის საკვანძო ადგილად დარჩება...

ე.ბ. ჩემთვის მზის სხივებით გამთბარი ბათუმი რჩება, ფესტივალთან დაკავშირებული იდეებით. თუმცა გეგმაში დასავლეთის რეგიონებში გაშლა მაქვს ჩაფიქრებული. ბათუმის ფესტივალის მომავალი განვითარების მიმართულებაა, გახდეს საქართველოს კულტურული ცხოვრების სავიზიტო ბარათი მსოფლიო მასშტაბით. ვფიქრობ, ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უცხოელ არტისტებზე ორიენტირება, არამედ სწორედ ქართველი კომპოზიტორების და არტისტების წარმოჩენა და ჩამოყალიბება, რაც ფესტივალს განსაკუთრებულ ხელწერასა და ინდივიდუალობას შესძენს.

ტექსტი: ნინუცა მაისურაძე
ფოტო: ლეკო ჭყონია
ლოკაცია: RADISSON BLU HOTEL, BATUMI
ჩაცმულობა: DALOOD, AVTANDIL, TAKO MEKVABIDZE
ვიზაჟი: SHERNI NAIL & BEAUTY SALON
აქსესუარები: ALDO

meet me
in the
GAP
თბილისი მოლი, აღმაშენებლის ხეივანი მე-16ჯმ / TBILISI MALL, 16KM AGHMASHENEBELI ALLEY

რანჩო, რომელიც სამი ასწლეულის განმავლობაში ბოჩელის ოჯახის ნავსაყუდელია (ზევით მარცხნივ). ანდრეა დემონსტრირებას უკეთებს თავის საცხენოსნო უნარებს არაბულ ბედაურზე (მარჯვნივ), რომელიც ტოსკანური სახლის საჯინიბოში ცხოვრობს.

„ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საუკეთესო ადგილას ვცხოვრობთ. ამ ყველაფერს სამი სიტყვით გამოვხატავდი: სიყვარული, ბავშვები და რწმენა“

სახელგანთქმული ტენორი, მისი მეუღლე ვერონიკა, ქალიშვილი ვირჯინია და ვაჟები – ამოსი და მატეო, ანდრეას პირველი ქორწინებიდან (მარცხნივ)

„ჩემი საქმე ათლეტის სამუშაოს ჰგავს. თუკი სპორტულ ფორმაში არ ხარ, კარგად ვერც იმღერებ“

სრულყოფილ ჰარმონიაში ცხოვრება მეუღლესთან, ბავშვებთან და მუსიკასთან

ანდრეა ბოჩელი

თავის ტოსკანურ სოფლის ტიპის სახლში გვეპატიჟება

Ელინ დიონმა ბევრის სათქმელი თქვა: „თუ ღმერთი იმღერებდა, მას ანდრეა ბოჩელის ხმა ექნებოდა“. იტალიელი ტენორის ზეციურმა ხმამ ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ბევრი მოხიბლა, მათ შორის სუპერვარსკვლავი დივაც, რომელთანაც ბოჩელიმ დუეტში „ოსკარზე“ ნომინირებული THE PRAYER შეასრულა.

წარმატებული კარიერის განმავლოვაში, ტენორმა საკუთარი ალბიმის 80 მილიონი ეგზემპლარი გაყიდა და მსმენელის წინაშე ისეთ ადგილებში უმღერია, როგორებიცაა რომის კოლიზეუმი და ეგვიპტის პირამიდები. მისი შთამბეჭდავი ცხოვრება ამჟამად ბიოგრაფიული ფილმის – THE MUSIC OF SILENCE-ის სიუჟეტი გახდა, სადაც მუსიკოსის როლს GAME OF THRONES-ის მსახიობი ტობი სებასტიანი, ხოლო მისი მასწავლებლის როლს ანტონიო ბანდერასი ასრულებს.

ანდრეასთან შეხვედრა მცირე ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე მოვახერხეთ. მომღერალი იტალიაში ცხენიდან გადმოვარდა, რის შედეგადაც თავის ქალას უმნიშვნელო დაზიანებით თვითმფრი-ნავით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ტენორმა, რომელიც 12 წლიდან უსინათლო გახლავთ, შინ გადაყვანის შემდეგ თავის ფანებს TWITTER-ით მიმართა: „ძვირფასო მეგობრებო, მინდა დაგარწმუნოთ, რომ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ეს ცხენიდან ჩვეულებრივი გადმოვარდნა იყო“.

ანდრეას სული და გული ჯადოსნური საზაფხულო კონცერტია, რომელსაც იგი ყოველ წელს მუსიკალურ მეგობრებთან ერთად ტოსკანას სოფელ ლაიატიკოში მართავს. სოფელი არც ისე შორსაა იმ ფერმიდან, სადაც ანდრეა 59 წლის წინ დაიბადა და სადაც მისი ოჯახი 1730 წლიდან მეღვინეობას ეწევა. ისტორიული ▶

„ორი ადამიანის ერთად ყოფნისთვის, ორივე ჭკვიანი უნდა იყოს: ვერონიკა კი ძალიან ჭკვიანია“

ანდრეა და ვერონიკა ოც წელზე მეტია შეხმატკბილებულად ცხოვრობენ. მრავალსაუკუნოვანი სოფლის სახლი ქვის 9 კედელს, აგურის წყობას, გუმბათოვან ჭერსა და ხის იატაკებს აერთიანებს

„მე და ანდრეა ყოველდღიურობაში თანასწორები ვართ, თუმცა კულტურისა და გამოცდილების კუთხით, ის 20 წლით მისწრებს“

ვენახი უმაღლესი ხარისხის კაბერნე-სოვინიონსა და მდიდრულ სანჯოვეზე მილეზიმს აწარმოებს.

საცხოვრებელი სახლი, რომელსაც საჯინიბოებიც ერთვის (ანდრეას პირველი ცხენი 11 წლის ასაკში აჩუქეს), ქალაქგარეთ მდებარეობს, რაც ვარსკვლავისა და მისი ოჯახისთვის სოფლის იდეალურ გარემოს უზრუნველყოფს. მეუღლე ვერონიკა ანდრეაზე 24 წლით უმცროსია; მათი ქალიშვილი – ვირჯინია, ხუთი წლის გახლავთ. აქვე ცხოვრობს ანდრეას ორი ვაჟი პირველი ქორწინებიდან – ამოსი, 22 წლის, და მატეო – 19 წლის.

ანდრეა და ვერონიკა (რომელიც ასევე მისი მენეჯერი და საქველმოქმედო ფონდ ANDREA BOCELLI FOUNDATION-ის ვიცეთავმჯდომარეა) ქორწინებამდე ერთად 12 წლის განმავლობაში იყვნენ, 2014 წელს კი ოჯახის წევრებისა და მეგობრების წრეში, ლივორნოში მდებარე მონტენეროს ტაძარში ოფიციალურად დაქორწინდნენ. წყვილს მისალოცი ბარათი თავად რომის პაპმა ფრანცისკმაც კი გაუგზავნა.

როდესაც ანდრეა გადატვირთული გრაფიკის გამო შინიდან შორს მიემგზავრება, მისი ოჯახი ჩვეულებრივ ზღვისპირა ქალაქში – ფორტე დეი მარმიში, ანდრეას 10-საძინებლიან სახლში ცხოვრობს. ამ პერიოდში, ვერონიკას სიტყვებით, მეუღლე მას „ძალიან ლამაზ წერილებს“ წერს.

ვერონიკასთვის ეს ერთი ნახვით შეყვარება იყო, ანდრეა კი იხსენებს იმ წამს, როდესაც მისი ხმა პირველად გაიგო, და რამაც მისი გული დაიპყრო კიდეც. „მგრძნობიარე და ლამაზი

ქალის ამოცნობა მისი ხმის გაგონებიდან და ხელის შეხებიდან ხუთ წამში შემიძლია“, – ამბობს მომღერალი.

ანდრეა, მაშინვე მიხვდით, რომ ვერონიკა „ის ერთადერთი“ იყო?
ANDREA დიახ, ნამდვილად ასეა. წამსვე მივხვდი, რომ ის იყო ჩემი ბედი, რომ ის განსხვავებული იყო, თუმცა ვაღიარებ – მისმა ხმამ უფრო მომხიბლა, რადგან ხელები იმ საღამოს ცოტათი ცივი ჰქონდა. თითქმის 16 წელია ერთად ვართ. ჩემს მეუღლესთან შეხვედრამდე ძალიან ცვალებადი ხასიათი მქონდა, ემოციურად ვსაუბრობდი და ჩვენი ურთიერთობა კვირაზე მეტხანს იშვიათად გრძელდებოდა.

როგორ ფიქრობთ, რატომ ხდებოდა ასე?
ANDREA ჩემს ვნებასა და ლტოლვაზე იყო დამოკიდებული. ნამდვილად პრობლემას წარმოადგენდა, როდესაც რაღაც სერიოზულის წამოწყებას ვცდილობდი. მიუხედავად იმისა, რომ ვერონიკათი ძალიან მოვიხიბლე, სიფრთხილეს მაინც ვიჩენდი, რადგან ჩემი გრძნობები შესაძლოა ხანმოკლე აღმოჩენილიყო.

თუმცა სხვაგვარად მოხდა...
ANDREA ნამდვილად. ქიმია ჯერ კიდევ აქ არის.

რა არის თქვენი ქორწინების საიდუმლო?
ANDREA ყველაფრის თავი და თავი ეს ქიმია, და შემდეგ ინტელექტია. ორი ადამიანის ერთად ყოფნისთვის, ▶

უზარმაზარი სასადილო მაგიდა იდეალურია ოჯახის შეკრებისთვის ტრადიციული ბუხრის წინ (ზევით). სასადილო პირველი სართულის ღია სივრცის ნაწილია, რომელსაც საოცარ, გუმბათოვანი ჭერით გაფორმებულ ოთახში მივყავართ (ქვევით). ანდრეა, როგორც მსოფლიო ვარსკვლავი, ხშირად შინიდან შორსაა, მაგრამ ვერონიკასა (მარცხნივ) და მას შორის კავშირი ყოველთვის არსებობს. „პირველი, რასაც ადგომისთანავე ვაკეთებ, ჩემი ელექტრონული ფოსტის შემოწმებაა. ანდრეა ისეთ ლამაზ წერილებს მწერს, თითქოს მთელ ჩვენს ოჯახურ ცხოვრებას მოიცავსო“, - ამბობს ვერონიკა.

„ბევრს ვსაუბრობთ რელიგიაზე და ჩემი მეუღლის წყალობით, რწმენა ის სწორი ბილიკია, რომელსაც მე უკვე მრავალი წელია მივუყვები“

თაროებსა და კედლებზე ერთმანეთს ენაცვლება ძველებური ნივთები და ანდრეას არაჩვეულებრივი ცხოვრების ამსახველი შავ-თეთრი ფოტოები (ზევით). შვილი - ვირჯინია, ხოხობთან ერთად, სამზარეულოს მაგიდაზე მოთავსდა (ქვევით).

ვფიქრობ, ორივე ჭკვიანი უნდა იყოს. სიყვარული ყოველდღიური თამაშივითაა, რადგანაც ძირითადად მამაკაცები ყოველთვის ბავშვებად რჩებიან.

ქალთან თავი დამფრთხალად თუ გიგრძნიათ?
ANDRIA არასოდეს. სიმორცხვე მხოლოდ სცენაზე მახასიათებს.

ფიქრობთ, რომ გაგიმართლათ?
ANDRIA დიახ. ეს არ არის მხოლოდ ის შეგრძნება, რომ ვუყვარვარ. ნამდვილად დალოცვილი ვარ, რადგან ჩემი ოჯახისა და მეგობრების სიყვარული მაქვს. სწორედ ეს მაგრძნობინებს თავს იღბლიანად.

რა შეგრძნება გეუფლებათ, როდესაც 100 000 მაყურებლის წინაშე მღერით?
ANDRIA ეს ადრენალინია. ჩემი საქმე ათლეტის სამუშაოს ჰგავს, რადგან მომღერლებიც კუნთებით ვმუშაობთ – ხმა ხომ კუნთის მუშაობის შედეგია... ასე რომ, თუ სპორტულ ფორმაში არ ხარ, კარგად ვერც იმღერებ. შესაბამისად, საჭიროა ჯანსაღი დიეტა ალკოჰოლისა და თამბაქოს გარეშე.

თქვენ შესახებ მალე ბიოგრაფიული ფილმი გამოვა, სადაც ანტონიო ბანდერასი თამაშობს...
ANDRIA მართალი ბრძანდებით. არაჩვეულებრივი მსახიობია. მრავალმხრივი, ჭკვიანი, სიღრმისეული... აღტაცებული ვარ, რომ ამ ფილმში იღებს მონაწილეობას. მეტიც – ეჭვი არ მეპარება, რომ შესანიშნავად მოერგება ჩემი სიმღერის მასწავლებლის – მაესტრო ლუჩიანო ბეტარინის როლს.

რა მემკვიდრეობა გინდათ დატოვოთ?
ANDRIA ჯერ არ ვიცი, მაგრამ ვისურვებდი, რომ ჩემს ვაჟს – მატეოს, ჩემი პროფესიული გზა გაეგრძელებინა.

ვერონიკა, როგორ შეხვდით ერთმანეთს?
VERONIKA დაბადების დღეზე, სადაც არც მე, და როგორც მოგვიანებით გავარკვიე, არც ანდრეას წასვლა არ გვინდოდა. გამოცდების პერიოდი მქონდა, მაგრამ მეგობარმა ჟურნალისტმა მთხოვა გავ-

„ანდრეა ისეთ ლამაზ წერილებს მწერს, თითქოს მთელ ჩვენს ოჯახურ ცხოვრებას მოიცავსო“

ყოლოდი. ცოტათი მოწყენილი, ცარიელ დარბაზებში და ოთახებში დავდიოდი, როდესაც უცებ დავინახე მამაკაცი, რომელიც როიალს აწყობდა. მან ჩემი ყურადღება მიიქცია, მივუახლოვდი და გამოველაპარაკე. ანდრეას ხმის ინჟინერი აღმოჩნდა და შემომთავაზა, რომ თუ მსურდა, ანდრეას გამაცნობდა. მადლობა გადავუხადე ყურადღებისთვის და ვიფიქრე, რომ ის მალევე დაივიწყებდა ჩვენს საუბარს. მაგრამ მოგვიანებით ანდრეას ერთ-ერთი თანმხლები პირი ჩემთან მოვიდა და მის გასაცნობად წამიყვანა. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და ანდრეამ მითხრა: „სასიამოვნოა თქვენი გაცნობა“, რაზეც ვუპასუხე, რომ ჩემთვის მისი გაცნობა დიდი პატივი იყო.

გულწრფელად ვამბობ, რომ ერთი ნახვით შეყვარება არსებობს. იმ საღამოს ხელის ერთმა ჩამორთმევამ მთელი ჩემი ცხოვრება თავდაყირა დააყენა. ძლიერი ვიბრაცია ვიგრძენი და ბედისწერამ ჩემი გზა მაჩვენა.

სიგიჟემდე შეგიყვარდათ?

ვერონიკა შეყვარება აბსოლუტურად სხვა რამეა და დრო სჭირდება, ჩემ შემთხვევაში კი რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ უკვე ვიცოდი, რომ ყველაფერი მომწონდა, რაც კი მას ეხებოდა. იმ საღამოსვე, ძალიან თავაზიანად და მგრძნობიარედ, სიმღერაც კი მომიძღვნა. ▶

განუმეორებელი მზარეული: ქანთრი-სტილის სამზარეულოში წითელ კაბაში გამოწყობილი ვერონიკა, ბოჩელის ოჯახის ცნობილ ღვინოს აჭაშნიკებს. 1730 წლიდან, ბოჩელის ოჯახურ ნაკვეთზე მდებარე ვენახი უმაღლესი კლასის წითელ ღვინოს აწარმოებს.

15 წელია ერთად ხართ...

ვერონიკა ყოველი წამი შეუდარებელია. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ საუკეთესო ადგილას ვარ. ამ ყველაფერს სამი სიტყვით გამოვხატავდი: სიყვარული, ბავშვები და რწმენა. ჩვენი გრაფიკის მიუხედავად, ის გვიანობამდე მუშაობს, მე კი ძალიან ადრე ვდგები. მე და ანდრეა ბევრს ვსაუბრობთ. პირველი, რასაც ადგომისთანავე ვაკეთებ, ჩემი ელექტრონული ფოსტის შემოწმებაა – ანდრეას მიერ ჩემდამი მოწერილ წერილებს ვკითხულობ. დარწმუნებული ვარ, მომავალში, უკან რომ მოვიხედები, გავიცნობიერებ – ძალიან გამიმართლა. ანდრეა ისეთ ლამაზ წერილებს მწერს, თითქოს მთელ ჩვენს ოჯახურ ცხოვრებას მოიცავსო. ორი არაჩვეულებრივი გერის – ამოსისა და მატეოს დედინაცვლობა და პატარა ვირჯინიას დედობა, უზომო ბედნიერებას მანიჭებს. ისინი ჩვენი სიმაყე და სიხარულია. სხვათა შორის, ბევრს ვსაუბრობთ რელიგიაზე და ჩემი მეუღლის წყალობით, რწმენა ის სწორი ბილიკია, რომელსაც მე უკვე მრავალი წელია მივუყვები.

როგორ უთავსებთ ერთმანეთს ცოლის, მენეჯერის, დედისა და ფილანტროპის როლებს?

ვერონიკა მაქსიმუმს ვაკეთებ. მე და ანდრეა ყოველდღიურობაში თანასწორები ვართ, თუმცა კულტურისა და გამოცდილების კუთხით, ის 20 წლით მისწრებს. დღეც არ გადის, რომ მისგან რაიმე ახალი არ ვისწავლო.

რამდენიმე სიტყვით გვიამბეთ ფონდზე ANDREA BOCELLI FOUNDATION...

ვერონიკა ფონდი ისეთი ინიციატივების გამტარებელია, რომელიც ორიენტირებულია ადამიანებს დაეხმაროს სიღარიბისგან, შეზღუდული შესაძლებლობებისა და არახელსაყრელი სოციალური პირობებისგან გამოწვეული წინააღმდეგობების დაძლევაში. ეს განსაკუთრებით ჰაიტიზე და იტალიაში არსებულ გაჭირვებულ კომუნებზე ვრცელდება, სადაც ჩვენ წმინდა საყდართან ვთანამშრომლობთ. ასევე ვმუშაობთ კვლევით ინსტიტუტ MIT BOSTON-თან, აშშ-ში, ისეთი მოწყობილობის შექმნაზე, რომელიც უსინათლო ადამიანებს უფრო მეტ დამოუკიდებლობას მისცემს. ჰაიტიში ავაშენეთ საავადმყოფოები, მიუსაფარ ბავშვთა სახლები და სკოლები. ეს ყველაფერი ფუნქციონირებს და ჩვენ ყოველდღიურად 2500-ზე მეტ ბავშვს განათლებით, საკვებითა და სამედიცინო დახმარებით უზრუნველვყოფთ.

წყვილი ისეთივე შეყვარებულია, როგორც 2002 წელს, როდესაც ერთმანეთს პირველად შეხვდნენ. „ქიმია ჯერაც აქ არის“, – ამბობს ანდრეა. მათი 2014 წლის ქორწილი კი ორმაგი დღესასწაული იყო, რადგანაც სწორედ ამ დღეს, მათი ქალიშვილი ვირჯინია 2 წლის გახდა. მოსიყვარულე მამა თავის პატარა, ხუთი წლის გოგონას ეხვევა (ზევით).

„მგრძნობიარე და ლამაზი ქალის ამოცნობა მისი ხმის გაგონებით და ხელის შეხებით შემიძლია“

ტექსტი და ფოტო:
ESTHER PORTO
ექსტერიერის ფოტო:
CARLO BRESSAN

ჭეშმარიტად ქართული გასტრონომიული მოგზაურობა

ავთენტური ქართული სამზარეულო საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი პიკანტური თავისებურებებით აქ ფრთებს შლის. ექსკლუზიური ქართული და ევროპული ღვინოების ფართო არჩევანი კი სწორედ ის არის, რაც აქ, მსოფლიო კულტურების, რელიგიებისა და ცივილიზაციების თანხვედრის ცენტრში შეიძლება დააგემოვნოთ.

ღვინის რესტორანი ძველი თბილისის გულში

2017 CERTIFICATE of EXCELLENCE tripadvisor

რკინის რიგი #6, თბილისი; +995 599 25 06 25; +995 32 2 75 10 38

/tiflismeidani Tiflis Meidani /tiflismeidani

ხატია ბუნიათიშვილი და ზუბინ მეტა

კლასიკური მუსიკის ფესტივალის ფარგლებში საქართველოს ეწვივნენ

წინანდლის მამულის ამფითეატრში, ულამაზესი ბუნებისა და შეუდარებელი ღვინის ფონზე, **ხატია ბუნიათიშვილმა** და ისრაელის ფილარმონიულმა ორკესტრმა ლეგენდარულ **ზუბინ მეტას** დირიჟორობით, კლასიკური მუსიკის ჰანგები ააჟღერეს. კონცერტი კლასიკური მუსიკის ფესტივალის ფარგლებში გაიმართა. სწორედ ამ კონცერტით იწყება მზადება **საერთაშორისო კლასიკური მუსიკის ფესტივალისთვის**, რომელიც 2019 წლიდან გაიმართება.

ცნობილი დირიჟორი, რომელსაც მსოფლიოს არაერთი წამყვანი ორკესტრისთვის უდირიჟორია, საქართველოს პირველად ეწვია. ინდური წარმოშობის ცნობილი დირიჟორი 1978-1991 წლებში ნიუ-იორკის ფილარმონიულ ორკესტრს დირიჟორობდა, ხოლო ისრაელის ფილარმონიის ორკესტრის ხელმძღვანელად 1981 წელს დაინიშნა. რაც შეეხება არაერთი საერთაშორისო მუსიკალური ჯილდოს მფლობელ **ხატია ბუნიათიშვილს**, მას, 30 წლის ასაკში, კონცერტები აქვს გამართული მსოფლიოს ისეთ წამყვან ორკესტრებთან, როგორებიცაა BBC-ის სიმფონიური, ასევე მიუნხენისა და ისრაელის ფილარმონიული ორკესტრები.

ფოტო: „სარკე“.

MEET OCTOBER IN oktopus
OKTOPUS FITNESS CLUB
ok top us
ok
top
us
ოკტოპუს ფიტნეს კლუბი
Be ok
Climb to the top
Become one of us
OPEN: 24/7
სანდრო ეულის ქუჩა #7, თბილისი
(+995) 32 2 301 888
info@oktopus.ge
www.facebook.com/Oktopusfitness/

სერენა უილიამსი

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი გოგონას დედა გახდა

პირველ სექტემბერს **სერენა უილიამსსა** და ვებგვერდ Reddit-ის დამაარსებელ **ალექსის ოგანიანს** გოგონა შეეძინათ. ბავშვი ფლორიდაში, უესტ პალმ ბიჩის ერთ-ერთ სამედიცინო ცენტრში დაიბადა. სერენამ ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე დღეში ინსტაგრამზე გააზიარა ფოტო, წარწერით: „შეეგებეთ ოლიმპია ოგანიან უმცროსს“. სულ მცირე, 2 კვირაში კი, ოლიმპიას საკუთარი Instagram-გვერდი შეუქმნა, სადაც მას უკვე 22 ათასამდე მიმდევარი ჰყავს.

ცნობილმა მომღერალმა **ბიონსემ** საკუთარი Instagram-გვერდით მიულოცა ჩოგბურთელს დედობა. მომღერალმა ორსული სერენას ფოტო გააზიარა, სადაც იგი Vogue-ის სექტემბრის ნომრისთვის პოზირებს. ბიონსეს გარდა, სხვა ცნობილმა ადამიანებმაც მიულოცეს სერენას დედობა. მათ შორის, **პრინც ჰარის** შეყვარებულმა **მეგან მარკლიმ**. მსახიობმა ჟურნალ VOGUE-თან საუბრისას აღნიშნა: ***„ის შესანიშნავი დედა იქნება. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ სერენა კარაოკეზე არაჩვეულებრივად მღერის, ვფიქრობ ძილისპირულსაც კარგად გაართმევს თავს. ერთი სული მაქვს, ეს ვნახო“***.

ფოტოები: ნინუცა ბესელია. **ფოტო:** GETTY IMAGES, INSTAGRAM.

suavinex®

suavinex® ფუფუნების სამყარო პატარებისთვის

ბავშვთა ექსპერტი 1983 წლიდან

SUAVINEX-ი დაარსდა 1983 წელს. SUAVINEX-მა შექმნა პროექტი, რომლმაც მოახდინა რევოლუცია ბავშვთა მოვლის დარგში.

SUAVINEX-ი აწარმოებს ბოთლებს, საწოვარებს, საწოვარას სამაგრებს და კვების აქსესუარებს იმისათვის, რომ დაეხმაროს ბავშვებს გაიზარდონ ბედნიერები და ჯანმრთელები. ის გამოცდილება და know-how, რომელიც SUAVINEX-მა დააგროვა 30-ზე მეტი წლის განმავლობაში ბავშვთა მოვლის დარგში ასახულია მათი წარმოების თითოეულ პროცესში. საწოვარებისა და ბოთლების სპეციალური ფორმა, რომლის შექმნაც რეკომენდებულია ესპანეთის ბავშვთა სტომატოლოგიისა და იტალიის ორთოდონტთა ასოციაციის მიერ და მორგებულია ბავშვის ფიზიოლოგიურ და ანატომიურ თავისებურებებზე.

SUAVINEX-მა შექმნა ჭეშმარიტი ფუფუნების სამყარო პატარებისთვის

ესპანური დიზაინი „დამზადებულია ევროპაში“

SUAVINEX-ის საწოვარები, საწოვარას სამაგრები და ბოთლები დამზადებულია ევროპაში რაც ნიშნავს, რომ წარმოების თითოეული ეტაპი კონტროლდება ევროპის პედიატრთა ასოციაციის მიერ. SUAVINEX-ი აწარმოებს, როგორც ბოთლებსა და საწოვარებს ასევე აქსესუარებს: მოვლის საგნებს, როგორებიცაა სასტერილიზაციო საწმენდი საშუალებები და ნივთები პატარების კოგნიტური განვითარებისთვის.

SUAVINEX-მა მოახდინა რევოლუცია ბავშვთა მოვლის დარგში და ხელი შეუწყო მეცნიერული მიდგომისა და მოდის სამყაროს შერწყმას. SUAVINEX-ი დღეს პირველი კომპანიაა, რომელიც ქმნის საწოვარებს, ბოთლებს, საწოვარას სამაგრებს და სხვადასხვა კვების აქსესუარებს, ისინი კი თავის მხრივ წარმოადგენენ არა მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულების ნივთებს, არამედ მოდურ აქსესუარებსაც. გარდა ძირითადი კოლექციების წარმოებისა, ასევე მზადდება სადღესასწაულო ლიმიტირებული კოლექციები.

GEPHA

სს „გეფა“
სანაპიროს ქ. 6
www.suavinex.com

PARLEZ-VOUS FRANÇAIS – მუსიკალურმა ვიდეომ, რომელიც ბერას კარიერაში ფრანგულ სიმღერაზე გადაღებული პირველი ვიდეოკლიპია, სულ რაღაც ერთ კვირაში, YouTube-ზე ცხრა მილიონი ნახვა დააგროვა.

ბერა ივანიშვილი

მუსიკოსის ახალი ვიდეოკლიპი და ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე პირად ცხოვრებაში

მუსიკოსი **ბერა ივანიშვილი** ერთგულ მსმენელს, მელომანებს, გულშემატკივრებსა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს ახალი სიმღერებითა და ორიგინალური, „ჰოლივუდური“ ვიდეოკლიპებით ყოველთვის ანებივრებს. **PARLEZ-VOUS FRANÇAIS** – ასე ჰქვია ახალ მუსიკალურ ვიდეოს, რომელიც ბერას კარიერაში ფრანგულ სიმღერაზე გადაღებული პირველი ვიდეოკლიპია. ვიდეომ სოციალურ ქსელში გამოჩენისთანავე დიდი მოწონება დაიმსახურა და სულ რაღაც ერთ კვირაში, YouTube-ზე ცხრა მილიონი ნახვა დააგროვა.

სიმღერა ზაფხულში, საქართველოში ჩაიწერა. კლიპის ავტორი ქართველი რეჟისორი, **ნოდარ მარშანიშვილია**. გადაღებები რამდენიმე კვირის განმავლობაში, საქართველოში, აჭარაში მიმდინარეობდა. ძირითად ლოკაციებად შავი ზღვისპირეთი – გრიგოლეთი და ბათუმის ბოტანიკური ბაღი შეირჩა.

სცენარის მიხედვით, კლიპის სიუჟეტური ხაზი ასეთია: პოპვარსკვლავი საკუთარ კონცერტზე სცენიდან შენიშნავს გოგონას, რომელსაც კონცერტის დასრულების შემდეგ გაიცნობს. ვიდეორგოლის მეორე ნაწილში კი, წყვილი პლაჟსა და ბოტანიკურ ბაღში დროს ერთად ატარებს.

ვიდეოში მომღერალს პარტნიორობას მისი შეყვარებული – ცნობილი რუსი მოდელი, **ევა მინაევა** უწევს. ბერას და ევას ურთიერთობა 4 თვის წინ დაიწყო. სწორედ ამ პერიოდში ისინი ერთდროულად იმყოფებოდნენ კანში, 70-ე კინოფესტივალზე. მაშინ ევამ ინსტაგრამის საკუთარ გვერდზე ბერასთან ერთად გადაღებული პირველი ფოტო გამოაქვეყნა, რომელსაც საკმაოდ დამაინტრიგებელი სათაური ჰქონდა – „შენ იცი, სადაც უნდა მეძებო“.

ამჟამად ევა ლოს-ანჯელესში იმყოფება და სამოდელო კარიერას აგრძელებს. **ბერა ივანიშვილი** კი, ჯერჯერობით საქართველოშია და ახალ მუსიკალურ ნაწარმოებებსა და პროექტებზე მუშაობას აგრძელებს.

ვიდეოში მომღერალს პარტნიორობას მისი შეყვარებული – ცნობილი რუსი მოდელი, ევა მინაევა უწევს



ტექსტი: ზურა ბახტრაძეიანი, **ფოტო:** BERA.

ფერადი შემოქმედებისა და ცხოვრების მთავარი კონტურები

რუსუდან ფეტვიაშვილი

მხატვარი, რომელიც მსოფლიოს წამყვან ბრენდებთან თანამშრომლობს

„სულიერი წონასწორობა მაშინ მაქვს, როცა საკუთარ თავთან და გარემოსთან ჰარმონიულად ვარ“

წლისა და ათი თვის იყო, როცა პირველი ნახატი – უმცროსი ძმის პორტრეტი დახატა. პირველი პერსონალური გამოფენა ექვსი წლის ასაკში ჰქონდა. რვა წლის ასაკიდან კი, მისი შემოქმედება საქართველოს ფარგლებს გასცდა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთავარ საგამოფენო სივრცეებს იპყრობს. ხატავს ყოველდღე. დღეს ხატვა მისთვის ისეთივე ბუნებრივი, მნიშვნელოვანი და აუცილებელია, როგორც გაღვიძება, წყლის დალევა და სუნთქვა. ხატვის გარეშე, უბრალოდ ვერ იცოცხლებს – ეს მისი არსებობისთვის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

პირველი ქართველი მხატვარი ხართ, რომელმაც ცნობილ გერმანულ კომპანიასთან ითანამშრომლა. როგორ მოხდა თქვენი და VILLEROY&BOCH-ის შემოქმედებითი კოლაბორაცია?

რ.ფ. თბილისის VILLEROY&BOCH-ის მაღაზიის ხელმძღვანელი დამიკავშირდა და გერმანულ მხარესთან შეთანხმებით, ქართულ ბაზარზე საქმიანობის ათი წლის იუბილესთან დაკავშირებით მათთან თანამშრომლობა შემომთავაზა. სამუშაო პროცესში სრული თავისუფლება მომცეს. თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ საქართველოსთან კავშირში, რომელიღაც ისტორიულ თემას შევხებოდი ან თბილისის ხედების თემა გამეკეთებინა. საბოლოოდ, სიყვარულის თემატიკა ავირჩიე და კომპოზიციურად სამი სხვადასხვა ხასიათის, დატვირთვისა და განსხვავებული ტონალობების ნიმუში გავაკეთე. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ნახატით გაფორმებული ჩაის ჭიქის ლიმიტირებული კოლექცია გამოვიდა. სულ სამასი ცალი. VILLEROY&BOCH-ის ოჯახის შთამომავალი და გერმანიის სათაო ოფისის დირექტორი, საბოლოო შედეგით აღფრთოვანებული დარჩა, ასეთ ნამუშევარს არ ელოდნენ. მოლაპარაკებების მიხედვით შესაძლოა ჩვენი კოლაბორაცია ჭურჭლის სხვა სახეობებზეც გაგრძელდეს.

რატომ აირჩიეთ სიყვარულის თემა? ეს გრძნობა თქვენთვის ყველაზე ძვირფასი და მთავარია?

რ.ფ. საბოლოოდ, მივხვდი, რომ სიყვარული ყველაზე ამაღლებული და მნიშვნელოვანი გრძნობაა. მთელ მსოფლიოში ეს თემა ყველას ესმის, ყველასთვის ბუნებრივი, გასაგები და მისაღებია. სიყვარული ჩემი შემოქმედების მთავარი ინსპირაციაა.

დღეს რამდენად მნიშვნელოვანია ხელოვნების გადატანა ტილოდან თანამედროვე ყოფასა და ცხოვრებაში?

რ.ფ. ჩემთვის ძალიან ლამაზი, ფერადოვანი და სასიამოვნო გრძნობაა, როცა მხატვრის მსოფლმხედველობა და სულიერი განცდები საყოველთაო, ყველასთვის ხელშესახები ხდება. ძალიან მიყვარს და მომწონს, როცა საყოფაცხოვრებო ნივთებზე გადადის და ყოფითს ერწყმის ხელოვნების ის ნიმუშები, რომლებიც პრინციპში უკვდავია.

რა ეტაპზეა მოლაპარაკებები HERMÈS-ის მოდის სახლთან თანამშრომლობის შესახებ?

რ.ფ. HERMÈS-ის მოდის სახლთან თანამშრომლობა რამდენიმე წლის წინ სრულიად შემთხვევით გადაწყდა, როცა მათმა მთავარმა დიზაინერმა ჩემი კატალოგი ნახა, ნამუშევრების დინამიკურობა მოეწონა და მათ სტილთან კავშირი დაინახა. შეხვედრისას, მომავალი რვა წლის სამუშაო გეგმა უკვე წინასწარ შედგენილი ჰქონდათ, თუმცა თავსაბუ-რავების ხაზისთვის ესკიზების გაკეთება მთხოვეს. მთავარ თემად საქართველო ავიღე, როგორც აბრეშუმის გზის

„გამორჩეულად მიყვარს „ხომალდი“, რომელიც 15 წლის ასაკში დავხატე. მახსოვს, დიდ სიამოვნებას ვიღებდი ხატვის პროცესში და ჩემთვის ძალიან ძვირფასია ეს ტილო“

ქვეყანა. ერთი ცენტრალური და გარშემო რვა დამოუკიდებელი ნახატით, მთლიანი თემა ერთი შარფში გავაერთიანე. დასრულებული ნამუშევრით აღფრთოვანდნენ და მომილოცეს, მაგრამ საბოლოოდ, რაღაც მიზეზების გამო ნახატი აღარ შეიძინეს, თუმცა შეთანხმება დღესაც ძალაშია. თუ მე მოვისურვებ და მათთვის რაღაც განსაკუთრებულს გავაკეთებ, ისინი ჩემთან თანამშრომლობისთვის მზად იქნებიან.

რა გიქმნით კომფორტს მუშაობის პროცესში და რა გჭირდებათ იმისთვის, რომ ხატოთ?

რ.ფ. კომფორტულად მუშაობისთვის აუცილებლად მჭირდება სივრცე და ლამაზი ხედი. მხატვრის სამუშაო გარემო ქაოსურია – ირგვლივ საღებავები, ფუნჯები, ფურცლები... სწორედ ამიტომ, ჩემ გარშემო უნდა იყოს მოწესრიგებული გარემო, რომ მე მოუწესრიგებლად ვიმუშაო. სახატავად მჭირდება ძალიან ცოტაც და ძალიან ბევრიც – სულიერი ჰარმონია.

ყველაზე მეტად რისი ხატვა გიყვართ?

რ.ფ. ძალიან მიყვარს ადამიანების ხატვა. ადამიანი ღვთის ხატია, უსაზღვრო არსებაა დიდი შესაძლებლობებით, რომელსაც პლუსიც ბევრი აქვს და მინუსიც. მიყვარს ადამიანური გრძნობების: სიყვარულის, სიკვეთის, სიხარბის, სიძუნწის, გარყვნილების და სხვა ემოციების სხვადასხვა ფორმით, ფერითა და გამოსახულებით, ნახატში გაცოცხლება.

საკმაოდ ფერადია თქვენი შემოქმედება. რომელია თქვენი საყვარელი ფერი?

რ.ფ. ჩემს შემოქმედებაში მთავარია ხაზი, რომელიც არის ძლიერი, უწყვეტი, მთლიანი, და მას მიჰყავს მთელი შინაარსი. შემდეგ კი ფერებით ივსება კომპოზიცია. ძალიან მიყვარს მუქი ლურჯი, წყალწყალა ღია ცისფერი და ჩალისფერი ოქროსფერი.

არის თქვენს შემოქმედებაში ნახატი, რომელიც განსაკუთრებულად გიყვართ?

რ.ფ. გამორჩეულად მიყვარს „ხომალდი“, რომელსაც 15 წლის ასაკში, სამი თვე ვხატავდი. მასში ყველაზე დიდი ენერგია ჩავდე. რვაასფიგურიან ნახატში ასახულია დედამიწა, რომელიც კოსმოსში მიემართება. მახსოვს, დიდ სიამოვნებას ვიღებდი ხატვის პროცესში და ჩემთვის დღემდე ძალიან ძვირფასია ეს ტილო.

როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

რ.ფ. ვმუშაობ ახალ პროექტზე, რომელიც შვიდი განსხვავებული თავსაბურავისა და ნახატის ერთ მთლიან კონცეფციაში მოქცევას გულისხმობს. ეს გამოფენა მოეწყობა როგორც საქართველოში, ასევე საფრანგეთში. **H**

ტექსტი: ზურა მახარაშვილი
ფოტო: იკა პირველი
სტილი: თეონა ელიზბარაშვილი

HERMÈS-ის მოდის სახლთან თანამშრომლობა რამდენიმე წლის წინ სრულიად შემთხვევით გადაწყდა, როცა მათმა მთავარმა დიზაინერმა ჩემი კატალოგი ნახა, ნამუშევრების დინამიკურობა მოეწონა და მათ სტილთან კავშირი დაინახა. შეხვედრისას, მომავალი რვა წლის სამუშაო გეგმა უკვე წინასწარ შედგენილი ჰქონდათ, თუმცა თავსაბურავების ხაზისთვის ესკიზების გაკეთება მთხოვეს. მთავარ თემად საქართველო ავიღე, როგორც აბრეშუმის გზის ქვეყანა.

„მე, აქტიური მოქალაქე“

პანკისელ ბიჭებსა და გოგონებს ძალიან უყვართ კითხვა, საკუთარი მიზნები უკვე დასახული აქვთ და ისიც ზუსტად იციან, რა სჭირდებათ. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ პანკისის ხეობა სხვა ახალგაზრდებს გააცნონ და აუხსნან, რომ იქ საშიში არაფერია.

HELLO! პანკისში პირველად გაემგზავრა. დემოკრატიის ლაბორატორიის ახალი პროექტის – „**მე, აქტიური მოქალაქე**“ ფარგლებში, ჩვენ ხეობის ხუთ სოფელსა და ექვს სკოლას ვეწვიეთ. გავიცანით და თქვენც გაგაცნობთ რეგიონში მცხოვრებ მოსწავლეებს; მოგიყვებით, როგორ ცხოვრობენ, რა აინტერესებთ, რა გეგმები აქვთ და რა მიაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად საკუთარი რეგიონის განვითარებისთვის.

დუისი, ომალო, წინუბანი, დუმასტური, ბირკიანი, ჯოყოლო – პროექტმა სტარტი დუისიდან აიღო. პანკისის ხეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელი არც ისე შორსაა – თბილისიდან ავტომანქანით გზას 2 საათზე ოდნავ მეტი ჭირდება. მგზავრობისას დემოკრატიის ლაბორატორიის დამფუძნებელმა – **ნინიკო ბოჯგუამ** მოგვიყვა, რომ დაგეგმილი შეხვედრების მთავარი მიზანი ხეობაში მცხოვრებ ახალგაზრდებთან დიალოგი და მათი მოსაზრებების მოსმენაა. „***მათ უკეთ იციან, რა არის რეგიონის მთავარი გამოწვევა და სად შეიძლება იყოს მოგვარების გზები***“, – ამბობს ნინიკო.

პროექტი ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. როგორც ფონდის დირექტორი – **ირაკლი ჟორჟოლიანი** ამბობს, მათი მხარდაჭერით ხეობაში სხვა პროექტებიც განხორციელდა. „***ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ პანკისელ ახალგაზრდებს მიეცეთ განათლების გაუმჯობესებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების შესაძლებლობა***“.

დიალოგის სტიმულირებისთვის „დემოკრატიის ლაბორატორიას“ საინტერესო ფენომენი – ლიტერატურა შუამავლობს. პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, სკოლების ბიბლიოთეკები წიგნებით მომარაგდა, უფროსკლასელებს კი თანამედროვე ლიტერატურა დაურიგდათ. აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობაზეც მხატვრული ლიტერატურის ჭრილში ისაუბრეს. დისკუსია მწერალმა **გიორგი კეკელიძემ** წაიყვანა. მოსწავლეები სხვა საინტერესო სტუმრებსაც შეხვდნენ. პირველი ასეთი სტუმარი სწორედ HELLO!-ს აღმასრულებელი რედაქტორი – **ნანკა კიკალია** გახლდათ.

როგორც ირკვევა, პანკისელ ბიჭებსა და გოგონებს ძალიან უყვართ კითხვა, საკუთარი მიზნები უკვე დასახული აქვთ და ისიც ზუსტად იციან, რა სჭირდებათ. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ პანკისის ხეობა სხვა ახალგაზრდებს გააცნონ და აუხსნან, რომ იქ საშიში არაფერია. „***გვინდა ჭორებს არ***

დაუჯერონ და მათზე დაყრდნობით არ გამოიტანონ დასკვნები".

მოსწავლეებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობაც უნდათ, თანატოლების გაცნობა და მათი ისტორიების მოსმენა სურთ. იმედი აქვთ, რომ მალე ხეობაშიც ისეთივე გარემო ექნებათ, როგორიც თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდებს აქვთ.

„***მე ტანვარჯიშით ვარ დაინტერესებული, მაგრამ მისი შესწავლის საშუალება არ მაქვს. აქ მარტო ფეხბურთის მოედნები გვაქვს, სადაც მხოლოდ ბიჭებს უშვებენ. სპორტის გაკვეთილებით სპორტსმენი ვერ გავხდები, მე სპორტული დარბაზი მჭირდება – გოგონებისთვის. პანკისი ისეთი რეგიონია, სადაც გოგონებს და ბიჭებს ერთ დარბაზში არ უშვებენ***", – აღნიშნავს ერთ-ერთი მოსწავლე.

ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდების უმეტესობას ისეთი სივრცე სჭირდება, სადაც სკოლის შემდეგ შეკრებას შეძლებენ.

„***მინდა არსებობდეს ადგილი, სადაც მეგობრებთან შეხვედრას, წიგნის წაკითხვას ან ფილმის ნახვას შევძლებთ. ასეთი ადგილები ჩვენ მხოლოდ ფილმებში გვაქვს ნანახი***".

უფროსკლასელებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი თანამედროვე ლიტერატურასთან წვდომაა. როგორც თავად გვითხრეს, ახალი წიგნების ყიდვა მათ რეგიონში შეუძლებელია, ხოლო ყველაზე ახლოს წიგნების მაღაზია თელავშია. „***ყველაზე ძალიან ის გამიხარდა, რომ ჩვენთვის ჩამოტანილი წიგნიდან „ლაბირინთში მორბენალი" შემხვდა. ძალიან დიდი ხანია ვეძებ ამ წიგნს და ვერსად ვიპოვე***".

კიდევ რა აინტერესებთ და რა სჭირდებათ პანკისელ ახალგაზრდებს, შეგვიძლია დემოკრატიის ლაბორატორიის კითხვარებიდან გავიგოთ. იქ 6 სხვადასხვა სოფელში მცხოვრები უფროსკლასელების შთაბეჭდილებები, იდეები და სურვილებია ასახული, რომელთა ნაწილი 7 ოქტომბერს საჯარო ბიბლიოთეკაში გამართულ დასკვნით ღონისძიებაზე განხორციელდება. **H**



მოსწავლეებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობაც უნდათ, თანატოლების გაცნობა და მათი ისტორიების მოსმენა სურთ. იმედი აქვთ, რომ მალე ხეობაშიც ისეთივე გარემო ექნებათ, როგორიც თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდებს აქვთ.

ამინა ხანგოშვილი

დუისის საჯარო სკოლის მოსწავლე *(14 წლის)*

„ბავშვობაში ვოცნებობდი FBI-ს აგენტი გავმხდარიყავი. შემდეგ გავიზარდე და მივხვდი, რომ მინდა ბიზნესლედი გავხდე. კომუნიკაბელური ვარ, მიყვარს სხვა რელიგიის, სხვა ეროვნების ხალხთან შეხვედრა. ვიცი, მიზანს აუცილებლად მივაღწევ".

გიორგი კეკელიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი

„ამ ბავშვებთან შეხვედრა ჩემთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ვეცადე ერთი მხრივ დამეკავშირებინა მხატვრული ლიტერატურა მოქალაქესთან, მეორე მხრივ, დამენახვებინა მათთვის, როგორ გავლენას ახდენს ლიტერატურა ადამიანზე. შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო, მონოლოგის რეჟიმში არ დავრჩით, მოსწავლეები ყოველგვარი პათეტიკისა და ვალდებულებების გარეშე ჩაერთნენ დისკუსიაში. ღრმა და საინტერესო გამოსვლები ჰქონდათ. იმედი მაქვს ეს ყველაფერი მომავალშიც გაგრძელდება".

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ პანკისელ ახალგაზრდებს მიეცეთ განათლების გაუმჯობესებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების შესაძლებლობა"

ნანკა კიკალია

HELLO!-ს აღმასრულებელი რედაქტორი

„საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში, ყველა ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს განათლება და ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხებზე. პრობლემა, რომელსაც პანკისელი ახალგაზრდები ერთხმად აღნიშნავენ, რეგიონში მედიათეკებისა და ახალგაზრდების თავშეყრის ადგილების არქონაა. ვფიქრობ, ჩვენი სამოქალაქო ვალდებულებაა ჩავერთოთ ამ საკითხის მოგვარებაში. საქართველოს ძლიერი მომავალი, სწორედ განათლებულ და ნაკითხ ახალგაზრდა თაობაშია".

ზურა გაბინაშვილი

„ახალი ნათების" დამფუძნებელი

„საოცრად კარგი და ცოცხალი ბავშვები არიან. ბიზნესის განვითარების შესახებ დამისვეს შეკითხვები, რაც ძალიან მომეწონა. ის, რომ ბავშვს შეკითხვები აქვს, ნიშნავს, რომ ფიქრობს, აზროვნებს, რაც მისასალმებელია".

30 დღე

ახალი ამბების დასტა

მელანია ტრამპი პრინც ჰარის პირველად შეხვდა. ცოტა ხნის წინ, ამერიკის პირველი ლედი მეუღლის გარეშე ტურში პირველად გაემგზავრა. დანიშნულების პირველ პუნქტად ტორონტო შეირჩა. სწორედ აქ იმართება შშმ ჯარისკაცების სპორტული შეჯიბრი INVICTUS GAMES, რომლის შემქმნელი პრინცი ჰარი გახლავთ. რა თქმა უნდა, ამერიკის პირველმა ლედიმ ხელიდან შანსი არ გაუშვა და პრინცი ჰარი პირადად გაიცნო. ორი ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთს შეჯიბრის წინა დღეს ოფიციალურად შეხვდნენ და პროექტის ფარგლებში სამომავლო თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

ელენე სებისკვერაძის ანიმაციური ფილმი „პატარა ხოჭო“ ხორვატიაში გამართული წუთიანი ფილმების ფესტივალის ტრიუმფატორი გახდა. კონკურსის ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყნის 450 საკონკურსო ნამუშევრიდან 60 ფილმი შეირჩა, ხოლო გამარჯვება სწორედ ქართველმა რეჟისორმა მოიპოვა. პროფესიით არქიტექტორი ელენე სებისკვერაძე 3 წელია ანიმაციაში მუშაობს. ხორვატიაში წუთიანი ფილმების ფესტივალი უკვე 25 წელია ტარდება.

პრინცმა ჰარიმ თავის მეორე ნახევარს სიურპრიზი მოუწყო. მოგეხსენებათ, უინძორების დინასტიის წარმომადგენელი უკვე რამდენიმე თვეა მსახიობ მეგან მარკლს ხვდება. ლამაზმანი ამჟამად ტელესერიალ SUITS-ის გადაღებებშია დაკავებული. სწორედ ამ სერიალის გადასაღებ მოედანზე ესტუმრა პრინცი საყვარელ ქალს. წყაროს ცნობით, მეგანმა მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ არაფერი იცოდა, თუმცა მასზე მეტად ჰარის გამოჩენა გადამღები ჯგუფისთვის იყო მოულოდნელი. პრინცმა შესვენების დროს სერიალის შემადგენლობა პირადად გაიცნო.

ზაზა ფაჩულიამ სანაკრებო კარიერა დაასრულა. 17 წელი საქართველოს საკალათბურთო ნაკრებში – 33 წლის კალათბურთელმა სანაკრებო კარიერა დაასრულა, რის შესახებ გულშემატკივრებს სოციალურ ქსელში გავრცელებული განცხადებით აცნობა. სპორტსმენი საკლუბო კარიერას განაგრძობს. ზაზა ფაჩულიას GOLDEN STATE WARRIORS-თან ერთწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული.



ჰოლივუდელმა ვარსკვლავებმა ტელემარათონი გამართეს. პროექტიდან HAND IN HAND: A BENEFIT FOR HURRICANE RELIEF ქარიშხალ „ირმას“ მიერ დაზარალებულებისთვის 14 მილიონი დოლარის შეგროვება მოხერხდა. მარათონში რეკორდული რაოდენობის ცნობილი სახე ჩაერთო. მათ შორის იყვნენ ლეონარდო დიკაპრიო, ჯულია რობერტსი, ჯორჯ კლუნი, ტომ ჰენქსი, ჯასტინ ტიმბერლეიკი, ჯასტინ ბიბერი, კეტრინ ზეტა-ჯონსი, შერი, ჯეიმი ფოქსი, ჯენიფერ ჰადსონი და სხვა ვარსკვლავები.

კიბერუსაფრთხოების გლობალურ ინდექსში საქართველომ მეორე პოზიცია დაიკავა, რაც ნაციონალური კიბერუსაფრთხოების ინდექსის (*NCSI*) კვლევის შემდეგ გახდა ცნობილი. კვლევა ევროკავშირის დაკვეთით, 29 ქვეყანაში ჩატარდა. ინდექსი სახელმწიფოთა მიერ კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში გატარებულ ღონისძიებებს სხვადასხვა მიმართულებით აფასებს.

ტექსტი: სალომე ბალიკაშვილი

VERSACE

დონატელა ვერსაჩემ ძმის ხსოვნას ჩვენება მიუძღვნა

ჯანი ვერსაჩეს ხსოვნისადმი მიძღვნილი ჩვენება მილანის მოდის კვირეულის ფარგლებში გაიმართა. დონატელა ვერსაჩემ ძმის ხსოვნის პატივსაცემად, ჩვენებაზე ყველაზე დიდი მოთხოვნის მქონე მოდელების გვერდით, „ოქროს შემადგენლობა“ გამოიყვანა. ჯიჯი და ბელა ჰადიდებთან, კენდალ ჯენერთან, დოუცენ კროსთან და სხვა ვარსკვლავებთან ერთად, მოდის კრიტიკოსების წინაშე ისეთი ლეგენდები გამოჩნდნენ, როგორებიც სინდი კროუფორდი, ნაომი კემპბელი, კარლა ბრუნი, ჰელენა კრისტენსენი და კლაუდია შიფერი არიან. ჩვენების კულმინაცია სწორედ ის მომენტი გახლდათ, როდესაც დონატელასთან ერთად პოდიუმზე ოქროსფერ სამოსში გამოწყობილი ვარსკვლავები, GEORGE MICHAEL-ის ცნობილ სიმღერაზე FREEDOM გამოვიდნენ და ოვაციები დაიმსახურეს.

APPLE-მა 12 სექტემბერს, კალიფორნიაში, სტივ ჯობსის თეატრში ახალი iPhone 8, iPhone 8 plus და საიუბილეო iPhone X წარადგინა. როგორც სმარტფონის პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი, IPhone X-ის პრემიუმვერსიის კორპუსი მინისგან არის დამზადებული. ახალ სმარტფონს უფრო ძლიერი პროცესორი და 5.8 დიუიმიანი ეკრანი აქვს. აპარატი 12-მეგაპიქსელიანი კამერით და ორმაგი ოპტიკური სტაბილიზაციითაა აღჭურვილი. iPhone X-ის ერთ-ერთი განსაკუთრებულობა სახის ამოცნობის ტექნოლოგიაა და მისი გატეხვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

მალალა იუსუფზაი ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ცნობილი პაკისტანელი უფლებადამცველი, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. იუსუფზაი ფილოსოფიის, პოლიტიკისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე ისწავლის. მალალა იუსუფზაი 11 წლის ასაკში გახდა ცნობილი, როდესაც ინტერნეტბლოგი შექმნა, რომელზეც პაკისტანში „თალიბანის“ ქმედებებს აკრიტიკებდა და განათლების მნიშვნელობაზე წერდა.

მაიკლ ჯექსონის ახალი ალბომი გამოვიდა. ალბომში, რომელმაც დღის სინათლე 29 სექტემბერს იხილა, სახელწოდებით SCREAM ფართო საზოგადოებისთვის ნაცნობი და უცნობი სიმღერები შევიდა. ინტერნეტსივრცეში SCREAM-ის 17-წამიანი თიზერიც გამოჩნდა. აღნიშნული ალბომი მეთერთმეტეა, რომელიც მომღერლის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა.

მკვლელი რობოტების შესახებ მსოფლიოს 100-მდე წამყვანი ექსპერტი ხელოვნურ ინტელექტში გაეროს მიმართავს, რომ ორგანიზაციამ მიიღოს ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული „მკვლელი რობოტების“ შექმნა. ეს სრულიად ავტონომიური იარაღია, რომელსაც შეუძლია მიზნის ამორჩევა და მასთან ბრძოლა ადამიანის ჩარევის გარეშე. ექსპერტები გაეროს მიმართავენ, რომ აიკრძალოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შეიარაღების მართვაში. „თუ ასეთი სისტემები შეიქმნა, ომის მასშტაბი არნახულად გაიზრდება“, – წერია ექსპერტების განცხადებაში.

„ჩვენი შეხვედრა ბედისწერა იყო. ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩემი მომავალი მეუღლე, მომღერალი თუ არა, მელომანი მაინც უნდა ყოფილიყო. ჯაკომოს არაჩვეულებრივად ესმის ვოკალური ტექნიკა და თვითონაც ფანტასტიკური ხმა აქვს“.

ქართულ-იტალიური ქორწილი

თეონა დვალი და ჯაკომო რაკუნიო

ყველაზე ბედნიერი და ჯადოსნური დღის დეტალები

ერთმანეთი 2011 წელს, მოსკოვში გაიცნეს. თეონა პლასიდო დომინგოს სახელობის კონკურსში მონაწილეობდა. ჯაკომო კი, ბიზნესსაქმიანობიდან გამომდინარე, პარტნიორებთან შეხვედრაზე იმყოფებოდა. ჯაკომოს უყვარს კლასიკური მუსიკა და როცა გაიგო, რომ საოპერო მომღერლების კონცერტი ტარდებოდა, შანსი ხელიდან არ გაუშვა და თავისუფალ დროს, მუსიკის მოსასმენად მივიდა. კონცერტის დასრულების შემდეგ, თეონას მუსიკალური მონაცემებით გაკვირვებულმა და მონუსხულმა იტალიელმა ბიზნესმენმა, აღფრთოვანების გამოსახატად და მადლობის გადასახდელად პარტერიდან კულისებში გადაინაცვლა. სწორედ იქ მოხდა მათი პირველი შეხვედრა და იქიდან დაიწყო ურთიერთობა, რომელიც რამდენიმე დღეში, სოციალურ ქსელში მიმოწერით გაგრძელდა. ნელ-ნელა დამეგობრდნენ, ოთხი წლის განმავლობაში კი, თავისთავად ისე მოხდა, რომ ჯაკომომ თეონას ყველა ნაბიჯი და ყველა საკონცერტო ქალაქი თუ თარიღი იცოდა. სულ რაღაც ორი წლის წინ კი, მეგობრობა დიდ სიყვარულში გადაიზარდა და დღეს უკვე ცოლ-ქმარი არიან. ▶

ქორწილში მიწვეულ 150 სტუმარს შორის იყვნენ თეონას ოჯახის წევრები, მეგობრები იტალიიდან, საქართველოდან. მეჯვარეები. იტალიურ ქორწილში სიძესაც და პატარძალსაც ორ-ორი მეჯვარე ჰყავდათ.

„იტალიურ ქორწილში მთავარია გყავდეს კარგი ფლორისტი“

იტალიელი სიძე

თეონას მეუღლე – ჯაკომო რაკუნიო, სპეციალობით ეკონომისტ-ფინანსისტია. უკვე რამდენიმე წელია, ინტერიერის დიზაინის მოწყობის კერძო ბიზნესი აქვს. იტალიაში საცხოვრებელი სახლების თუ სხვადასხვა ცნობილი კაფე-ბარებისა და რესტორნების ქსელების ორიგინალური და დახვეწილი დიზაინი, სწორედ მისი კომპანიის დამსახურებაა. ჯაკომო მელომანია, უყვარს ოპერა და აქვს საოპერო დისკების დიდი კოლექცია. ძალიან კარგად ერკვევა ვოკალურ ტექნიკაში და მეუღლეს ხშირად აძლევს რჩევებს, რა იმღეროს და რომელი საოპერო პარტიაა მისი ხმის შესაფერისი. მგრძნობიარე, რომანტიკული ადამიანია, ბევრს მოგზაურობს და უყვარს მეუღლისთვის საჩუქრების ჩუქება ან სიურპრიზების მოწყობა.

იტალიური ქორწილი

პირველი ქორწილი და ხელის მოწერის ცერემონიალი 10 სექტემბერს იტალიის პატარა ქალაქ ნუმანაში გაიმართა. საგანგებოდ შეირჩა რესტორანი, რომელიც მთის წვერზე იდგა და საიდანაც ადრიატიკის ზღვის მომაჯადოებელი, პანორამული ხედები იშლებოდა. ქორწილში მიწვეულ 150 სტუმარს შორის იყვნენ თეონას ოჯახის წევრები, მეგობრები

იტალიიდან, საქართველოდან, და რაც მთავარია – მეჯვარეები. იტალიურ ქორწილში სიძესაც და პატარძალსაც ორ-ორი მეჯვარე ჰყავდათ. თეონას მეჯვარეები მისი ბავშვობის მეგობრები – თეონა ბაღდავაძე და გვანცა ჭელიძე იყვნენ. გვანცა სპეციალურად ამ დღისთვის, იტალიაში ნიუ-იორკიდან ჩაფრინდა. ქორწილის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში და დეკორაციის მოწყობაში, თეონას დედამთილი ეხმარებოდა. სამსართულიანი, პასტელურ ფერებში გაწყობილი ტორტი, ვარდების თაიგული და მაგიდების გასაფორმებელი სხვადასხვა ჯიშის ყვავილებიც დედამთილის დახმარებით შეირჩა.

ქორწილი საქართველოში

დროის მცირე მონაკვეთში ორი ქორწილის ორგანიზება თეონას ძალიან გაუჭირდა. ქართული ქორწილი იტალიიდან დისტანციურად დაიგეგმა. თეონას ქორწილის საორგანიზაციო საკითხებში დედა და მეგობრები ეხმარებოდნენ. იტალიიდან აგზავნიდა ფოტოებს, როგორი მოსაწვევები უნდა დაბეჭდილიყო, როგორი ტორტი, ყვავილები და დეკორაცია უნდა გაკეთებულიყო. იტალიურთან შედარებით, ქართული ქორწილი უფრო მასშტაბური გახლდათ. 24 სექტემბერს, მცხეთაში, რესტორან „გუჯარში“, სტუმრებმა შეკრება ოთხი საათიდან დაიწყეს. მიწვეულ 280 სტუმარს შორის იყვნენ როგორც მეფის მეგობრები და ნათესავები იტალიიდან, ასევე თეონას ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები მუსიკალური სამყაროდან და შოუბიზნესიდან: ნინო სურგულაძე, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, გიორგი ცაგარელი, ნიკოლოზ რაჭველი (სწორედ ნიკოლოზ რაჭველმა შეადგინა საქორწილო პროგრამა), მარინა ბერიძე, „შვიდკაცა“, სოფო ნიჟარაძე, ლექსო თორაძე (ლექსო თეონას ბიძად ეკუთვნის), ლელა წურწუმია, მამულიჩა (კახა მამულაშვილი), ლაშა ღლონტი, თეა დარჩია და სხვ. სამწუხაროდ, ქორწილს ვერ დაესწრნენ თეონას მეგობრები – ანიტა რაჭველიშვილი და ნინო მაჩაიძე, რადგან გასტროლებზე იმყოფებოდნენ. ▶

პირველი ქორწილი და ხელის მოწერის ცერემონიალი 10 სექტემბერს იტალიის პატარა ქალაქ ნუმანაში გაიმართა. საგანგებოდ შეირჩა რესტორანი, რომელიც მთის წვერზე იდგა და საიდანაც ადრიატიკის ზღვის შომაჯადოებელი, პანორამული ხედები იშლებოდა.

სამსართულიანი, პასტელურ ფერებში გაწყობილი ტორტი, ვარდების თაიგული და მაგიდების გასაფორმებელი ყვავილებიც დედამთილის დახმარებით შეირჩა.



„ხალხს ერთი ქორწილის ორგანიზება უჭირს, მე კი, ერთდროულად ორი ქორწილის დაგეგმვა მომიწია“

თეონას ხელისმომკიდე, მისი ბავშვობის მეგობარი – KEY COMMUNICATION-ის დამფუძნებელი, PR-მენეჯერი თეონა ბაღდავაძე იყო. რაც შეეხება სიძის მეჯვარეს, ის წლების მანძილზე იტალიის ყოფილი პრემიერმინისტრის – სილვიო ბერლუსკონის მარჯვენა ხელი გახლდათ, ახლა კი ცნობილი იტალიური გაზეთის მთავარი რედაქტორია.

საქორწილო კაბა

თავდაპირველად, თეონას სურვილი იყო, რომ ორივე ქორწილში სხვადასხვა სტილის – ერთი გრძელი, გაშლილი, მეორე კი ვიწრო, მოკლე კაბა ჩაეცვა, თუმცა საბოლოოდ გაუმართლა და ისეთი კაბა შეარჩია, რომ ორთავე ქორწილში ამ კაბის ჩაცმა შეძლო. კაბა რომში, საქორწილო კაბებისა და აქსესუარების შოურუმში შეიძინა. კაბა ესპანურ მოდის სახლ PRONOVIAS-ის 2018 წლის კოლექციიდანაა და მაღაზიებში მომავალი წლის გაზაფხულზე გამოჩნდება. მოცულობის მიუხედავად, კაბა საკმაოდ მსუბუქი და კომფორტულია. ვიწრო, ტანში გამოყვანილ, შლეიფიან მოდელს, გრძელი, ორნაწილიანი ფატა მოყვება, რომელიც ფრთების ასოციაციას იწვევს.

მეჯვარეები

ქართულ ქორწილში თეონასაც და ჯაკომოსაც თითო-თითო მეჯვარე ჰყავდათ. თეონას ხელისმომკიდე, მისი ბავშვობის მეგობარი – KEY COMMUNICATION-ის დამფუძნებელი, PR-მენე-

280 სტუმარს შორის იყვნენ როგორც მეფის მეგობრები და ნათესავები იტალიიდან, ასევე თეონას ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები.



„ჩემი კაბა დანახვისთანავე შემიყვარდა, გასინჯვის დროს კი, გული სხვანაირად ამიჩქარდა. ძალიან მიხარია, რომ მისი ორჯერ ჩაცმის საშუალება მომეცა“

ჯერი თეონა ბაღდავაძე იყო. რაც შეეხება სიძის მეჯვარეს, ის წლების მანძილზე იტალიის ყოფილი პრემიერმინისტრის – სილვიო ბერლუსკონის მარჯვენა ხელი გახლდათ, ახლა კი ცნობილი იტალიური გაზეთის მთავარი რედაქტორია.

საქორწილო ცეკვა

თეონასთვის ქორწილში ნეფე-პატარძლის ცეკვა ერთ-ერთი ყველაზე ემოციური და საყვარელი მომენტია, სწორედ ამიტომ, წყვილი საკუთარ ქორწილში, ქართული ცეკვის შესასრულებლად საგანგებოდ ემზადებოდა. დროის სიმცირიდან გამომდინარე, ანსამბლ „სუხიშვილების“ მოცეკვავე მარიამ მათიაშვილთან მხოლოდ 4 გაკვეთილის გავლა მოასწრეს, თუმცა ჯაკომო საკმაოდ ნიჭიერი მოსწავლე აღმოჩნდა – ილეთებს ალღო ადვილად აუღო და მაქსიმალურად შეეცადა, რომ ცეკვა „ქართული“ დედოფალთან ერთად ღირსეულად ეცეკვა.

სტილი

პატარძლის საქორწილო ვარცხნილობასა და მაკიაჟზე ეკა ჩანჩიბაძემ – „ჩანჩიკამ“ იზრუნა. რაც შეეხება საქორწილო დეკორაციას, ▶

პატარძლის საქორწილო ვარცხნილობასა და მაკიაჟზე ეკა ჩანჩიბაძემ – „ჩანჩიკამ“ იზრუნა. რაც შეეხება საქორწილო დეკორაციას, გაფორმებას და თაიგულს, მარიკა დანელიამ ყველაფერი ერთი ტონალობის, ნაზ, პასტელურ ფერებში, ყვავილებით გააწყო.

„თავს უბედნიერესად ვგრძნობ, რადგან ცხოვრების მეგზურად შემხვდა ისეთი ადამიანი, როგორზეც ყოველთვის ვოცნებობდი“

გაფორმებას და თაიგულს, მარიკა დანელიამ ყველაფერი ერთი ტონალობის, ნაზ, პასტელურ ფერებში, ყვავილებით გააწყო.

თაფლობისთვე

რამდენიმე დღეში ახალდაქორწინებულები საცხოვრებლად იტალიაში გაემგზავრებიან. ორივეს, დატვირთული სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, თაფლობისთვე ახალი წლისთვის ექნებათ და დასასვენებლად ნიუ-იორკსა და კარიბის ზღვის კუნძულებზე გაემგზავრებიან.

სამომავლო გეგმები და სიახლეები შემოქმედებაში

იტალიაში დაბრუნების შემდეგ, თეონა კვლავ აქტიურ მუშაობას შეუდგება. ორი ახალი აგენტი ჰყავს. აქვს ბევრი ახალი მოწვევა და სადებიუტო გამოსვლები მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო თეატრში. ასევე აქტიურად განაგრძობს მზადებას სოლოკონცერტებისთვის, რომლებიც იტალიაში, და თბილისში, დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. H

ტექსტი: ზურა მახარაშვილი
ფოტო: MARCO NISI CERIONI, ლეკო ჭყონია

KING DAVID

LIMITED EDITION

მუკუზნის საფერავი

ქართული პრემიალური ღვინო

ესპანელი მხატვრის

აუგუსტო ფერერ დალმაუს

ტილოზე აღბეჭდილი ქართული ისტორია

„დიდგორის რაინდი“

მეორე ქორწილი 25 წლის შემდეგ

ლევან ფხაკაძე და თეა დარსაძე

ქორწილი სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა, თუმცა ქართული გაგებით, ტრადიციული სახე არ ჰქონია

ცნობილი ოჯახი 1992 წელს შეიქმნა. ბნელ 1990-ანებში ქორწილი მშობლების დაჟინებული მოთხოვნით გადაიხადეს, თუმცა ისეთი არა, როგორზეც თავად ოცნებობდნენ. ოცნება 25 წლის შემდეგ, უკვე საკუთარი შვილების თანდასწრებით აისრულეს. კაჭრეთის სასტუმრო „ამბასადორში“ გამართულ 2-დღიან ღონისძიებას ლევან ფხაკაძისა და თეას დარსაძის მეგობრები, ოჯახის წევრები და კოლეგები ესწრებოდნენ.

პასტელური ფერის ყვავილებითა და დახვეწილი დეტალებით, ლოკაცია დიზაინერმა ხათუნა ცხონდიამ გააფორმა. კაბა, რომლითაც თეა სტუმრების წინაშე პირველად გამოჩნდა, ლონდონში მომუშავე ჰონკონგელ დიზაინერს – BARNEY CHENG-ს ეკუთვნის. პატარძალმა სადედოფლო კაბას ჰონკონგში, დიზაინერის მაღაზიაში მაშინ მიაკვლია, როდესაც საკუთარ ქალიშვილს – ანის სტუმრობდა. მეორე საპატარძლო კაბა, რომელიც თეამ ორდღიანი ქორწილისთვის შეარჩია, დიზაინერ BRUNELLO CUCINELLI-ის ხელითაა შექმნილი. ▶

კაჭრეთის სასტუმრო „ამბასადორში“ გამართულ 2-დღიან ღონისძიებას ლევან ფხაკაძისა და თეას დარსაძის მეგობრები, ოჯახის წევრები და კოლეგები ესწრებოდნენ. პასტელური ფერის ყვავილებითა და დახვეწილი დეტალებით, ლოკაცია დიზაინერმა ხათუნა ცხონდიამ გააფორმა. კაბა, რომლითაც თეა სტუმრების წინაშე პირველად გამოჩნდა, ლონდონში მომუშავე ჰონკონგელ დიზაინერს – BARNEY CHENG-ს ეკუთვნის.

ფოტოები: INTAGRAM/BIANCA BALTI, MARCO TASSINARI

პატარძალმა სადედოფლო კაბას ჰონკონგში, დიზაინერის მაღაზიაში მაშინ მიაკვლია, როდესაც საკუთარ ქალიშვილს სტუმრობდა.

საღამოს მუსიკალურად, „შვიდკაცასთან“ ერთად, „კახაბერი და ხანუმები“ აფორმებდნენ, მოგვიანებით კი სცენა ავსტრიელმა საქსოფონისტმა – MAX THE SAX-მა დაიკავა

ქორწილი სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა, თუმცა ქართული გაგებით, ტრადიციული სახე არ ჰქონია. წყვილი მაგიდასთან, სტუმრებთან ერთად იჯდა. საღამოს მუსიკალურად, „შვიდკაცასთან“ ერთად, „კახაბერი და ხანუმები“ აფორმებდნენ, მოგვიანებით კი სცენა „პაროვ სტელარის“ ავსტრიელმა საქსოფონისტმა – MAX THE SAX-მა დაიკავა.

EST. 1995

NATALI GROUP

HEALTH AND BEAUTY

TAN MAGNIFICENT
ბრწყინვალე რუჯი

TAN MAGNIFICENT
შრატი რუჯიანი სხეულის ჰიტრატაციისათვის

SMART SORBET
ულტრა დამატენიანებელი კრემი

INTENSIVE RECOVERY CREAM
ინტენსიური აღდგენის კრემი

TIMEXPERT SRNS BAG
სახის პროფესიონალური მოვლის ნაკრები

PRO 60+
ექსტრა-მკვებავი დამატენიანებელი კრემი

SLEEPING CURE
დეტოქს ღამის კონცენტრატი

HYDRACURE BOXED SET VERY DRY
კანის ჰიდრატაცია
ჰიალურონის მჟავის თერაპია,
შრატი და კრემი

VITAMIN C BEAUTY BAG
სახის პროფესიონალური მოვლის ნაკრები

INTENSIVE MULTI-CORRECTION CREAM
ინტენსიური მულტი-კორექციის კრემი

INTENSIVE MULTI-CORRECTION EMULSION
ინტენსიური მულტი-კორექციის ემულსია

PURE C ESSENCE
აღმდგენი ესენცია

POWERAGE
ანტი ასაკობრივი ემულსია

HYDRA-ELEMENTS
დამატენიანებელი სახის კრემი

PACK FOR MEN
მამაკაცის ნაკრები

FOR MEN – NOIR
სუნამო

FORCE REVIVE
ანტი ასაკობრივი სხეულის სპრეი

STUNNING LOOK
ინტენსიური თვალის მოვლის ნაკრები

TIMEXPERT SRNS EYES
გამორჩეული დეტოქსიური ფორმულა

SUPREME DEFINITION EYE CONTOUR
დეკორატიული თვალის ფანქარი

კოსტავას ქ. 67, თბილისი
(+995) 577 507 096
www.natali.ge
www.natalishop.ge

ნატალი ჯგუფი
ოფიციალური წარმომადგენელი
საქართველოში

GERMAINE DE CAPUCCINI
ADVANCED PROFESSIONAL COSMETICS

წლის ყველაზე ხმაურიანი ტელემოვლენის შეჯამება

EMMYS 2017

წამყვანმა სტივენ კოლბერმა შოუ ცეკვა-სიმღერით დაიწყო და დონალდ ტრამპით „გაჯერებული“ იუმორით გააგრძელა. სწორედ მისი დამსახურება იყო ის, რომ მთელი ცერემონია „ანტიტრამპულ“ განწყობას ატარებდა. ატარებდა. ამ მხრივ მას არც გამარჯვებულები და მათი წარმდგენები ჩამორჩნენ.

როგორც ყოველთვის, „ემის“ დაჯილდოებამ წელსაც ხმაურიანად და საინტერესოდ ჩაიარა. რიგით 69-ე ცერემონია ნომინანტთა მრავალფეროვნებით, პოლიტიკური ხუმრობებით, ისტორიული გამარჯვებებითა და სამართლიანი გადაწყვეტილებებით გამოირჩეოდა. შოუ, რომელსაც 12 მილიონამდე გულშემატკივარი უყურებდა, 17 სექტემბერს, ლოს-ანჯელესში გაიმართა...

„ემის“ დაჯილდოება ის გამორჩეული ტელემოვლენაა, რომელსაც მთელი მსოფლიო ყოველ წელს მოუთმენლად ელის. ჩამოდიან ფსონებს, გამოითქმება პროგნოზები, სახელდებიან ნომინანტები და იწყება დღეების ათვლა იმ მომენტამდე, როცა ფავორიტები ემოციურ მადლობებს გადაიხდიან...

წელს სატელევიზიო აკადემიის უმაღლესი ჯილდოს მისაღებად ის ტელეპროგრამები იბრძოდნენ, რომლებიც მაყურებლებს საინტერესო სიუჟეტებით 2016 წლის პირველი ივნისიდან 2017 წლის 31 მაისამდე ანებივრებდნენ. ყველაზე მეტი ნომინაცია HBO-ს გახმაურებულ სერიალ WESTWORLD-სა და NBC-ის კომედიურ შოუ SATURDAY NIGHT LIVE-ს ერგო. წამყვანად კი სტივენ კოლბერი დასახელდა. ამ უკანასკნელმა, შოუ ცეკვა-სიმღერით დაიწყო და დონალდ ტრამპით „გაჯერებული“ იუმორით გააგრძელა. როგორც მოგვიანებით აღნიშნეს, სწორედ მისი დამსახურება იყო ის, რომ მთელი ცერემონია „ანტიტრამპულ“ განწყობას ატარებდა. ამ მხრივ სტივენს არც გამარჯვებულები და მათი წარმდგენები ჩამორჩნენ. ყველაზე ხმაურიანი და მოულოდნელი კი თავად შონ სპაისერის სცენაზე გამოსვლა აღმოჩნდა. თეთრი სახლის ყოფილმა პრესმდივანმა, არც მეტი არც ნაკლები, საკუთარი პაროდია შეასრულა და აშშ-ის პრეზიდენტის მისამართით სარკასტული ხუმრობებიც არ დაიშურა.

„ემის“ დაჯილდოებამ წელსაც ხმაურიანად და საინტერესოდ ჩაიარა

საუკეთესო სატელევიზიო ფილმის ტიტული Netflix-ის Black Mirror-ს ერგო (ზევით). „საუკეთესო მსახიობი ქალი მინისერიალში“ ნიკოლ კიდმანი გახდა (მარჯვნივ).

პაროდიების ეპიცენტრში ტრამპი მოექცა მაშინაც, როცა ალეკ ბოლდუინი კომედიური შოუს საუკეთესო მეორეხარისხოვან მსახიობად დაასახელეს. „მგონი, ახლა სწორედ ბატონ პრეზიდენტს უნდა მივმართთ და მივულოცო – აი, ესეც თქვენი ემი!“ – აღნიშნა ქვეყნის პირველი პირის საუკეთესო პაროდისტმა და აუდიტორიას საკადრისი მადლობაც გადაუხადა.

დაჯილდოების ერთ-ერთი მთავარი გმირი THE HANDMAID'S TALE გახდა, რომელმაც წლის საუკეთესო დრამატული სერიალის ტიტული დაიმსახურა და ჯილდო მთავარი როლის შემსრულებელ ელისაბედ მოსსაც გაუნაწილა (საუკეთესო ქალი მსახიობი დრამატულ სერიალში). მარგარეტ ეტვუდის 1985 წლის მძაფრსიუჟეტიანი ნამუშევარი, რომელსაც ახალი სიცოცხლე ბრიუს მილერმა აჩუქა, თეოკრატიული დიქტატურის მსხვერპლ ქალზე მოგვითხრობს. სერიალმა, სწორად შერჩეული მსახიობებითა და საოცრად დაძაბული სიუჟეტით, ორი სეზონით მოახერხა მაყურებლის გულის მოგება. სწორედ ამის გამო, რიდ მორანო დრამატული სერიალის საუკეთესო რეჟისორად დაასახელეს.

ასეთივე დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა სერიალმა BIG LITTLE LIES, რომელშიც მთავარ როლებს ნიკოლ კიდმანი, რიზ უიზერსპუნი, შეილინ ვუდლი და ლორა დერნი ასრულებენ. „საუკეთესო მინისერიალის“ შემქმნელებს და მსახიობებს რამდენჯერმე მოუხდათ სცენაზე ასვლა და მადლობის გადახდა. ყველაზე გამორჩეული მაინც ნიკოლ კიდმანის სიტყვები იყო. „საუკეთესო მსახიობი ქალი მინისერიალში“ ოჯახური ძალადობის თემას შეეხო და აღნიშნა, რომ მისი გამარჯვება სწორედ ამ საკითხის წინ წამოწევის გამოა მნიშვნელოვანი: „თქვენი ყურადღება უკვე მივაპყარით ოჯახური ძალადობისკენ, რომელიც ძალიან რთული, მომწამვლელი და ფარული დაავადებაა, და იმაზე ღრმად აქვს ფესვები ▶

ჯილდოების ერთ-ერთი მთავარი გმირი The Handmaid's Tale გახდა, რომელმაც წლის საუკეთესო დრამატული სერიალის ტიტული დაიმსახურა და ჯილდო მთავარი როლის შემსრულებელ ელისაბედ მოსსაც გაუნაწილა. რიდ მორანო დრამატული სერიალის საუკეთესო რეჟისორად დაასახელეს (ზევით).

პაროდიების ეპიცენტრში დონალდ ტრამპი მოექცა მაშინაც, როცა ალეკ ბოლდუინი კომედიური შოუს საუკეთესო მეორეხარისხოვან მსახიობად დაასახელეს. „მგონი, ახლა სწორედ ბატონ პრეზიდენტს უნდა მივმართო და მივულოცო - აი, ესეც თქვენი ემი!" - აღნიშნა ქვეყნის პირველი პირის საუკეთესო პაროდისტმა და აუდიტორიას საკადრისი მადლობაც გადაუხადა.

„ემის" რიგით 69-ე ჯილდოებამ წარმატებით, საინტერესოდ და სამართლიანად ჩაიარა

გადგმული, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ის სავსეა სირცხვილითა და შიშით. ჩემთვის ეს ჯილდო ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ოჯახური ძალადობის თემას უფრო წინ სწევს. ამისათვის ქედის მოხრით გიხდით მადლობას! მადლობა, მადლობა, გმადლობთ!" მსახიობმა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალებიც გაამხნევა, და ამასთანავე, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მეუღლეს, რომელიც აუდიტორიაში ცრემლებს ვერ იკავებდა. ნიკოლმა ყურადღება პირველი „ემის" მიღების შემდეგაც მიიქცია, როცა BIG LITTLE LIES-ის კოლეგას – ალექსანდრ სკარსგარდს (მინისერიალში მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებელი) გამარჯვება ტუჩებში კოცნით მიულოცა!

სიხარულისა და ემოციებისგან ბრწყინავდა ამავე სერიალის პროდიუსერი და ერთ-ერთი მთავარი გმირი რიზ უიზერსპუნიც, რომელიც „საუკეთესო ქალი მსახიობის" ნომინაციაზეც იყო წარდგენილი. BIG LITTLE LIES-ის პროდიუსერმა მაყურებლებსა და სერიალების შემქმნელებს მნიშვნელოვანი შეტყობინებით მიმართა: „ტელევიზიაში ქალებისთვის საუკეთესო წელი იყო! უბრალოდ, კიდევ ერთხელ გირჩევთ – წინ წამოსწიეთ ქალები თავიანთი ისტორიებით და ამ ამბების მთავარ გმირებად აქციეთ!" შეგახსენებთ, რომ წლის საუკეთესო მინისერიალის სიუჟეტი სწორედ სამი საუკეთესო მეგობრის ირგვლივ ვითარდება და ერთდროულად მოიცავს ყველა იმ ფარულ თუ გამხელილ პრობლემას, რომელიც უამრავი ქალის ყოველდღიურ ცხოვრებაშია.

მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის დაჯილდოვდა ლორა დერნიც, რომელიც BIG LITTLE LIES-ში მთავარ გმირებზე არანაკლებ საინტერესო პერსონაჟს განასახიერებს. მისი გამარჯვება აშკარად არ გაუხარდა FEUD-ის ვარსკვლავს – ჯეკი ჰოფმანს, რომელმაც უკმაყოფილება და იმედგაცრუება ხმამაღლა გამოთქვა და დიდი მითქმა-მოთქმაც გამოიწვია. სოციალურ ქსელებში ბევრი ამტკიცებდა, რომ მისი რეაქცია მხოლოდ და მხოლოდ ხუმრობა იყო, ზოგი კი დარწმუნებული იყო იმაში, რომ მსახიობმა გულწრფელი ემოციები გამოხატა. ჯეკიმ მოგვიანებით TWITTER-ზეც გადაინაცვლა და „ემის" კომპეტენტურობაში საჯაროდ შეიტანა ეჭვი: „ლორა დერნს ცნობილი მშობლები ჰყავდა. მაპატიეთ, რომ ნამდვილი ადამიანების შვილი ვარ #ელიტიზმი #ემი2017". რასაკვირველია, ამ ტვიტის სერიოზულობაზე დავა დღემდე გრძელდება.

სამაგიეროდ, ბევრი გამომსვლელი აშკარად კმაყოფილი იყო წლევანდელი „ემის" რასობრივი მრავალფეროვნების გამო. „მონიტორზე უკვე 11 ჩვენგანი დავითვალე", – იხუმრა დეივ შაპელმა, რომელმაც მელისა მაკქართისთან ერთად კომედიური ჟანრის საუკეთესო რეჟისორი დაასახელა. ამ ტიტულის მფლობელი ATLANTA-ს შემქმნელი – დონალდ გლოვერი

დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა სერიალმა Big Little Lies, რომელშიც მთავარ როლებს ნიკოლ კიდმანი, რიზ უიზერსპუნი, შეილინ ვუდლი და ლორა დერნი ასრულებენ.

სატელევიზიო აკადემიის უმაღლესი ჯილდოს მისაღებად ის ტელეპროგრამები იბრძოდნენ, რომლებიც მაყურებლებს საინტერესო სიუჟეტებით 2016 წლის პირველი ივნისიდან 2017 წლის 31 მაისამდე ანებივრებდნენ

გახდა და ისტორიაშიც შევიდა, როგორც პირველი აფროამერიკელი რეჟისორი, რომელმაც ამ ნომინაციაში „ემის“ ჯილდო დაიმსახურა.

შოუ სხვა ისტორიული ფაქტებითაც გამოირჩეოდა. მაგალითად, რიზ აჰმედი პირველი აზიელი მამაკაცი და პირველი მუსლიმი გახდა, რომელმაც სატელევიზიო აკადემიის უმაღლესი ჯილდო მინისერიალში ან ფილმში მთავარი როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის მიიღო. ლენა უეიტი კი პირველი აფროამერიკელი ქალია, რომელმაც „ემი“ საუკეთესო სცენარისთვის დაიმსახურა. სცენარისტმა და მსახიობმა, რომელმაც MASTER OF NONE-ის ერთ-ერთი ეპიზოდი (THANKSGIVING) დაწერა და მთელი ამბავი პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით ააგო, საჯარო გამოსვლისას ლგბტ საზოგადოებას მიმართა: „ის, რაც სხვებისგან განგვასხვავებს, ჩვენი სუპერძალაა, რომელიც ყოველდღე გვაძლევს სტიმულს, გარეთ გამოვიდეთ და მსოფლიო დავიპყროთ, რადგან ეს სამყარო ვერასოდეს იქნებოდა ასეთი მშვენიერი, ჩვენ რომ არ ვარსებობდეთ“. შეგახსენებთ, რომ მითითებულ ეპიზოდში ლენა განასახიერებს ლესბოსელს, რომელიც სექსუალურ ორიენტაციას აღარ მალავს და ამის გამო ოჯახსა და საზოგადოებასთან გამკლავება უწევს.

ისტორიული იყო ის ფაქტიც, რომ ჯულია ლუისდრეიფუსმა ერთი და იგივე როლისთვის რეკორდული – რიგით მეექვსე „ემი“ დაიმსახურა. იგი მთავარ გმირს განასახიერებს კომედიურ სერიალში VEEP, რომელიც თავისი ჟანრის გამარჯვებულადაც დასახელდა. წლევანდელ ნომინანტებს ჯესიკა ბილი, ჯეიმს კორდენი, ვაიოლა დევისი, ოპრა უინფრი და სხვა ვარსკვლავები წარადგენდნენ. საუკეთესო ტელეკონკურსად NBC-ის THE VOICE დასახელდა. საუკეთესო სატელევიზიო ფილმის ტიტული კი NETFLIX-ის BLACK MIRROR-ს ერგო. საღამოს ერთ-ერთი ფავორიტი იყო სერიალი THIS IS US, რომელმაც რამდენიმე ნომინაციიდან გამარჯვება მხოლოდ მამაკაცის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებლისთვის მოიპოვა – ეს ჯილდო სტერლინ ბრაუნს გადაეცა.

კრიტიკოსთა საბოლოო შეფასებებით, მაყურებელთა გამოხმაურებებითა და შემოქმედებითი ჯგუფების რეაქციებით თუ ვიმსჯელებთ (თუ რასაკვირველია, ჯეკი ჰოფმანს არ ჩავთვლით), „ემის“ რიგით 69-ე დაჯილდოებამ წარმატებით, საინტერესოდ და სამართლიანად ჩაიარა, და მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორიის რაოდენობა ისტორიული მინიმუმი იყო, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტელემოყვარულთა ფავორიტ ცერემონიად რჩება.

ტექსტი: ელენე ბარბალიტაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES.

საუკეთესო LOOK-ები

EMMY-ის „წითელი ხალიჩიდან“

ბლამურული წვეულებებისა და ჰოლივუდური „წითელი ხალიჩების“ კუთხით საკმაოდ პასიური ზაფხულის შემდეგ, ვარსკვლავებმა EMMY-ს რიგით 69-ე დაჯილდოებაზე მოიყარეს თავი. ფოტოგრაფებისა და მსოფლიო მედიის ყურადღებას მონატრებულმა სელებრითებმა ახალი, აქტიური სეზონის დაწყება განახლებული გარდერობითა და სადღესასწაულო LOOK-ებით აღნიშნეს, HELLO!-მ კი ჩვენი მკითხველისთვის მათგან საუკეთესოები შეარჩია.

მენდი მური

მსახიობი, რომელიც ბოლო წლებში მაღალი რანგის წვეულებებზე აღარ შეგვინიშნავს, როგორც ჩანს კვლავ დაუბრუნდა ჰოლივუდურ თავყრილობებს. მენდი მურმა ამ მნიშვნელოვანი საღამოსთვის **CAROLINA HERRERA**-ს ძალზე ელეგანტური კაბა შეარჩია – თეთრისა და შავის საკმაოდ მომგებიან ფერთა შეხამებითა და დახვეწილი კორსეტით.

ჯესიკა ბილი

ჯასტინ ტიმბერლეიკის მეუღლემ არჩევანი ნაზ ფაქტურებსა და ჰაეროვან სილუეტზე შეაჩერა. ჯესიკა ბილმა მბზინვარე აქცენტებით შექმნილ, ვინტაჟური სტილის კაბასთან ბუნებრივად გაშლილი, ტალღოვანი თმა მოირგო და ცხადია, არც ძვირფასი კრისტალებით გაწყობილი შესაბამისი სამკაულები დავიწყებია.

ზოი კრავიცი

ახალგაზრდა ვარსკვლავმა „წითელი ხალიჩისთვის“ საკმაოდ არაპროგნოზირებადი და მისი ყოველდღიური სტილისგან რადიკალურად განსხვავებული LOOK-ი მოირგო. ლენი კრავიცის ქალიშვილის **DIOR**-ის კაბა იმიტირებული ბუმბულებითა და გარდამავალი ფერებით, საღამოს ერთ-ერთ ფავორიტად იქცა.

ნიკოლ კიდმანი

ჰოლივუდის ვარსკვლავი, რომელიც „წითელ ხალიჩაზე“ ყოველთვის შეუდარებლად გამოიყურება, არც ამჯერად დარჩენილა ყურადღებისა და ოვაციების გარეშე. წითელ კაბას, რომელიც სპეციალურად ავსტრალიელი მსახიობისთვის შექმნა **CALVIN KLEIN**-ის მოდის სახლმა, მხოლოდ ნიკოლის რანგის ვარსკვლავი თუ მოირგებდა ასეთი თავდაჯერებით.

რიზ უიზერსპუნი

„ქერათმიანმა ადვოკატმა“ „წითელი ხალიჩის“ სტილის კუთხით, ბოლო წლებში ნამდვილი ევოლუცია განიცადა. რიზ უიზერსპუნი უპირატესობას მუქ და მკვეთრ ფერებს ანიჭებს და გამონაკლისი არც მისი წლევანდელი EMMY-ს LOOK-ი გახლდათ. მსახიობმა **STELLA MCCARTNEY**-ს მელნისფერი პიჯაკი-ლაბადა ძალზე წარმატებით აქცია მინიკაბად. მუქი ლურჯი ქუსლიანი ფეხსაცმლისა და გაშლილი თმის მეშვეობით, რიზი ერთხმად დასახელდა ცერემონიალის ყველაზე სექსუალურ სტუმრად.

მილი ბობი ბრაუნი

13 წლის მსახიობს, მისი ასაკის გოგონებისგან განსხვავებით, „წითელ ხალიჩაზე“ პოზირების საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს. მილის LOOK-ები ყოველთვის რომანტიკული და ბავშვურია, ყოველგვარი ზედმეტი დეტალების გარეშე. გამონაკლისი არც **CALVIN KLEIN**-ის თეთრი, პრინცესას კაბა გახლდათ, რომელიც STRANGER THINGS-ის ვარსკვლავმა წლევანდელ ცერემონიალზე მოირგო.

ტექსტი: ნინო ლაბაძე. **ფოტო:** GETTY IMAGES.

106,9 FM
FORTUNA
ფორტუნა

20 წელი თქვენთან ერთად

WWW.FORTUNA.GE

გამოიწერეთ ფასდაკლებით

HELLO! GEORGIA

38₾ ერთი წლით

DHL

ადგილზე მიტანის უფასო სერვისით

HELLO!

თქვენს ოჯახებს ყოველთვე ესტუმრება!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: **+995 322 98 03 98**
ან მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: **info@hellomagazine.ge**

ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 6 და 12 თვიან გამომწერებს. შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება **HELLO!**-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. **დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**

ჯიჯი ჰადიდი შემოდგომისთვის თბილი ფერების ტარებას აძლიერებს და აქცევს კომფორტულ სამოსზე ამბიციურებს.

ტექსტი: ეკატერინა ლაბაბარი. **ფოტო:** GETTY IMAGES.

SHOPPING

GET THE LOOK!

ჯიჯი ჰადიდი OFF-DUTY სტილის ნამდვილი ვირტუოზია. სუპერმოდელის ჩაცმულობა ყოველთვის გამორჩეულად კომფორტული და მოდურია. 22 წლის ვარსკვლავმა ამჯერად ვარდისფერი შარვლისა და OVERSIZED ბლუზის დახმარებთ, კიდევ ერთი დაუვიწყარი LOOK-ი შექმნა. ჯიჯიმ ფართო შარვალს წელზე შემორტყმული ამავე ფერის შემოსაცმელი და პრინტიანი ზედატანი შეუხამა. ამ ყველაფერთან კი პატარა ზომის ANIMAL PRINT-ის ჩანთა და ორიგინალური ფორმის სათვალე მოირგო. ჰადიდის ეს LOOK-ი იდეალური საშემოდგომო სტილის ნამდვილად კარგი მაგალითია.

1. სათვალე **ADAM SELMAN** 300₾ **modaoperandi.com**; **2.** ტუჩსაცხი **MAC COSMETICS** 50₾; **3.** სვიტერი **SUGARHILL BOUTIQUE** 90₾ **fashiola.co.uk**; **4.** შარვალი **TOPSHOP** 90₾; **5.** პიჯაკი **TOPSHOP** 150₾; **6.** ჩანთა **ZARA** 149₾; **7.** ბოტასი **REEBOK** 200₾ **net-a-porter.com**

FASHION

Red Meets Pink

არსებობს ფერთა რამდენიმე კომბინაცია, რომლებიც განურჩევლად სეზონისა, ყოველთვის მოდური და ელეგანტურია

მაგალითად, ფირუზისფერი და ოქროსფერი, ბეჟი და ჭაობისფერი, და რა თქმა უნდა – წითელი და ვარდისფერი. განსხვავებული ტონალობების შერწყმის ეს ვარიაციები საოცრად უხდება როგორც კლასიკურ, ასევე CASUAL სტილის სამოსსა და LOOK-ს. 2017 წლის შემოდგომაზე, განსაკუთრებით მოდურია მკვეთრი წითელისა და პასტელის ვარდისფრის შეხამება. RED & PINK-ით ინსპირირებული LOOK-ებისთვის, გირჩევთ OSCAR DE LA RENTA-სა და VALENTINO-ს ჩვენებებთან ერთად, ქართველი დიზაინერების კოლექციებსაც გადაავლოთ თვალი.

SALVATORE FERRAGAMO
ტყავის ორმაგი
სამაჯური
400₾
farfetch.com

BERSHKA
ვინტაჟური სტილის
წითელი დენიმის
ქურთუკი
79₾

STAUD
ვარდისფერი
ბლუზა წითელი
მკლავებით
540₾
net-a-porter.com

TOPSHOP
ქვედაბოლო
დეკონსტრუქციის
ელემენტებით
110₾

STRADIVARIUS
კომფორტული
სტილის ნაქსოვი
სვიტერი
59₾

FABERLIC
წითელი პერანგი
ბაფთით

DOLCE & GABBANA
ქამარი სამაჯური
თვლებიანი
ინიციალებით
700 gel
farfetch.com

ZARA
შუზები წვრილი
ქუსლითა და წვეტიანი
ცხვირით
199₾

FABERLIC
კლასიკური სტილის
მიდი ქვედაბოლო

TOD'S
F/W 2017/18

OSCAR
DE LA RENTA
F/W 2017/18

VALENTINO
F/W 2017/18

MIU MIU
F/W 2017/18

ERDEM
F/W 2017/18

JEWLOT
სამკაულების ნაკრები – მასიური ყელსაბამი და საყურე ეთნოდეტალებით
50₾
jewlot.com

TOPSHOP
მინიკაბა TRIBAL ელემენტებით
200₾

ANNA SUI
მიდიკაბა შემოდგომის ფერებში
1200₾
net-a-porter.com

FASHION

Folk Fall

შემოდგომაზე გასული სეზონის აქტუალური ტენდენციები ყოველთვის იძენს ახალ სიცოცხლეს, ამჯერად კი გადახალისების ტაღლა ეთნოდეტალებით შექმნილ სამოსს შეეხო

ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოდური ტრენდი – ბოჰემური სტილი ამ სეზონზეც დაბრუნდა. TRIBAL-პრინტები, FOLK-დეტალები და სხვადასხვა კულტურისა და ეპოქისთვის დამახასიათებელი სილუეტები ძალიან უხდება შემოდგომის გრილ ამინდებსა და ფოთოლცვენას. აუცილებლად გირჩევთ, რომ თქვენს გარდერობს ეთნოესთეტიკით შექმნილი ბოჰემური სტილის კაბა, ნაქსოვი შემოსაცმელი და მასიური ყელსაბამი შემატოთ.

ETRO
F/W 2017/18

ETRO
F/W 2017/18

VALENTINO
F/W 2017/18

MAISON MARGIELA
F/W 2017/18

STRADIVARIUS
ტყავის ჩანთა ნაქარგებით
69₾

VISVIM
ზამშეს ფეხსაცმელი ფონჩებით
1700₾
farfetch.com

ZARA
ყვავილებიანი
შემოსაცმელი
გაშვებული მკლავებით
99₾

TOPSHOP
ბოჰემური სტილის
კაბა ორიგინალური
გულით
185₾

BERSHKA
პიჯაკი გრაფიკულ
TRIBAL ორნამენტებით
60₾

RALPH LAUREN
დენიმის ჟილეტი
ფერადი ნაქარგებითა
და ორნამენტებით
250₾
rebelle.com

ULLA JOHNSON
შავი გრძელი კაბა
ეთნოდეტალებით
1900₾
farfetch.com

STRADIVARIUS
ტყავის ქვედაბოლო
„ელვითა“ და
ნაქარგებით
99₾

VALENTINO
F/W 2017/18

GUCCI
F/W 2017/18

VALENTINO
F/W 2017/18

ETRO
F/W 2017/18

ALEXANDER MCQUEEN
F/W 2017/18

MARC JACOBS F/W 2017/18

CHLOÉ F/W 2017/18

SITUATIONIST F/W 2017/18

BALENCIAGA F/W 2017/18

SITUATIONIST F/W 2017/18

ADAM SELMAN F/W 2017/18

MARC JACOBS F/W 2017/18

AVTANDIL F/W 2017/18

TOPSHOP
ღია ცისფერი სპორტული მაისური
125₾

TOPSHOP
ხავერდის ყვითელი ბლუზა
180₾

TOPSHOP
სპორტული ბლუზა კაპიუშონით
85₾

PIFITO
მოსახერხებელი ქამარი-ჩანთა სპორტულ სტილში
20₾
amazon.com

FENTY PUMA BY RIHANNA
კომფორტული სტილის OVERSIZED ჰუდი
153₾
mytheresa.com

JOHN LEWIS
ცისფერი საწვიმარი
კაპიუშონით
300₾
johnlewis.com

F.A.M.T
პიტნისფერი
სპორტული ბლუზა
260₾
farfetch.com

FABERLIC
პრინტებიანი
ბომბერი

TOPSHOP
წითელი სპორტული
შარვალი
90₾

CAMELBAK
წყლის თერმული
ბოთლი რომელიც ვარჯიშისას
შეგიძიათ თან ატაროთ
40₾
ebay.co.uk

MARC JACOBS
F/W 2017/18

ASHISH
F/W 2017/18

JIL SANDER
კომფორტული სტილის
კედები
900₾
matchestashion.com

FASHION

Casual Sportswear

კომფორტული სვიტერები კაპიუშონით, სპორტული ტოპები, მოსახერხებელი შარვლები და ქურთუკები – ყველა სამოსი, რაც აქამდე სპორტდარბაზისა თუ იოგას გაკვეთილებისთვის იყო განკუთვნილი, ახლა CASUAL სტილის LOOK-თანაც შეგიძლიათ მოირგოთ

2017 წლის შემოდგომაზე სწორედ ყველაზე კომფორტული სპორტული სამოსია მოდური. გადაავლეთ თვალი MARC JACOBS-ის, BALENCIAGA-სა და CHLOE-ს კოლექციებს და მიიღეთ მოტივაცია თქვენი გარდერობის გადასახალისებლად. HELLO! გირჩევთ აუცილებლად შეიძინოთ კომფორტული სტილის სპორტული კედები, რომლებიც ძალიან მოსახერხებელია როგორც ჯინსთან, ასევე საშემოდგომო ჰაეროვან კაბასთან კომბინაციაში. ფეხსაცმელთან ერთად, სეზონის უპირობო MUST HAVE პრინტებიანი „ჰუდები“ გახლავთ.

ი. გოგებაშვილის 46ბ, თბილისი
593679112 ■ 593 122 393

HELLO!

beauty

FACE & BODY

TOP 4 CLINICS

ჯანსაღი სახის კანი · ლამაზი სხეული · სწორი კვება

BEAUTY

გამოძერწეთ თქვენი ნაკვთები!

მათ, ვისაც საკუთარ გარეგნობაში ცვლილებების შეტანა ყოველგვარი მტკივნეული ჩარევისა და დისკომფორტის გარეშე სურს, თანამედროვე ესთეტიკური მედიცინა სახის მოდელირების გასაოცრად ეფექტურ მეთოდს – ფილერს სთავაზობს

ცხვირის ფორმის მცირე დეფექტების კორექცია, სასურველი ზომისა თუ ფორმის ტუჩები, ყვრიმალების მოდელირება, ცხვირ-ტუჩის ნაოჭის შევსება, უკვე საკმაოდ მარტივად მისაღწევი ოცნებაა, თანაც – უმოკლედ დროში. ჩამოთვლილი პროცედურები მხოლოდ ერთი პრეპარატით - ბუნებრივი შემავსებლით, იგივე ფილერით ხორციელდება!

ფილერი შეიცავს ჰიალურონის მჟავას, რომელიც ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი ნაწილია. იგი კვებავს კანის ქსოვილებს და ატენიანებს მას. ამიტომ ფილერი აბსოლუტურად ბიოთავსებადი და უსაფრთხოა, არ იწვევს ალერგიას და არ საჭიროებს სარეაბილიტაციო პერიოდს. ფილერის გაწოვა დროთა განმავლობაში ბუნებრივად ხდება.

პროცედურას, რომლის ხანგრძლივობა 20 წუთია, მყისიერი შედეგი აქვს.

*საუნივერსიტეტო კლინიკა **„მედი“**, მ. კოსტავას ქ. 52, თბილისი*
ტელ: (+995) 322 91 00 00

ფილერი შეიცავს ჰიალურონის მჟავას, რომელიც ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი ნაწილია. იგი კვებავს და ატენიანებს კანის ქსოვილებს

ფოტო: GETTY IMAGES.

დაემშვიდობეთ მიმიკურ ნაოჭებს

არსებობს მცდარი მოსაზრება, რომ მიმიკური ნაოჭების გასწორებით სახე მიმიკას კარგავს.

საუნივერსიტეტო კლინიკა „**მედის**“ პროფესიონალი დერმატო-კოსმეტოლოგები გაგისწორებენ მიმიკურ ნაოჭებს, ამავდროულად სახეზე შეგინარჩუნებენ მიმიკას და სახის ბუნებრივ იერსახეს.

პროცედურა ტარდება 20-30 წუთის განმავლობაში, უმტკივნეულოდ, ყოველგვარი გართულების გარეშე. არ საჭიროებს ანესთეზიას. მისი დახმარებით კი ქრება ისეთი პრობლემური ნაოჭები, როგორებიცაა:

- წარბებს შორის არსებული ნაოჭები;
- თვალის ირგვლივ არსებული ნაოჭები;
- შუბლზე არსებული ნაოჭები

პრეპარატის მოქმედების ეფექტი შესამჩნევი ხდება 24-48 საათის შემდეგ, ხოლო საბოლოო შედეგი შესაძლოა შეფასდეს პროცედურიდან 7-14 დღის შემდეგ.

BEAUTY

Full Face

თამარ ციციშვილი-ქაუგილი
დერმატო-კოსმეტოლოგი

იდეალური სახე, სიმეტრიული ნაკვთები და ჰარმონიული პროპორციები – ამ ყველაფერზე „პასუხისმგებელი“ ჩვენი კანქვეშა კუნთოვანი სისტემაა, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს გარეგნობას. ალბათ ვერც კი წარმოიდგენთ, რომ ტუჩების ბუნებრივ ფორმასა და დგომაზე 18 (ინდივიდუალურ შემთხვევებში შესაძლოა მეტიც) სხვადასხვა მხარეს მიმართული კუნთია „პასუხისმგებელი“. კანქვეშ მიმდინარე პროცესები იმაზე მეტად აისახება ჩვენს ვიზუალურ მხარეზე, ვიდრე გვგონია. სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია, რომ კუნთებს შორის არსებული იდეალური ბალანსი შევინარჩუნოთ, ამ ყველაფერში კი FULL FACE-ის საოცრად ეფექტური კურსი დაგვეხმარება, რომელსაც ესთეტიკის ცენტრ „პონტურის“ დერმატო-კოსმეტოლოგი, თამარ ციციშვილი სპეციალურად HELLO!-ს მკითხველებს გააცნობს

ქალბატონი თამარი გვიმხელს, რომ პაციენტების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. კონსულტაციაზე მისულ ქალბატონებს უპირველესად თავად ეკითხება, თუ რისი შეცვლა სურთ საკუთარ გარეგნობაში. დერმატო-კოსმეტოლოგი ამბობს, რომ აუცილებელია ნებისმიერი სახის ცვლილება მთლიანი სახის პროპორციებში ჩაჯდეს და ნაკვთები ერთმანეთთან მიმართებაში ჰარმონიულად იყოს განლაგებული. როგორც ირკვევა, კანქვეშა კუნთოვანი სისტემა საკმაოდ კომპლექსური ნიღაბია, რომელსაც ასაკის მატებასთან ერთად, განსაკუთრებული მოვლა სჭირდება.

FULL FACE-ის კურსი ყველა იმ აუცილებელ კომპონენტს აერთიანებს, რომელთა დახმარებით თქვენი კანი სიღრმისეულ დონეზე დაიბრუნებს ყველა იმ მახასიათებელს, რაც ფუნქციონირებისა და სიჯანსაღისთვის ესაჭიროება, თანაც – საკმაოდ ხანგრძლივი დროით.

საწყისი ეტაპი სახის კანის სიღრმისეული წმენდა და მკვდარი უჯრედებისგან გათავისუფლება, ანუ ფილინგია. ამ ყველაფერს კი ფიზიოთერაპიის საოცრად ეფექტური სეანსი მოსდევს. მეზოთერაპია-ბიორევიტალიზაციის კომბინირებული თერაპია კანს შემდეგი ეტაპებისთვის ამზადებს, რის შემდეგაც უკვე ფრაქციული ლაზერის ჯერი დგება. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს კანის ახალი საფარის წარმოქმნას და ლიფთინგის ეფექტიც აქვს. ბოტულოტოქსინის ინიექციები **FULL FACE**-ის ციკლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია,

***FULL FACE**-ის კურსი ყველა იმ აუცილებელ კომპონენტს აერთიანებს, რომელთა დახმარებით თქვენი კანი სიღრმისეულ დონეზე დაიბრუნებს ყველა იმ მახასიათებელს, რაც ფუნქციონირებისა და სიჯანსაღისთვის ესაჭიროება, თანაც – საკმაოდ ხანგრძლივი დროით*

რომლის მეშვეობით კუნთები პირვანდელ მდგომარეობასა და მახასიათებლებს უბრუნდება.
THREADLIFTING – ძაფების დახმარებით, თქვენი კანი ვიზუალურად და კანქვეშა დონეზეც უფრო ჯანსაღი და გლუვი ხდება, თუმცა შედეგის მაქსიმალურად გასამყარებლად კიდევ ერთი კომპონენტი – შემავსებელია საჭირო. „ფილერი“ კანქვეშ ფაქტობრივად ბუნებრივ ქსოვილად „გარდაიქმნება“ და მისი ინიექციები მოცულობადაკარგულ მიდამოებშია რეკომენდებული.

ცხადია, **FULL FACE**-ის კურსს პაციენტის მოთხოვნების, ასაკისა და კანის ტიპის მიხედვით, შესაძლოა ზოგიერთი ეტაპი გამოაკლდეს ან სხვა მიემატოს – ინდივიდუალური კურსი დერმატო-კოსმეტოლოგთან კონსულტაციის შემდეგ დადგინდება. გირჩევთ, სრული თერაპიის გავლის შემდეგ, მიღებული შედეგი შემანარჩუნებელი პროცედურებით გაიმყაროთ. ეცადეთ, ხშირად ჩაიტაროთ მეზოთერაპია და დაამატოთ ფილერის ინიექციები საჭირო მიდამოებში. შედეგს, რომელსაც **FULL FACE**-ის დასრულების შემდეგ მიიღებთ, საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნებთ. სახის კანის გამაჯანსაღებელი საკმაოდ ინტენსიური და კომპლექსური ციკლის გამეორება ხელახლა აღარც დაგჭირდებათ, თუ ეფექტის შემანარჩუნებელ პროცედურებს საჭირო ინტერვალებით ჩაიტარებთ.

*ესთეტიკის ცენტრი **CONTOUR***
დ. გამრეკელის ქ. 10, თბილისი
ტელ: (+995) 322 727 000



ბოტულინო ტოქსინი
XEOMIN,
MERZ AESTHETICS

BEAUTY

როგორ მოვუაროთ სახის კანს შემოდგომაზე

საკმაოდ ცხელი და მზიანი ზაფხულის შემდეგ, ქალბატონების უმეტესობა საზღვაო კურორტებიდან მკვეთრად გარუჯული დაბრუნდა. შოკოლადისფერი ნამზეური სწორედ ის ცდუნება გახლავთ, რომელზეც უარს, როგორც წესი, ვერასოდეს ვამბობთ – მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცით რა სახის უარყოფითი გავლენისა და რისკ-ფაქტორების შემცველია მზის სხივები

სწორედ ამიტომ, შემოდგომაზე, გარუჯული კანი განსაკუთრებულ მოვლასა და ყურადღებას საჭიროებს. HELLO!-ს სილამაზისა და თავის მოვლის ექსპერტები იდეალურ POST-SUMMER თერაპიას გაგაცნობთ, რომლის დახმარებით თქვენი კანი მომენტალურად დაიბრუნებს გლუვ და ჯანსაღ იერს.

მზის სხივების ზემოქმედება კანის დაბერების დამაჩქარებელი პირველი ფაქტორია, რომელიც ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს წინასაზაფხულოდ ჩატარებული გამაახალგაზრდავებელი პროცედურების მოქმედების ხანგრძლივობას. ბოტულინო-ტოქსინის დაშლა პირდაპირ აისახება ჩვენს გარეგნობაზე – კანი ნაკლებად გლუვი, მოშვებული და არაელასტიკური ხდება.

არსებული პრობლემიდან ყველაზე მარტივი და ეფექტური გამოსავალი, მსოფლიოში აპრობირებული ერთადერთი ბოტულინო-ტოქსინის, **XEOMIN**-ის ინიექციებია, რომლის დახვეწილი ფორმულა შესაძლებლობას გვაძლევს მომდევნო პროცედურები მოკლე ინტერვალებით ჩავიტაროთ.

XEOMIN-ი თქვენს კანს სწრაფად დაუბრუნებს ახალგაზრდულ, ბუნებრივ იერსა და იდეალურ სტრუქტურას.

*აფთიაქი **ჭკს**, ესთეტიკური კაბინეტი*
ი. აბაშიძის ქ. 41, თბილისი
ტელ.: +995 0322 145 000; მობ.: +995 577 477 903

HAIRLINE
INTERNATIONAL

თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი

Scientific Center For Hair Transplantation

HAIRLINE INTERNATIONAL
რევაზ ლაღიძის ქ. 8, თბილისი
+ 995 322 30 00 30
www.hairline.ge



TWAC ბუსტერიზაციის სისტემა, რომელიც დამზადებულია ნითელი თევზის დნმ-ზე

BEAUTY

ბუსტერიზაცია გლუვი კანის საიდუმლო

სილამაზის ინდუსტრიაში ესთეტიკური მედიცინა მუდმივად განახლებადი და ყველაზე სწრაფად ცვალებადი სფეროა

ინოვაციური პროცედურები სეზონიდან სეზონამდე აუმჯობესებს საკუთარ ეფექტს, ქალბატონებს კი უფრო და უფრო მარტივად, ეფექტურად და ხარისხიანად შეუძლიათ საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა. HELLO! ამჯერად 2017 წლის შემოდგომისთვის სრულიად ექსკლუზიურ პროცედურას – **ბუსტერიზაციას** გაგაცნობთ.

ბუსტერიზაცია ინიექციური პროცედურაა, რომელიც 3-გრამიანი შპრიცით, 3-თვიანი ინტერვალებით სრულდება და ბიორევიტალიზაციაზე უფრო ღრმა და ინტენსიური ეფექტი აქვს. ინოვაციური პრეპარატი „**ტვეისი**“ (*TWAC*), რომელსაც ინიექციისას იყენებენ, წითელი თევზის დნმ-ზეა დამზადებული. პრეპარატი ჰიალურონთან ერთად ნუკლეოციდებს შეიცავს, რაც ზრდის კოლაგენის სინთეზს, ახდენს ფიბრობლასტის სტიმულაციას, უჯრედების რეგენერაციას და კანქვეშ არსებული ელასტიკური ბოჭკოების გამრავლებას.

იმ შემთხვევაში, თუ უახლოეს წარსულში სახეზე რომელიღაც პროცედურა ჰიალურონის შემცველი პრეპარატითაა გაკეთებული, „**ტვეისი**“ ახდენს ძველი ეფექტის განახლებას და მის მოქმედებასაც ახანგრძლივებს. იგი აბსოლუტურად ჰიპოალერგიულია!

ბუსტერიზაცია თქვენი კანის სიღრმისეულ დატენიანებას მომენტალურად უზრუნველყოფს, ზრუნავს კანის გლუვ, პრიალა სტრუქტურაზე და ამასთანავე, აქვს ანტი-ეიჯ და ლიფტინგის გასაოცარი ეფექტი. საქართველოში „**ტვეისის**“ ექსკლუზიური პროცედურის საკუთარ თავზე გამოცდა მხოლოდ კლინიკა **GENESIS**-ში შეგიძლიათ.

*კლინიკა „**ჯენეზისი**“*
მიცკევიჩის ქ. 27ა, თბილისი
ტელ.: +995 (322) 30 66 64; მობ.: +995 (591) 50 27 27
fb.com/genesis.clinic.geo


Genesis
a little piece of life...
კლინიკა „ჯენეზისი“, მიცკევიჩის ქ. 27ა, თბილისი • +995 (322) 30 66 64; +995 (591) 50 27 27 • fb.com/genesis.clinic.geo

FITNESS

საშემოდგომო FITNESS ROUTINE რჩევები სტეფანესგან

შემოდგომა ფიტნესისა და ვარჯიშის კუთხით ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სეზონია. სწორედ ოქტომბერში ვიწყებთ ზაფხულში მომატებული ზედმეტი კილოგრამების დაკლებასა და გაზარმაცებულ სხეულზე ზრუნვას

„გადალახეთ სიზარმაცე საკუთარ თავში. კარგად შეისწავლეთ თქვენი სხეულის მდგომარეობა და დაისახეთ მიზანი. შეუთავსეთ ფიტნესსა და კარდიოვარჯიშებს სწორი კვება“

უამრავი ჩვენგანის მსგავსად, ამ პერიოდში სპორტდარბაზებს ცნობილი ადამიანებიც ხშირად სტუმრობენ. HELLO!-მ თბილისში არსებული TOP-ფიტნესცენტრებიდან საუკეთესო საკმაოდ მარტივად შეარჩია. ჩვენი გუნდის პირადი გამოცდილების დახმარებით, ერთხმად შევჯერდით, რომ OKTOPUS ამ კუთხით საუკეთესო სივრცეა ყველასთვის, ვისაც წონაში კლება ეფექტურად, ჯანსაღად და პროფესიონალი მწვრთნელების სრული მეთვალყურეობით სურს.

როგორც აღმოჩნდა, ჩვენს მოსაზრებას სრულიად ეთანხმება სტეფანეც, რომელიც ფიტნესცენტრის ერთგული და ხშირი სტუმარია. OKTOPUS-ში მისულებმა დრო ვიხელთეთ და ქართველ ვარსკვლავს ჩვენი მკითხველისთვის საკუთარი გამოცდილებისა და რეკომენდაციების გაზიარება ვთხოვეთ.

სტეფანე, რამდენი ხანია რაც ფიტნესით დაინტერესდით და რა ინტენსივობით ვარჯიშობთ?

ს.ა. 5 წლის წინ გამიტაცა იოგამ, რის შემდეგ უკვე დაახლოებით 3 წელია, რაც სპორტდარბაზში აქტიურად სიარულიც დავიწყე. კვირაში დაახლოებით 4-ჯერ ვსტუმრობ აქაურობას და ყოველ ჯერზე ბოლომდე ვიხარჯები. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, კონცერტებისთვის განსაკუთრებული ენერგია მჭირდება, რომელსაც სწორედ ვარჯიშისგან ვიღებ. ვფიქრობ, ფორმის შენარჩუნებისა და სულიერი სიმშვიდისათვის ფიზიკური აქტივობა შეუცვლელი და ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია.

რამდენად ცდილობთ ცხოვრების ჯანსაღ წესს სწორი კვებაც შეუთავსოთ?

ს.ა. დაახლოებით 7 წელია, რაც კვების რაციონს საკმაოდ სერიოზულად ვეკიდები და მხოლოდ ჯანსაღ პროდუქტებს მივირთმევ. ზოგჯერ JUNK FOOD-საც გეახლებით, თუმცა ძალიან იშვიათად – ალბათ რამდენიმე თვეში ერთხელ. რაციონიდან თითქმის ამოღებული მაქვს შემწვარი და ცხიმიანი საკვები. არც მსიამოვნებს ვარჯიშის პარალელურად არაჯანსაღი კერძები.

როგორია თქვენი დღის რაციონი?

ს.ა. არ მივირთმევ შემწვარს და მოხრაკულს. შინ დამხმარე ქალბატონი მყავს, რომელიც ნახშირწყლებითა და პროტეინებით მდიდარ საკვებს მიმზადებს. ხშირად ვსტუმრობ OKTOPUS-ის კაფეს, სადაც ვარჯიშის შემდეგ, აუცილებელ, პროტეინებით მდიდარ შეიკვებსა და სხვადასხვა ტიპის „სნექებს“ გეახლებით.

როგორი განწყობით დაბრუნდით ახალ სეზონზე სპორტდარბაზში?

ს.ა. ზაფხულში 2 თვე ბაქოში მომიწია ყოფნა და არ მივარჯიშია. ერთი კვირაა, რაც ჩვეულ რეჟიმს დავუბრუნდი და OKTOPUS-ში სიარული განვაახლე. ზოგადად მგონია, რომ ყოველი ვარჯიშის შემდეგ, გამოყოფილი ენდორფინები მნიშვნელოვნად მიუმჯობესებს განწყობასა და პროდუქტიულობას. ჩემთვის ფიტნესი ბედნიერების მთავარი წყაროა.

როგორც გამოცდილმა ფიტნესექსპერტმა, შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ აირჩიეთ კონკრეტულად OKTOPUS-ი?

ს.ა. ამისთვის ძალიან ბევრი მიზეზი მაქვს: უპირველესად, მინდა აღვნიშნო, რომ OKTOPUS-ში წარმოდგენილი LIFE FITNESS-ის ტრენაჟორები, რომლებიც მსოფლიოში საუკეთესოდაა აღიარებული, ვარჯიშისთვის ძალიან ეფექტურია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი კომფორტული გარემოა – ჩემთვის ძალიან მოსახერხებელია ის ფაქტი, რომ პირსახოცის შინიდან ტარება არ მიწევს და აქ შხაპის მიღებისა და მოწესრიგებისთვის საჭირო ყველა ნივთი მხვდება. რაც შეეხება სატრენაჟორო დარბაზებს, ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, რომ იატაკზე ლამინატის ნაცვლად ვარჯიშისთვის მოსახერხებელი საფარი იყოს, რაც ცხადია, OKTOPUS-ში იდეალურადაა მოგვარებული. არ შემიძლია არ აღვნიშნო მწვრთნელების პროფესიონალიზმი და მეგობრული გარემო. ყველა ინსტრუქტორი მზადაა თქვენს ნებისმიერ შეკითხვას უპასუხოს და საჭირო რჩევები თუ რეკომენდაციები მოგცეთ. ასევე ძალიან მოსახერხებელია დარბაზის სიდიდე და ტრენაჟორების რაოდენობა – რიგში დგომა, ლოდინი და ადგილის უკმარისობა აქ არასოდეს შეგაწუხებთ.

რას ურჩევდით მათ, ვინც ახლა აპირებს ვარჯიშის დაწყებას?

ს.ა. გადალახეთ სიზარმაცე საკუთარ თავში. კარგად შეისწავლეთ თქვენი სხეულის მდგომარეობა და დაისახეთ მიზანი. შეუთავსეთ ფიტნესსა და კარდიოვარჯიშებს სწორი კვება. გაიარეთ კონსულტაცია OKTOPUS-ის ინსტრუქტორებთან, შეადგინეთ ვარჯიშის ინდივიდუალური გრაფიკი – აქ თქვენს ჯანმრთელობასა და სხეულზე საუკეთესო პროფესიონალები იზრუნებენ. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც აუცილებლად უნდა ეწვიოთ OKTOPUS-ს, ჯგუფური ვარჯიშები გახლავთ. ზუმბას, პილატესისა და იოგას გუნდური გაკვეთილები განტვირთვისა და ფიზიკური მხნეობისთვის იდეალური საშუალებაა, განსაკუთრებით კი – ტრენაჟორებზე ინტენსიურად ვარჯიშთან კომბინაციაში.

ტექსტი: თათია ლაშაური
ფოტო: ლეკო ჭყონია
ლოკაცია: OKTOPUS Fitness Club (*სანდრო ეულის ქ. 7, თბილისი*)



HEALTHY OPTIONS

დაიკელით წონაში გემრიელად

შვებულების დროს, ქალბატონების უმრავლესობა კვების ჯანსაღ სტილზე დროებით უარს ამბობს და თითოეულ მოგზაურობას კულინარიულ თავგადასავლებსაც უთავსებს. ახალი ეგზოტიკური კერძების დაგემოვნებისა და ზღვისპირა წვეულებებზე მირთმეული კოქტეილების შედეგად კი, საშემოდგომოდ, ქალაქში წონაში საგრძნობლად მომატებულნი ვბრუნდებით

სწორედ ამიტომ, შემოდგომაზე გარეგნობის მოწესრიგება და ზედმეტი კილოგრამების დაკლება საკმაოდ აქტუალური პრობლემაა. იმისათვის, რომ მოდური საშემოდგომო გარდერობი თამამად მოირგოთ, HELLO!-მ თქვენთვის წონაში კლების ყველაზე სწრაფ, ჯანსაღ და ეკოლოგიურად სუფთა მეთოდს მიაგნო.

თუ გადატვირთული გრაფიკისა და ცხოვრების სწრაფი რიტმის გამო სამზარეულოში ფუსფუსის დრო არ გრჩებათ და ვერც სწორად კვებას ახერხებთ, **გირჩევთ თქვენი დღის რაციონის შედგენა „ინებეს“ მიანდოთ**. დიეტური კვების გამოწერისა და ადგილზე მიტანის ქართული სერვისი, რომელიც ინდივიდუალურად შედგენილ, ჯანსაღ და ეკოლოგიურად სუფთა მენიუს გვთავაზობს, ჯანსაღსა და სასარგებლოსთან ერთად, საოცრად გემრიელიცაა.

ექიმ-ნუტრიციოლოგის მიერ შედგენილი დაბალანსებული კვების რეჟიმი და დიეტა ჯანსაღი კერძებითაა დაკომპლექტებული და საჭირო ცილებისა და რთული ნახშირწყლების აუცილებელ დოზას შეიცავს. ხორცით, თევზეულით, ბოსტნეულითა და ხილით დაკომპლექტებული მენიუს დახმარებით, კვირაში საშუალოდ 3 კილოგრამის დაკლება შეგიძლიათ, და რაც მთავარია – საკვები, რომელსაც **„ინებე“ ყოველდღიურად შინ თუ სამსახურში მოგართმევთ**, ჯანსაღი, ნოყიერი და სასარგებლოა.

ერთკვირიანი პროგრამა, რომელიც სურვილისამებრ შეგიძლიათ უფრო მეტჯერ, შუალედის გარეშე გაიმეოროთ, სასურველი ფორმის შეძენაში საკმაოდ სწრაფად და ეფექტურად დაგეხმარებათ.

ფოტო: „ინებე“, GETTY IMAGES.



ორშაბათი
- **წითელი ბრინჯი დარიჩინითა და ხილით**
- **ხილი**
- **ქათმის ბარკლები ქარის სოუსში+**(*ყვავილოვანი კომბოსტო სანელებლებით*)
- **ბოსტნეულის სალათი მოხარშული კვერცხით, სიცილიური დრესინგით**

სამშაბათი
- **ხაჭოს მუსი კენკრით**
- **ხილი**
- **გრილზე შემწვარი ქათმის ფილე მარინარას სოუსში+**(*ბოსტნეულის მიქსი*)
- **თევზის კოტლეტი+**(*ცოცხალი ბოსტნეულით*)

ოთხშაბათი
- **შვრიის ფაფა სულგუნით და პიტნით**
- **ხილი**
- **მწვანე ლობიო პომიდვრით და ნიგვზით**
- **გრილზე შემწვარი კალმახი+**(*კიტრის სალათი*)

ხუთშაბათი
- **ომლეტი**
- **ხილი**
- **ხორცის ბურთულები პომიდვრის სოუსში+ბოსტნეულის რაგუ**
- **შებრაწული სოკოს მიქსი ქართული სანელებლებით და ნიგვზით**

პარასკევი
- **ხაჭოს მუსი ხილით**
- **ხილი**
- **ჰუმუსი ბოსტნეულის ჩხირებით და მჭადი**
- **გრილზე შემწვარი კალმახი+**(*შემწვარი ბროკოლი პომიდვრის სოუსით*)

შაბათი
- **წიწიბურა კვერცხით**
- **ხილი**
- **საქონლის ხორცი ჩაშუშული ბოსტნეულით**
- **ქათმის კოტლეტი+**(*ბოსტნეულის სალათი*)

კვირა
- **იოგურტი ჩირით და მიუსლით**
- **ხილი**
- **გრილზე შემწვარი ორაგული+კუსკუსი ბოსტნეულით**
- **მწვანე ბოსტნეულის სალათი**

„ინებე“
მობ.: +995 599 31 45 14
www.inebe.ge

ჩერი პომიდვრის სალათი პესტოს სოუსით

გრილზე შემწვარი კალმახი და ბოსტნეული

კიტრი, ბროკოლი, სალათის ფოთლები, მწვანე ხახვი და არაუნის დრესინგი

გრილზე შემწვარი ბროკოლი ყვავილოვანი კენკრის სოუსით

დიეტის დროს, საკვები 250-გრამიანი ულუფებით, 3-საათიან შუალედებს შორის უნდა მიირთვათ. აუცილებელია ამ პერიოდში უარი თქვათ ალკოჰოლის, ტკბილეულისა და გაზიანი სასმელის მიღებაზე, თუმცა საჭიროა მინიმუმ 2 ლიტრი წყლის დალევა

SIRAJKHANA
wine restaurant

Receive Great Georgian Food and Wine and High Quality Service

Orbeliani st. 10, Tbilisi, Georgia +995 322 244 999 +995 598 810 810


HELLO!
winelover
+80
იდეა ღვინის მოყვარულებს
ღვინის საუკეთესო სახეობები · ღვინისფერი ტრენდები · სადეგუსტაციო ლოკაციები

*ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ საქართველოში ღვინის გარდა ქვევრში არაყსაც აძველებენ. საქართველოში აგრეთვე არსებობს ქვევრის ღვინის გამორჩეული სახეობა – მონასტრის, ე.წ. „**ზედაშეს**“ ღვინო. ეს გახლავთ წითელი, არომატული ღვინო, რომელსაც საეკლესიო რიტუალების დროს გამოიყენებენ*

WINE LOVER

შემოდგომის არომატები

საქართველო რომ ღვინის სამშობლოა, ეს უკვე მსოფლიო მკვლევრებმაც აღიარეს. უძველესი ტრადიციები, მზეზე გამთბარი ყურძნის მტევნების სიტკბო და ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მრავალფეროვნება ქართული ღვინის ყველა სახეობის არომატს ეტყობა. **HELLO!** მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარებულ ქართული ღვინის გამორჩეულ სახეობებს წარმოგიდგენთ.

ქვევრის ღვინო – ქართული ტრადიცია

ათორობელა არომატით მიწიდან ამაყად გვიყურებს და მარანში გვიტყუებს ბებერი ქვევრი, რომლის გამოყენება ქართველებმა 8 ათასი წლის წინ დაიწყეს და ამ ტრადიციას დღემდე ინარჩუნებენ.

იშვიათია ოჯახი, განსაკუთრებით კი კახეთში ღვინოს მარანსა და ქვევრში რომ არ ინახავდეს, ამიტომ ხშირად გაისმის მსგავსი ფრაზები: „ქვევრში ღვინო იგივეა, რაც სხეულში სული“. ამ უნიკალური თიხის ჭურჭლის ტევადობა რამდენიმე ასეული ლიტრიდან იწყება და ტონებსაც აღწევს. განსაკუთრებით დიდი ზომის ქვევრებით კახეთი გამოირჩევა, სადაც გვხვდება 1-2 ტონიანი ქვევრებიც. ამ გიგანტურ თიხის ჭურჭელში ღვინის დაყენება გულისხმობს ყურძნის ტკბილის გარკვეული რაოდენობის ჭაჭასთან ერთად დადუღებას, დაღვინებას და შემდეგ დავარგებას. როცა ქვევრი ივსება, მის ზედაპირს ხურავენ ქვით ან მაგარი ხის ხუფით, რომელსაც ერთი ფუტის სიმაღლეზე მიწას აყრიან, 2-3 თვის შემდეგ ღვინო გადააქვთ მეორე, ასევე მიწაში ჩამარხულ, თავახრილ ქვევრში შემოდგომამდე. ქვევრში ღვინო წლების განმავლობაში ინახება. ცნობილი ფაქტია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძემ შვილების ქორწილში, მათი დაბადებისას დაწურული ღვინით სავსე ქვევრები გახსნა. ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ საქართველოში ღვინის გარდა ქვევრში არაყსაც აძველებენ.

საქართველოში აგრეთვე არსებობს ქვევრის ღვინის გამორჩეული სახეობა – მონასტრის, ე.წ. „ზედაშეს“ ღვინო. ეს გახლავთ წითელი, არომატული ღვინო და გამოიყენებენ საეკლესიო რიტუალების დროს. საზედაშე ღვინოს სჭირდება ჭაჭიდან დროული მოხსნა და გადაღების სწორი დროის შერჩევა.

2013 წელს ქვევრს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსიც კი მიანიჭეს, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია, ყოველივე ეს კი, ხელს უწყობს ქართული ღვინის მსოფლიო პოპულარიზაციას. ▶

„წინანდალი“ თეთრი ღვინო

როგორც ამბობენ, კახეთის სოფელ წინანდალში თანამედროვე ქართულ მეღვინეობას დაედო საფუძველი. „წინანდლის“ ღვინის ბრენდის შემქმნელი – ქართველი პოეტი და ლეგენდარული მეღვინე ალექსანდრე ჭავჭავაძე მეღვინეობის რვაათასწლოვანი ტრადიციების გათვალისწინებით ახალ სტანდარტებს ნერგავდა. კერძოდ, მან პირველად საქართველოს ისტორიაში ევროპული წესით დამზადებული ქართული ღვინო ჩამოასხა ბოთლში. ეს იყო საქართველოში ევროპულად დამზადებული ღვინის წარმოების დასაბამი. თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ღვინის სახეობებმა შორს გაითქვეს სახელი, რომლებსაც კარგად იცნობდნენ მეზობელ ქვეყნებში და აფასებდნენ ევროპაშიც. რაც შეეხება უშუალოდ ღვინოს, „წინანდალი“ რქაწითელისა და მწვანე კახურის ჯიშების ყურძნისგან მზადდება. დაბოლოება ხანგრძლივია, მსუბუქი მჟავიანობით და ხილის ჰარმონიული ტონებით.

„მომღერალი ღვინის“ – **„წინანდლის“** დაგემოვნება ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო პროცესია. ღვინის თითოეულ ბოთლზე დატანილი QR კოდის მეშვეობით, შესაძლებელია არა მხოლოდ არომატული ღვინის დაჭაშნიკება, არამედ ნამდვილი ქართული ხმების მოსმენაც. მომღერალი ღვინო „ქართული ხმების“ მიერ შექმნილი პროდუქტია, რომლის მოგების ნაწილი ქართული ფოლკლორის ფონდის შექმნასა და განვითარებას მოხმარდება. ფონდი ხელს შეუწყობს მივიწყებული სიმღერების აღორძინებასა და ახალი კომპოზიციების შექმნას. როგორც ამბობენ, **„წინანდალს“** საუკეთესოდ ეხამება სალათები, ქათმის ხორცი და თევზეული. მუსიკა, მათ შორის ქართული ჰანგები, ასევე არაჩვეულებრივად მოუხდება მსუბუქ თეთრ სასმელს.

თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ შექმნილი პირველი ევროპული ტიპის ქართული თეთრი ღვინო იმით გამოირჩევა, რომ წინანდლის აღდგენილ მამულშია დაყენებული და ნამდვილ წინანდლის **„წინანდალს“** წარმოადგენს. თეთრი მშრალი ქვევრის ღვინო ტრადიციული კახური მეთოდითაა დაყენებული და მისი შეძენა ამჟამად მხოლოდ წინანდლის მამულში ან „რადისონ ბლუ ივერიას“ მაღაზიაშია შესაძლებელი. ამ სახელგანთქმულ ღვინოს ახასიათებს სინაზე, სასიამოვნო ბუკეტი, არომატი და ჰარმონიულობა. ღია ჩალისფერია, აქვს ხილის ნაზი ბუკეტი; რბილი, ფაქიზი, ჰარმონიული გემო და ხილის ტონები. კარგი იქნება, თუ ღვინოს თევზეულთან, სალათებთან ან ფრინველის ხორცთან მიირთმევთ. კარგად ჩაციებული ღვინო ასევე უხდება შეკმაზულ და მწარე საკვებს.

ახალი სახელი ქართული ღვინის ისტორიაში

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სიტყვა „**თავანკარი**“ განიმარტება, როგორც უმაღლესი ხარისხის, შეურეველი, ნამდვილი, უზადო, ურიოშო, ანუ რჩეული, დამდგარი, საძველო, წმინდა ღვინო. ძალიან ახალგაზრდა კომპანია „**თავანკარის**“ „მუკუზანი“ კი ალბათ თავის სიტყვას იტყვის ღვინის ისტორიაში და ოქროს ასოებით ჩაიწერება: „უმაღლესი ხარისხის ქართული წითელი ღვინო“. 2015 წელს ჩამოსხმული, კომპანია „**თავანკარის**“ მუკუზანი კახური ტრადიციული ტექნოლოგიითა დადუღებული და მუხის მსუბუქი არომატით გამოირჩევა. ღვინის მოყვარულები გვირჩევენ, ასეთი ღვინო ტრადიციულ ქართულ ტკბილეულთან ან შემწვარი ხორცისგან მომზადებულ კერძებთან დავაგემოვნოთ.

„მუკუზანი“ წითელი ღვინო

რედაქციის რჩეული ლეგენდარული ქართული ღვინო „მუკუზანია“. წითელი მშრალი კახური ღვინო, რომელიც ხასიათდება ბროწეულისფერი შეფერვით, სპეციფიკური არომატითა და მაღალი ექსტრაქტით, სურნელში მუხისა და კენკროვანის ტონებს ატარებს. ამ სახელწოდებას ერთგვარი ლეგენდაც უკავშირდება, რომლის თანახმად, შაჰ-აბას I-ს მუკუზანი ისე გაუნადგურებია და გადაუწვავს, რომ სოფელში შემოსულ მეფე გიორგის უთქვამს: „სპარსელებს მუკუზალიც არ დაუტოვებიათო“. სწორედ აქედან წამოსულა ქართული ღვინის სახეობების მეფის ადგილწარმოშობის სახელი (www.gurjaani.ge).

საფერავის ჯიშის ყურძნისგან დამზადებულ, განუმეორებელი „მუკუზანის“ საფერავს ეტიკეტად ამშვენებს ცნობილი ესპანელი ბატალისტი მხატვრის – აუგუსტო ფერერ დალმაუს ნახატი „დიდგორის რაინდი“, რომლის დახატვის იდეა მხატვარს საქართველოს და დიდგორის ბრძოლის ისტორიის გაცნობის შემდეგ გაუჩნდა. აღსანიშნავია, რომ დალმაუ პირველი ევროპელი მხატვარია, რომელმაც ქართველთა ბრძოლას ფერწერული ტილო მიუძღვნა, ხოლო ღვინის ბოთლზე ნახატის ეტიკეტად გამოყენების იდეა მას შემდეგ დაიბადა, რაც მხატვარმა „მუკუზანის“ საფერავი დააგემოვნა. **KING DAVID**-ის „მუკუზანის“ საფერავი „დიდგორის რაინდის“ ეტიკეტით, ლიმიტირებული რაოდენობით, სასაჩუქრე ყუთით და მხატვრის ექსკლუზიური ავტოგრაფითაა წარმოდგენილი, რომელიც საქართველოს ღვინის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული – დიდგორის ბრძოლის შესახებ უამბობს მომხმარებელს.

აგროჰაბი

აგროპროდუქტების პირველი ჰიპერმარკეტი საქართველოში

ხელიდან ხელში

მარშალ გელოვანის გამზ. 22, თბილისი (+995) 032 244 07 07 fb.com/agrohubge agrohub

„როზე“ ვარდისფერი ღვინო

ევროპულ ქვეყნებს „როზეს“ დამზადების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვთ. ნამდვილი როზე ღვინის წითელი ჯიშებისგან იწურება – ისევე, როგორც წითელი ღვინო, იმ განსხვავებით, რომ ფერმენტაციის პროცესში წვენს ყურძნის გარსთან გაცილებით ხანმოკლე შეხება აქვს. ვარდისფერი მეთოდით ღვინის დაყენების ტრადიცია XIII საუკუნეში, საფრანგეთში, პროვანსში დაიწყო და მას შემდეგ მის სამშობლოდ პროვანსი მიიჩნევა. საქართველოში „როზეს“ წითელი ჯიშებისგან ყურძნის დაწურვა სულ რამდენიმე წლის წინ დაიწყეს და გასაკვირიც არაა, რომ ვარდისფერი ღვინის დაწურვა მეღვინეებმა საუკეთესო კახური ჯიშის – საფერავის ყურძნიდან არჩიეს. როგორც აღნიშნავენ, მსუბუქ სტილში დაყენებული ღვინის სახეობები განსაკუთრებით უყვართ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს. ვარდისფრისკენ ლტოლვა სიყვარულით სავსე ქალბატონებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა არც მამაკაცები რჩებიან „როზეს“ მიმართ გულგრილნი, რადგან მასში ფარული სექსუალობა და ავანტიურისტული საწყისები იმალება. H

ლაღი და თამამი საზაფხულო ღვინო – ეს **წინანდლის მამულის** „როზეა“, რომელიც ფანტასტიკურად ეწყობა ბოსტნეულის მსუბუქ სალათებს, რაგუს, იმერულ ყველსა და დესერტებს. შემოდგომის საღამოებს არაფერი ისე არ ამყუდროებს, როგორც ჭიქა ღვინო. მიუხედავად იმისა, რომ „როზე“ საზაფხულო ღვინოდ მიიჩნევა, HELLO!-ს რედაქციის რჩეული ღვინო ტკბილი ოქტომბრის საღამოებისთვის სწორედ რომ ნაზი, მსუბუქი და რომანტიკული შეფერილობის **წინანდლის მამულის** ღვინო „როზეა“.

მარწყვი, ალუბალი და ანგელოზის კოცნა– ეს ის ასოციაციებია, რომლებიც ამ ღვინის დაჭაშნიკებისას გიჩნდება. როგორც ღვინის ექსპერტები აღნიშნავენ, **„თელიანი ველის“** „როზე“ ყველაზე ძლიერი ვარდისფერია ქართული ღვინის სახეობებს შორის, თუმცა ღია ლალისფრად შეფერილი ღვინო, ერთი შეხედვით მსუბუქი ჩანს. ფრანგული როზეს ტექნოლოგიით შექმნილი **„თელიანის“** ვარდისფერი ნახევრადმშრალი ღვინო დამზადებულია საფერავის ჯიშის რჩეული ყურძნისგან. ეს ღვინო ხასიათდება ალუბლის მდიდარი არომატითა და სასიამოვნო, წითელი კენკრის გემოთი, ძალიან ლამაზია ფერით და სასიამოვნოა არომატით.

ფოტოები: ნანას ქიბალეიშვილი, რუსა შონია. **ფოტო:** ლეგო ჭყონია, თიბანანარი, თელიანი ვალი, TSINANDALI ESTATE, GEOTOURIST.GE, GETTY IMAGES.

Radisson BLU
გაწევრიანდით სპაში "ან სემონინ"
და მიიღეთ ერთი თვე საჩუქრად
ANNE SEMONIN SPA
შეთავაზება მოქმედებს სასტუმროებში
რადისონ ბლუ ივერია თბილისი
და რადისონ ბლუ ბათუმი
პაკეტი მოიცავს:
ღია და დახურულ აუზს ორთქლისა და
ფინურ საუნას სატრენაჟორო დარბაზს
სპეციალურ ფასდაკლებას სპა
პროცედურებზე
RADISSON BLU HOTEL
Tbilisi T: +995 322 402 200
Batumi T: +995 422 255 555
Radisson Blu Hotel
დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ
ვებ გვერდს: www.annesemoninspa.ge

WINE LOVER

ღვინო ვარსკვლავური არომატით

ჩვეულებრივი ამბავია, როცა ვარსკვლავები, საქმიანობის პარალელურად, ახალ ბიზნესს იწყებენ. უმეტესად, ეს სუნამოების ან ტანსაცმლის ხაზია ხოლმე. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთი ცნობილი ადამიანის შემთხვევაში, ყველაფერი უფრო სერიოზულადაა. საუბარია საკუთარი ვენახების მოვლასა და ღვინის წარმოებაზე, რაც საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმეა. **HELLO!** გაგაცნობთ იმ ვარსკვლავებს, რომლებიც ამ მხრივ მოწინავე პოზიციებს იკავებენ...

ფრენსის ფორდ კოპოლა

FRANCIS FORD COPPOLA WINERY სონომას რეგიონში მდებარეობს და ცნობილი ტურისტული მიმართულებაა. „ნათლიას“ რეჟისორი აქ 1975 წლიდან საქმიანობს და უფრო და უფრო მეტ გულშემატკივარს იძენს. მაღალი ხარისხისა და მდიდარი არომატის ღვინის სახეობებიდან გამოირჩევა „**რუბი-კონის**“ წითელი მშრალი ღვინო, რომელმაც შემქმნელს თავიდანვე დიდი წარმატება და პრესტიჟი მო-უტანა. კრიტიკოსების ქებასთან ერთად, სასმელის ფასიც გაიზარდა, თუმცა ფრენსისმა აქაც თავისებური გამოსავალი მოძებნა და დაბალფასიანი ღვინის ცალკე ხაზი გამოუშვა. მათ შორის სუპერპოპულარულია **DIAMOND COLLECTION**, რომელიც კომერციულად დღემდე ყველაზე წარმატებულია. მას არ ჩამოუვარდება არცწ ეტიკეტები – **FRANCIS COPPOLA WINES** და **FRANCIS COPPOLA PRESENTS**.

კალიფორნიულ მზეზე დამწიფებულ ყურძენთან ერთად, კოპოლას მამულში გაერთიანებულია სადეგუსტაციო ბარები, საექსკურსიო ტურები, ორი რესტორანი, საცურაო აუზი, კინოგალერეა, არტპავილიონი და დიდი პარკი ჩოგბურთის სათამაშო მოედნით. სწორედ ამიტომაა, რომ **FRANCIS FORD COPPOLA WINERY**-ის თითქმის იმდენივე სტუმარი ჰყავს, რამდენი მაყურებელიც მის ნამუშევრებს ჰყავდა ხოლმე.

ტრამპები

უამრავი პრიზისა და ექსპერტების უმაღლესი შეფასებების მქონე პრემიუმკლასის ღვინო ვირჯინიას შტატში იწურება. მისი შემქმნელები კი, არც მეტი არც ნაკლები – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მისი ოჯახის წევრები არიან. **TRUMP WINERY** უზარმაზარ ტერიტორიაზეა გადაჭიმული და თომას ჯეფერსონის მამულს ემეზობლება. ის სამართლიანად მიიჩნევა ვირჯინიას ყველაზე დიდ ვენახად, რომელიც ყოველდღიურად უამრავ ვიზიტორს მასპინძლობს.

ტრამპები ყველა ტიპის ღვინოს აწარმოებენ და უკვე დიდი ხანია, ამერიკის საზღვრებს გასცდნენ. 2011 წლიდან ისინი სადეგუსტაციო ოთახითაც იწონებენ თავს და სტუმრებს თბილი ატმოსფეროთი, რჩეული კერძებითა და დაუვიწყარი ხედებით ხვდებიან. აქვეა სასტუმროც, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გასაჩერებელ ადგილად მიიჩნევა.



ბრანჯელინა

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბრედ პიტისა და ანჯელინა ჯოლის ბედნიერი თანაცხოვრება იწყებოდა, წყვილმა „**შატო მირავალი**“ შეიძინა და საკუთარი „როზეს“ ჩამოსხმა დაიწყო. ისინი ფრანგულ პროვინციაში მცხოვრებ მეღვინეებთან გაერთიანდნენ და უზარმაზარ ფართობზე გადაჭიმული ვენახი წარმატებული ბიზნესის წყაროდ აქციეს. მეტი სიცხადისთვის გეტყვით, რომ ეს სწორედ ის ადგილია, სადაც პიტმა ჯოლის ხელი სთხოვა და სადაც მათი მოკრძალებული საქორწინო ცერემონია გაიმართა.

„**მირავალის როზე**“ ღვინის მოყვარულებში უკვე საკმაოდ ცნობილ ეტიკეტად მიიჩნევა. დასტურად ის ფაქტიც კმარა, რომ ბრანჯელინას შემოქმედება 2013 წელს ღვინის სახეობების საუკეთესო ასეულის 84-ე პოზიციაზე დაასახელეს (*WINE SPECTATOR'S TOP 100 WINES OF THE YEAR*) და „მსოფლიოს საუკეთესო როზედ“ შეაფასეს. პირველი სერია კი, რომელშიც 6000 ბოთლი შედიოდა, ხუთ საათში მთლიანად გაიყიდა! ფანებსა და ღვინის მოყვარულებთან ერთად, ექსპერტებიც თანხმდებიან, რომ ყოფილ ცოლ-ქმარს ამ საქმეშიც ისეთივე ნიჭი აღმოაჩნდა, როგორც მსახიობობაში. „ელეგანტური არომატი, კენკრის, მანდარინისა და საზამთროს ჯადოსნური მიქსი, რჩეული სუნელების ნოტები და კრემის აქცენტი“, – ასე აღწერენ ჯოლი-პიტის „ალკოჰოლურ ნამუშევარს“.

ანტონიო ბანდერასი

„ზოროს“ საკუთარი ვენახი ესპანეთში, ვიალბა-დე-დუეროს მიდამოებში აქვს. მსახიობი წითელ ღვინოსა და როზეს აწარმოებს და 1999 წლიდან ყიდის სასმელს, რომელსაც მაღაზიებში **ANTA BANDERAS**-ის სახელით იცნობენ.

ანტონიოს ახდენილი ოცნება 230 ჰექტარზეა გადაჭიმული და თვალწარმტაცი ხედებით გამოირჩევა. ბანდერასმა, რომელსაც ყოველთვის განსაკუთრებულად უყვარდა და აინტერესებდა ღვინის ისტორია და კულტურა, ვენახის ყიდვა ნათესავის რჩევით გადაწყვიტა და საყვარელი სასმელი საყვარელ ბიზნესად გადააქცია. მას მუშაობაში მეღვინე ძმები – ფედერიკო და ტეოდორო ორტეგები ეხმარებიან.

შეკითხვაზე, რატომ აირჩია მაინცდამაინც ეს ადგილი, ბანდერასი პასუხობს: „აქ საუკეთესო მეღვინეები ცხოვრობენ. მათთვის ღვინის კეთება ხელოვნებაა, და საქმიანობას ყოველთვის შემოქმედებითად უდგებიან, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია“.

სტინგი

ცნობილ მუსიკოსთან ერთად, სტინგი უკვე ცნობილი მეღვინეც გახლავთ და ეს ახალ ამბავს აღარ წარმოადგენს. ბრიტანელმა მომღერალმა, რომელმაც ღვინოს გემო პირველად 20 წლის ასაკში გაუსინჯა, ვენახები ტოსკანაში შეიძინა და ღვინის წარმოების ბიზნესს მთელი სერიოზულობით მოეკიდა.

იტალიურ სასახლეში მცხოვრები სტინგი და მისი მეუღლე – ტრუდი შტაილერი, სასმელს უკვე მსოფლიო მასშტაბით ყიდიან. მუსიკოსის თაყვანისმცემლებს მისი ბოთლების გამორჩევა არ უჭირთ, რადგან მათ საყვარელი ჰიტების სახელები ჰქვიათ – **WHEN WE DANCE, SISTER MOON & MESSAGE IN A BOTTLE**. როგორც მომღერალი ყვება, დეგუსტატორებს თითოეული მათგანი აოცებს: „როცა ჩემი ღვინის დაჭაშნიკებას ვთავაზობ, ყოველთვის ეჭვის თვალით მიყურებენ. რატომღაც ჰგონიათ, რომ ჩემ მიერ დამზადებულ სასმელს „გაპრანჭული“ გემო ექნება. შემდეგ კი, როცა მიირთმევენ, სახეზე სასიამოვნო გაოცება ეწერებათ ხოლმე, რაც ძალიან მსიამოვნებს“. ცოლ-ქმარმა იტალიური საკუთრება 1999 წელს შეიძინა და 350 ჰექტარზე გადაჭიმული ვენახი ხელახლა მოაშენა. რამდენიმე წლის შემდეგ, სტინგის სახელზე უკვე ოთხი ღვინო ისხმებოდა. შედეგიც შესაბამისი იყო – იტალიის 100 საუკეთესო ღვინოს შორის დაკავებული საპატიო პოზიცია. „ნაზი და რბილი არომატი, შოკოლადის ნოტებითა და შავი კენკრის აქცენტებით“, – ასე აღწერენ ღვინის ექსპერტები მუსიკოსის ნახელავს.

OSCAR DE LA RENTA
ყვავილის ფორმის საყურე
კრისტალებით
1200 ₾
farfetch.com

3

WINE LOVER

WINE Colored Fashion

შემოდგომა თითქმის ყველა FASHIONISTA-ს გამორჩეულად საყვარელი პერიოდია. რომანტიკული სეზონი, რომელიც ყველაზე მეტად რთველთან და ყურძენთან ასოცირდება, ყოველთვის გულისხმობს განსხვავებულ გარდერობსა და გამორჩეულ ფერთა გამას. ცხადია, ამ პერიოდში ინსპირაციის მთავარი წყარო ღვინო გახლავთ. სწორედ ამიტომ, HELLO!-მ თქვენთვის ყველაზე მოდური ღვინისფერი სამოსისა და აქსესუარების HOT LIST შეადგინა.

TOP

MANU ATELIER
ტყავის ჩანთა ორმაგი
საკიდით
1280₾
farfetch.com

1

MARNI
ტყავის სამაჯური
ძვირფასი თვლებით
1170₾
farfetch.com

2

COMME DES GARÇONS
ტყავის შორტი
დეკონსტრუქციის
ელემენტებით
1095₾
farfetch.com

TOPSHOP
მაღალწელიანი
შარვალი „ელვით“
200₾

6

5

TOPSHOP
ყელიანი ბლუზა
გაშვებული მკლავებით
110₾

4

BURBERRY
თხელი ე.წ. „გაბერილი“ ქურთუკი
მასიური ღილებით
1690 ₾
farfetch.com

7

ZARA
ზამშეს OVERSIZED
ლაბადა
199₾

8

ISABEL MARANT ÉTOILE
წელში გამოყვანილი ტყავის
ქვედაბოლო
650₾
farfetch.com

9

ZARA
შინდისფერი ბოტფორდები
წვრილ ქუსლზე
399₾

2017 წლის ზაფხულისთვის სადა და მინიმალისტური მაკიაჟია მოდური, მბზინვარე თვალის „ჩრდილებსა“ და ტუჩის ბუნებრივ ტონზე აქცენტებით

DIOR
წამწამების ტუში
მაქსიმალური
მოცულობისთვის

WINE LOVER

საშემოდგომო Make-Up

ამ სეზონზე, ბუნებასთან ერთად, მაკიაჟის ტენდენციები და ფერთა მოდური პალიტრაც იცვლის სახეს. თუ ზაფხულში უფრო მკვეთრი ტონები და მბზინვარე დეტალები გახლდათ აქტუალური, შემოდგომაზე ყველაფერი ფოთოლცვენისა და ყურძნის გარშემო ტრიალებს

ღვინისფერი ტონალობის ტუჩსაცხები, კონტურები და თვალის „ჩრდილები“ ძალიან უხდება ჯერ კიდევ შემორჩენილ ნამზეურსა და სეზონურ გარდერობს. HELLO! გირჩევთ, ოქტომბრისთვის თქვენი მაკიაჟი მინიმალისტური აქცენტებითა და მქრქალის ეფექტის მქონე კოსმეტიკით გაამდიდროთ.

DIOR
სახის რუჟი
მქრქალის
ეფექტით

FABERLIC
მუქი ღვინისფერი
ტუჩსაცხი

REVLON
ტუჩის ფანქარი
მდგრადი და
ერთგვაროვანი
ეფექტით

CHANEL
თვალის „ჩრდილების“
ნაკრები შემოდგომის
ფერებში

DIOR
ტუჩის ფანქარი
კონტურების
გამოსაკვეთად

WINE LOVER

FALL NAIL trands to try

საშემოდგომო TO DO LIST-ი ქართული ღვინის დაგემოვნებასთან ერთად სხვა უამრავ პუნქტსაც მოიცავს. ამ სეზონზე გირჩევთ აუცილებლად შეიძინოთ რქაწითელისფერი თბილი შემოსაცმელი, ან საფერავისფერი მოდური ტყავის ბოტფორდები

LUXIO Vamp
მუქი საფერავისფერი ფრჩხილის ლაქი მბზინვარე ელემენტებით

ხეულის გაჯანსაღებისა და კანის დატენიანებისთვის აუცილებლად ესტუმრეთ ღვინის სპას და ცხადია, არც მოდური ტონალობის მანიკიური უნდა დაგავიწყდეთ. გარდერობისა და მაკიაჟის ტენდენციების მსგავსად, ამ სეზონზე ფრჩხილების მოვლაც მთლიანად ღვინოსთან ასოცირებად ფერებს უკავშირდება. მუქი ბორდოსფერი, ღია ვარდისფერი თუ შინდისფერი ლაქები იდეალურ საშემოდგომო განწყობას შეგიქმნით და რაც მთავარია – ძალიან მოუხდება მოდის სეზონურ ტენდენციებს.

Nail Bar # 1
ზ. ფალიაშვილის ქ. 17
ა. ყაბეგის გამზ. 24
მობ.: 595 96 00 99; 596 96 00 99

LUXIO Muse
მკვეთრი წითელი მანიკიური მქრქალის ეფექტით

მუქი ბორდოსფერი, ღია ვარდისფერი თუ შინდისფერი ლაქები იდეალურ საშემოდგომო განწყობას შეგიქმნით და რაც მთავარია – ძალიან მოუხდება მოდის სეზონურ ტენდენციებს

WINE LOVER

Hot wine Destination

WINELAB

ქალაქის ისტორიულ უბანში ორი განსაკუთრებული ღვინის ბარი-მაღაზია მდებარეობს, რომელთაც ერთი სახელი – **WINELAB** აერთიანებთ. სახელის გარდა, ამ ორ ობიექტს ვინტაჟურ სტილში გადაწყვეტილი ინტერიერი და თბილისური ტიპის ეზო აერთიანებთ, სადაც შეგიძლიათ საყვარელ ადამიანებთან ერთად სასიამოვნო საღამოები გაატაროთ და 700-მდე დასახელების ქართული ღვინო დააჭაშნიკოთ.

„**ვაინლაბის**“ ბარ-მაღაზიებში წარმოდგენილია როგორც ცნობილი ქართული ბრენდების, ასევე მცირე მარნების მიერ წარმოებული ღვინის სახეობები. აქ მოსულ სტუმრებს ასევე შეუძლიათ უნიკალური, ქვევრში დამზადებული ლუდის დაგემოვნება, რაც **WINELAB**-ს ერთგვარ ექსკლუზიურობასაც სძენს.

„**ვაინლაბი**“ ადგილია, სადაც შემოდგომის საღამოების არომატულად გატარებას შეძლებთ

შალვა დადიანის ქ. 10, თბილისი
იოანე შავთელის ქ. 14, თბილისი

ფოტო: WINELAB.

„ტფილისი მეიდანი“
ღვინის რესტორანი

შემოდგომის თბილი საღამოების საინტერესოდ გასატარებლად, გეზი თბილისის შუაგულში, ერთ-ერთ ყველაზე ისტორიულ ადგილას განლაგებული რესტორნისკენ აიღეთ. „**ტფილისი მეიდანში**“ შემოთავაზებული ექსკლუზიური ქართული და უცხოური ღვინის სახეობების ფართო არჩევანი სწორედ ის არის, რაც აქ, მსოფლიო კულტურების, რელიგიებისა და ცივილიზაციების თანხვედრის ცენტრში, „**აბრეშუმის გზაზე**“ მდებარე უძველეს ბიზნესცენტრის ადგილას – „**მეიდანზე**“ შეიძლება დააჭაშნიკოთ.

„**ტფილისი მეიდანში**“ თქვენ დაგხვდებათ როგორც იშვიათი ქართული ღვინის სახეობები, ისე ევროპული, განსაკუთრებით კი ფრანგული ღვინის ბრენდები, როგორიცაა **SANT GEORG POMEROL**-ი და **ROSE SENCER**-ი, ასევე ღვინოები საფრანგეთის მცირე მეწარმეებისგან.

ორგანული მეღვინეობა ახალი და პოპულარული მიმდინარეობაა. მსოფლიო ტრენდებს არც „**ტფილისი მეიდანი**“ ჩამორჩება და პროფესიონალი სომელიეს დახმარებით, შეძლებთ აქვე დააგემოვნოთ ქართული ჩამოსხმის ნამდვილი ბიოღვინის ასორტიმენტი. ღვინოსთან ერთად კი აუცილებლად მიირთვით ქართული ავთენტური სამზარეულოს „მარგალიტები“, რომლებსაც იდეალურად შეეხამება თქვენ მიერ შერჩეული ღვინო.

შემოდგომის თბილისურ საღამოებს ემოციურად ქართული ჰანგების ჟღერადობა და ქართული ტრადიციული ცეკვები აფერადებს, რომელიც აქ მოსულ სტუმარს ყოველ საღამოს ელის. რესტორნის შესასვლელი გვირაბი კი, რომელიც წარსულში პირდაპირ მტკვარზე გადიოდა, მე-19 საუკუნის ტფილისში გვამოგზაურებს (*ფოტო მარჯვნივ*).

რკინის რიგი #6, თბილისი
ტელ.: *(+995) 599 25 06 25 / 322 75 10 38*

ფოტო: „ტფილისი მეიდანი“.

„ძველი თელავი“

თუკი თელავის ცენტრში აღმოჩნდებით, თვალში აუცილებლად მოგხვდებათ ორი ერთმანეთის პირისპირ მდგარი შენობა – ერთი, რომელიც XIX საუკუნის ისტორიული შენობაა, ხოლო მეორე – თანამედროვე ნაგებობა. ეს სასტუმრო „**ძველი თელავია**“, რომელიც ღვინის სამშობლოს – კახეთის, უძველეს დედაქალაქ თელავის ცენტრში მდებარეობს.

სასტუმროს შენობის არქიტექტურაში შერწყმული ძველი და ახალი სტილი ხაზს უსვამს ამ ძველი ქალაქის თავისებურებას. „**ძველი თელავი**“ საუკეთესო ადგილია იმისათვის, რომ ჭეშმარიტ კახურ სტუმარ-მასპინძლობას ეზიაროთ. სასტუმროს ღია და დახურულ კაფეებში შეგიძლიათ შემოდგომის თბილი საღამოები გაატაროთ ან ეწვიოთ ქვედა სართულზე არსებულ ქართულ რესტორანს და დააგემოვნოთ უგემრიელესი ქართული კერძები, ასევე უგემრიელეს კახურ ღვინოსთან ერთად. სასტუმროს პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს თბილ და მეგობრულ მომსახურებას – ისე, რომ დაუვიწყარი გახადონ „**ძველ თელავში**“ გატარებული დრო.

მომავალ წელს „**ძველი თელავი**“ ზუზუმბოს ტყეში სასტუმრო კომპლექსს შემოგთავაზებთ.

I კორპუსი: ჩოლოყაშვილის ქ. 1, თელავი
ტელ.: *(+995) 350 27 07 07*
მობ.: *(+995) 596 44 07 07*

II კორპუსი: ქ.წამებულის N 1, თელავი
ტელ.: *(+995) 350 27 90 09*
მობ.: *(+995) 596 45 07 07*

info@oldtelavi.ge
oldtelavi@gmail.com
www.oldtelavi.ge

ფოტო: HOTEL OLD TELAVI

betlive.com
ბეთის ბრრბაღი
აქციე წაგებული ბილეთი
Freebet -ად

60 SOUND BITS WITH...

მარიდეა გელაშვილი და გურამ (გურიჩა) ქვრივიშვილი

მათი ხმები ბევრისთვის ყველაზე მშობლიური, საყვარელი და სასიამოვნოა. FM 106.9-დან ყოველდღე სწორედ ისინი გვამხნევებენ და ჩვენს განწყობაზე ზრუნავენ. გურამ (გურიჩა) ქვრივიშვილი, იგივე გურიჩა, „ფორტუნას“ მუსიკალური წამყვანია, მარიდეა გელაშვილი კი ცნობილი ჰოლდინგის გუნდს ცოტა ხნის წინ შეუერთდა

„ფორტუნას“ ჰოლდინგი ხშირ შემთხვევაში ყველასთვის ტრამპლინია. როგორ მოხდა თქვენ შემთხვევაში?

გურიჩა ჩემთვის რადიოჰოლდინგი „ფორტუნა“ პირდაპირი მნიშვნელობით ტრამპლინი იყო – არა მარტო კარიერული თვალსაზრისით, არამედ პირად ცხოვრებაშიც. სწორედ აქ შევიძინე ის უახლოესი მეგობარი და სულის მეორე ნახევარი, რომელიც დღეს ჩემი მეუღლეა. გარდა ამისა, როგორც პროფესიონალი, სწორედ „ფორტუნაში“ განვვითარდი. ამ კომპანიაში ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მოვედი. რადიოს ე.წ. ნიუსრუმში მინდოდა შეხედვა, თუმცა ისე მოხდა, რომ ჩემი ხმა მოეწონათ და მუსიკალური წამყვანის პოზიცია შემომთავაზეს. ამას მოჰყვა ისიც, რომ საკუთარი თავი კომერციული თვალსაზრისითაც დავტვირთე. ხშირად ვახმოვანებ სარეკლამო რგოლებს, სერიალებს და ფილმებს. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ პორტალზე დავიწყე მუშაობა, სადაც მხატვრულ ფილმებს ვახმოვანებ.

მარიდეა, თქვენ „ფორტუნას“ ოჯახს შედარებით გვიან შეუერთდით. როგორია ამ ჰოლდინგში მუშაობის პირველი გამოცდილება?

მარიდეა „ფორტუნაში“ უკვე მეორე წელიწადია ვმუშაობ, თუმცა რადიოსივრცეში მუშაობის გამოცდილება მქონდა. 4 სხვადასხვა რადიოსადგურში მიმუშავია, მაგრამ აქ თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ და მიმაჩნია, რომ „ფორტუნამ“ განვითარების უფრო დიდი საშუალება მომცა. გულახდილად გეტყვით, რომ „ფორტუნა“ ჩემთვის ბავშვობიდან უსაყვარლესი რადიოა. გარკვეულწილად, ჩემთვის საოცნებო ადგილას მოვხვდი.

როგორია ახალი სეზონის გეგმები? როგორც ვიცი, მთლიანად შეიცვალა შეფუთვა და პროგრამას საავტორო გადაცემები დაემატა.

გურიჩა მე მხოლოდ მუსიკალური წამყვანი ვარ, თუმცა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რადიოს ახალ შეფუთვაში აქტიურად ვიყავი ჩართული. ჩაიწერა ახალი ტიხრები, ქუდები... „ფორტუნა“ იმითაც გამოირჩევა, რომ ყოველი ახალი სეზონი რაღაც განსხვავებულით და ორიგინალურით იწყება. ვცდილობთ ოქროს შუალედი დავიცვათ – არც ძალიან მოძველებულები ვიყოთ და არც ულტრათანამედროვეები. ყველაფერი მსმენელების სეგმენტიდან გამომდინარე კეთდება. ფორტუნას მსმენელი ყველაზე შემდგარი, ჩამოყალიბებული ხალხია, რომლებმაც ზუსტად იციან, რატომ უსმენენ ამ კონკრეტულ რადიოს.

მარიდეა მე ამ სეზონზე ახალი საავტორო გადაცემა, სახელწოდებით BON VOYAGE დავიწყე, რომელიც რადიოსივრცეში უკვე მეორე თვეა გადის. გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან აქტიური ადამიანი ვარ და სიგიჟემდე მიყვარს მოგზაურობა, ჩემი პროექტიც სწორედ ამ თემას ეხება. გადაცემა საქართველოს მასშტაბით მოგზაურობას ეხება და საქართველოში ყველაზე საინტერესო ადგილებს განიხილავს.

თქვენთვის რა დატვირთვა აქვს „ფორტუნას“ ქართულ მუსიკალურ სფეროში?

გურიჩა: გარდა იმისა, რომ „ფორტუნას“ მოსმენა უბრალოდ სიამოვნებაა, ეს რადიოსადგური ძალიან დიდ საქმეს აკეთებს მუსიკოსებისთვის, კომპოზიტორებისა თუ ხმის რეჟისორებისთვის. ამის ნათელი მაგალითი პროექტი „ოქროს ტალღაა“. ეს პროექტი უდიდესი მოტივაციაა ხელოვანი ადამიანებისთვის. ზოგადად, ფორტუნა ყოველთვის ფიქრობს მსმენელზე და შემსრულებლებზე. ასე რომ, ეს სამი რამ უწყვეტ წრეს ქმნის.

ტექსტი: ნინუცა მაისურაძე. **ფოტო**: HELLO!

HELLO! GEORGIA

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ნინო იოსელიანი

აღმასრულებელი რედაქტორი ნანკა კიკალია

რედაქცია ლულუ კახიანი, ზურა მახარაშვილი, მაკო მჭედლიშვილი, ელენე მარგალიტაშვილი
მოდის რედაქტორი თათია ლაშაური
მოდის რედაქტორის ასისტენტი კესო ლელუაშვილი
მოდის სტილისტი თეონა ელიზბარაშვილი
სტილისტის ასისტენტი ნანუკა კოშაძე
ფოტორედაქტორი სოფო იოსელიანი
მარკეტინგი მარიამ ზაქარეიშვილი, ნანუკა კაკაბაძე, ნინუცა მაისურაძე, ნათია რუხაძე
დიზაინერის ასისტენტი თამარ ცაგარეიშვილი

მთავარი დიზაინერი დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO! INTERNATIONAL
FOUNDER ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ
HONRARY PRESIDENT EDUARDO SANCHEZ JUNCO
PRESIDENT MERCEDES JUNCO CALDERON
CHIEF EXECUTIVE OFFICER EDUARDO SANCHEZ PEREZ
GENERAL MANAGER JAVIER JUNCO AGUADO

ქართული ფონტები BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia
Twitter.com/Hellomagazinege

რედაქციის მისამართი: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ.**: +995 32 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; www.hellomagazine.ge
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ HELLO!-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

Radisson BLU
HOTEL, BATUMI

სეზონური შემოთავაზება სასტუმროსგან

„რადისონ ბლუ ბათუმი“ საქმიანი შეხვედრები ზღვის პირას

შემოთავაზება 1

დაგეგმეთ ღონისძიება 70 ან მეტ ადამიანზე, გაიორმაგეთ კლაბ კარლსონის ქულები და გაატარეთ უქმეები ჩვენს სასტუმროში უფასოდ

ან



შემოთავაზება 2

დაჯავშნეთ ღონიძიება 20 ადამიანზე, მიიღე უფასოდ დარბაზი და გაუმჯობესებული ლანჩ მენიუ

RADISSON BLU HOTEL, BATUMI
Ninoshvili street 1, 6000 Batumi, Georgia
T: +995 422 255 555
radissonblu.com/hotel-batumi/
Radisson Blu Hotel Batumi

QARTVELI

Singing Wine